

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ანა ჭანკვეტაძე

კონცეპტი „დრო“ ინგლისური ენის ფრაზეოლოგიაში ქართულთან
შეპირისპირებით

1005- ფილოლოგია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მაია ჩხეიძე

ქუთაისი

2016 წელი

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. კოგნიტივისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია	
1.1. კონცეპტი - ლინგვოკოგნიტოლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის ფუძემდებლური კატეგორია	8
1.2. ენობრივი და კონცეპტუალური მნიშვნელობა	28
1.3. კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში გააზრებული ენა.....	33
თავი II. ადამიანის მეხსიერებისა და ცოდნის ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელი	
2.1. ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურა.....	37
2.2. მენტალური მოდელების დრამატურგია - მისტიკური სიმტკიცე თუ უსაფრთხოება?	40
2.3. „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპები და „დროის“ ფრეიმის კონსტრუირების საფუძვლები	45
თავი III. „დროის“ ფრეიმული ქსელი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში	
3.1. დრო-სივრცე და სამყაროს წყობა	64
3.2. „დროის“ ფრეიმული ქსელი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში	76
3.3. „დრო“ აქსიოლოგიური პერსპექტივიდან	133
დასკვნები	142
ბიბლიოგრაფია	151
დანართები	162

შესავალი

XX–XXI საუკუნეების ლინგვისტურ კვლევათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად ანთროპოცენტრიზმი იქცა. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში განხორციელებული კვლევები ორიენტირებულია ინფორმაციის სხვადასხვა ხერხით მიღების, კოდირების, შენახვისა და გადაცემის პრობლემებზე. აღნიშნულ ვექტორზე კონცეტირებული კვლევა მოითხოვს სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა ინტეგრაციას, რაც იძლევა მეცნიერული აზროვნების ჰუმანიზაციის შესაძლებლობას.

ანთროპოცენტრიზმის მიხედვით, ადამიანი გააზრებულია როგორც სამყაროსა და მასში მიმდინარე მოვლენათა ცენტრი. ანთროპოცენტრისტული პრინციპის თანახმად, ენის გამოყენების პროცესში ადამიანს ძალუძს ენის „მისაკუთრება“, რამდენადაც ენას გააჩნია მხოლოდ იმ ტიპის ობიექტურობა, რომლის არსებობაც შესაძლებელია მხოლოდ „სუბიექტურის“ სიღრმეებში“.

ანთროპოცენტრიზმის თაობაზე არსებულ მოსაზრებათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ერთი რამ ცხადია - ბოლო ათწლეულების ლინგვისტიკაში შეიცვალა ვექტორი, განვითარების პარადიგმა, რომლის მიხედვითაც ადამიანი წარმოადგენს ენის შემოქმედსა და ენით შექმნილ არსებას. ვექტორის ამგვარი ცვლილება შესაძლოა, განვიხილოთ ერთგვარ „ანთროპოცენტრისტულ ძვრად“. XX საუკუნის ბოლო ათწლეულების ფილოლოგიის მახასიათებელს წარმოადგენს ფილოლოგიური აზროვნების ის მიმართულება, რომელიც გულისხმობს ენის, როგორც ანთროპოლოგიური ფენომენის არსის მთლიანად წვდომას.

ფრაზეოლოგიის კვლევამ ანთროპოცენტრისტული პრინციპის - „ადამიანი ენაში“ - მიხედვით, სათავე დაუდო ახალ მიმართულებას - ანთროპოცენტრისტულ ფრაზეოლოგიას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ მნიშვნელობათა შორის არსებული მიმართების ანალიზი. აღნიშნულ მიმართებაზე კონცენტრაცია უზრუნველყოფს ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სიღრმისეული კვლევის შესაძლებლობას, ვინაიდან ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობაში კოდირებულია ინფორმაციის მხოლოდ ერთი ნაწილი,

მეორე ნაწილი კი ინახება ადამიანის ფსიქიკაში ექსტრალინგვისტური ხასიათის მქონე აზრობრივი ხატების სახით.

თემის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში განხორციელებულ ლინგვისტურ კვლევათა ვექტორი მიმართულია კონცეპტუალური სტრუქტურების გამოკვლევებისადმი. კვლევის აღნიშნული მიმართულება იძლევა სამყაროს კონცეპტუალური და ენისმიერი ხატების თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას; ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში ჩამოყალიბებულ მიმართულებაში - კოგნიტურ ლინგვისტიკაში - ცხადად იკვეთება კონცეპტის კვლევისადმი სულ უფრო მზარდი ინტერესი, რაც განპირობებულია კონცეპტში არსებული ინფორმაციის მრავალგანზომილებიანობით;
- მიუხედავად კოგნიტური ლინგვისტიკის შესახებ არსებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომთა სიმრავლისა, დღემდე არსებობს დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც ეხება ენაში კონცეპტის მაქსიმალურად სრული ობიექტივიზაციის მეთოდთა ვალიდურობას;
- ენაში ადამიანის რეპრეზენტაციის თავისებურებათა ანალიზის სიღრმე უნდა გულისხმობდეს ლინგვისტური კვლევის აქსიოლოგიურ ასპექტს, რომლის მიხედვითაც დგინდება იმ ღირებულებათა ნუსხა, რომელსაც აღიარებს ადამიანი და საზოგადოება. საფიქრებელია, რომ სწორედ აქსიოლოგიური ასპექტი უნდა წარმოადგენდეს ანთროპოცენტრისტული პრინციპის შემდგომი განვითარების კანონზომიერ გზას. სამწუხაროდ, აქსიოლოგიური ფრაზეოლოგია ჯერაც არ ქცეულა ფრაზეოლოგიურ კვლევათა ვექტორად და, შესაბამისად, წარმოადგენს ლინგვისტიკის ნაკლებად გამოკვლეულ სფეროს;
- თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში ტემპორალურობის პრობლემა უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია ზმნური დროის ფაქტორთან. იმავდროულად,

მთელი სისრულითაა გააზრებული ტემპორალურობის ენის ფრაზეოლოგიურ დონეზე აღწერის აუცილებლობაც;

- საკვლევი კონცეპტი, სივრცის კონცეპტთან ერთად, განეკუთვნება ნებისმიერი ენისა და კულტურის ფუძემდებლურ კონცეპტთა რიგს, რამდენადაც ისინი განიხილება მატერიის ორგანიზაციისა და არსებობის ორ ფორმად და იმავდროულად, ორივე მათგანი წარმოადგენს ლინგვისტურ, კულტუროლოგიურ, ანთროპოლოგიურ და ფილოსოფიურ კვლევათა უშრეტ წყაროს;
- „დროის“ კონცეპტის შეპირისპირებითი კვლევა თანამედროვე ინგლისური და ქართული ენების ფრაზეოლოგიაში დღემდე არ ყოფილა ცალკე კვლევის ობიექტი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების გამოვლენა „დროის“ კონცეპტის ფრეიმული რეპრეზენტაციის, ენაში საკვლევი კონცეპტის ობიექტივიცაზიისათვის საჭირო ელემენტებისა და ფრეიმთა სიტყვა-რეპრეზენტატორების ნომინაციური ველების თავისებურებათა იდენტიფიცირების გზით.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავების გამოვლენა „დროის“ კონცეპტის ანთროპოცენტრისტული, კერძოდ კი, ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური პერსპექტივებიდან.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

- ნაშრომში განხორციელებულია „დროის“ კონცეპტის ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა ანალიზი ანთროპოცენტრიზმისა და აქსიოლოგიის პერსპექტივებიდან;
- ნაშრომში სინთეზირებულია კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს ინგლისურ და ქართულ ენობრივ ცნობიერებაში

არსებული ერთ-ერთი ფრაგმენტის - დროის - მრავალგანზომილებიანი ბუნების დესკრიფციის სისრულეს;

- თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ ფრეიმული ქსელის ანალოგიზაცია/კონტრასტირების კრიტერიუმები ვალიდურია ენათა მსგავსება/განსხვავებულობის დადგენისათვის საჭირო კრიტერიუმთა დეტალიზაციისათვის.

კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველს წარმოადგენს ექსპანსიონიზმი, რომელიც გულისხმობს ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიას, კონკრეტულ შემთხვევაში კი, იმ ფაქტს, რომ კვლევა განხორციელებულია ლინგვისტიკის, კულტუროლოგიის, ფილოსოფიისა და ანთროპოლოგიის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

ნაშრომში რეალიზებულია ასევე პოლიპარადიგმული კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში ფრეიმული ქსელის კონფიგურაცია განსაზღვრულია როგორც ლინგვოკოგნიტურ, ისე ლინგვოკულტუროლოგიურ და სისტემურ-სტრუქტურულ თეორიათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირების გზით.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** განისაზღვრება შემდეგი ფაქტორით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკის, კონტრასტივიკისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „დროის“ აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში. მასალა მოპოვებულია ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონების, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, სამ თავს, ქვეთავებს, დასკვნებს, ბიბლიოგრაფიასა და დანართებს.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და დასახული მიზნების მიღწევისათვის

საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

პირველ თავში – „**კოგნიტივისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია**“ - განხილულია კონცეპტის, როგორც ლინგვოკოგნიტოლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის ფუძემდებლური კატეგორიის არსი, გაანალიზებულია ენობრივ და კონცეპტუალურ მნიშვნელობათა თავისებურებები.

მეორე თავი - „**ადამიანის მეხსიერებისა და ცოდნის ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელი**“ - ეძღვნება ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურის, „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპებისა და „დროის“ ფრეიმის კონსტრუირების საფუძვლების თავისებურებათა განხილვას.

მესამე თავში - „**დროის“ ფრეიმული ქსელის კონფიგურაცია თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში**“ - წარმოდგენილია „დროის“ ფენომენის ინტერპრეტაციის თავისებურება სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში და გამოვლენილია „დროის“ ფრეიმული ქსელის კონფიგურაცია თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში.

დასკვნით ნაწილში შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგები.

კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენებათა სახით წარმოდგენილი იყო 2013 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე „*თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და კუმანიტარული აზროვნება*“ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2013); აგრეთვე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიებსა და ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებსა და კოლოქვიუმებზე. ნაშრომის პრეზენტაცია ჩატარდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე 2015 წლის 15 იანვარს.

თავი I. კოგნიტივისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია

1.1. კონცეპტი - ლინგვოკოგნიტოლოგიისა და ლინგვოკულტუროლოგიის ფუძემდებლური კატეგორია

ახალი ენობრივი ცნება, რა თქმა უნდა, ამდიდრებს ენათმეცნიერებას, იძლევა ეროვნული ენის, შესაბამისად კი, ეროვნული კულტურის უფრო ღრმა წვდომის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით ცნება „კონცეპტი“ არ არის გამონაკლისი. „კონცეპტი“ თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, იმავდროულად, სხვადასხვაგვარად განსაზღვრებადი ტერმინია.

ლინგვისტური ლიტერატურა ხასიათდება კონცეპტის არსის თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნებით. ცნებისა და კონცეპტის კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს. მიუხედავად ამ ფაქტისა, ორივე მათგანი დღემდე ინარჩუნებს გარკვეული „იდუმალეობით მოცული სიდიდეების“ სტატუსს. ეს სიტყვები ასკოლდოვ-ალექსეევმა 1997 წელს წარმოთქვა. მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, თუმცა „იდუმალეობის ხიზლი“ ისევ მოქმედებს (ასკოლდოვი 1997:271).

თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტის ბუნების შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სავარაუდოდ, სწორედ ამ ფაქტის გამო გამოირჩევა კვლევის ეს სფერო თვალსაზრისთა მრავალფეროვნებით.

მიუხედავად ტერმინოლოგიის დიფუზურობისა, „კონცეპტი“ დამკვიდრდა კოგნიტივისტიკის, სემანტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის ცნებით აპარატში. ტერმინის დამკვიდრებასთან დაკავშირებული სირთულეები, თავად ფენომენის გარკვეული ამორფულობის გარდა, ასოცირდება მკვლევართა მიერ ტერმინის თვითნებურ გამოყენებასთანაც (კარასიკი 2004:390).

მსგავს ინტერპრეტაციას ვხვდებით ზ. პოპოვისა და ბ. ცტერნინის მოსაზრებებშიც: კონცეპტი აზროვნების კატეგორიაა; იგი არ გვეძლევა უშუალო დაკვირვებაში და სწორედ ეს ფაქტი წარმოშობს მისი სხვადასხვაგვარად განმარტების სივრცეს. დღეს კონცეპტის კატეგორია ფიგურირებს ფილოსოფოსების, ლოგიკოსების, ფსიქოლოგების, კულტუროლოგების კვლევებში და კონცეპტში ხილულია ყველა ამ არალინგვისტურ დისციპლინათა ინტერპრეტაციის კვალი (პოპოვა და სტერნინი 2002:318).

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აქტუალურ პრობლემას წარმოადგენდა ტერმინების „კონცეპტი“ და „ცნება“ ერთმანეთისაგან გამიჯვნა - ისინი ურთიერთჩანაცვლებად ტერმინებად გამოიყენებოდა. დღეს ისინი მკვეთრად დიფერენცირებულია.

ვ. დემიანკოვის თვალსაზრისი ტერმინი - „კონცეპტის“ შესახებ, შესაძლოა, შემდეგი სახით ჩამოვაყალიბოთ:

- ენები განსხვავდებიან ტერმინი „კონცეპტის“ დამკვიდრების სისწრაფით ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, მხატვრულ ლიტერატურასა და ყოველდღიურ მეტყველებაში;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებებში „კონცეპტი“ აღწევს თავისი პოპულარობის მწვერვალს იმ მომენტიდან, როცა იგი გამოიყენება „ცნებისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობით. ზღვარი „ცნებასა“ და „კონცეპტს“ შორის გადის მათ შემდეგ განმარტებაზე: ცნება არის ის, რაზეც ხალხი თანხმდება; ხალხი ახდენს ცნებათა კონსტრუირებას იმისათვის, რომ მათ (ხალხს) ჰქონდეს „საერთო ენა“ პრობლემებზე მსჯელობისას. რაც შეეხება კონცეპტებს, ისინი თავისთავად არსებობენ, ხალხი ახდენს მათ რეკონსტრუირებას მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით.
- ტერმინი „კონცეპტის“ მნიშვნელობა მოიცავს „საწყისი ჭეშმარიტების“ იდეას. კონცეპტი არის ის, რაც „ჩასახულია“ (შემენილია). ხშირად არც ისე მარტივია

მოვლენათა თაობაზე „მოლაპარაკება“: ზოგჯერ გაცილებით შედეგიანია საწყის იდეათა ან კონცეპტთა რეკონსტრუირება და ჩამოყალიბებულ წარმოდგენებზე - ძველ კონცეპტებზე - დაყრდნობით ახალ ცნებათა კონსტრუირება (დემიანკოვი 2001:35-47).

ჩვენი თვალსაზრისით, აღნიშნულ მოსაზრებებში ყველაზე ღირებული „ჩასახვის“ სემის, „საწყისი იდეის“ კონსტანტირებაა, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა მეცნიერების ფარგლებში ვითარდება და კონკრეტდება დამატებითი მნიშვნელობები.

თანამედროვე კვლევებში ცნების „კონცეპტი“ განხილვა ორი მიმართულებით მიმდინარეობს: კონცეპტის გნოსეოლოგიისა და კონცეპტის ტიპოლოგიის მიხედვით (პროხოროვი 2008:176).

რაც შეეხება პირველ მიმართულებას, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ყველა მოსაზრება, შესაძლოა, შემდეგ ნიშნულამდე დავიყვანოთ:

- კონცეპტი წარმოადგენს ცნების შინაარსს, რომელიც, ვითარდება რა თანდათანობით და ახდენს რა ცალკეულ სემანტიკურ ნიშანთა აქტუალიზაციას მეტყველებაში, იძენს მოცულობას (ვიწრო გაგება);
- კონცეპტი გამოხატავს „ნაციონალურ კოლორიტთან“, ასევე ენის, როგორც კომუნიკაციისა და აზროვნების საშუალების ფუნქციებთან ასოცირებულ მნიშვნელობას.

კონცეპტთა, როგორც მენტალურ წარმონაქმნთა, ტიპოლოგია, შესაძლოა, განხორციელდეს:

- მათი სტანდარტიზირების ნიშნით, იგულისხმება ინდივიდუალური, ჯგუფური და ზოგად ნაციონალური კონცეპტები;
- მათი შინაარსის მიხედვით, იგულისხმება სქემები, ცნებები და ა.შ.;

- ენობრივი გამოხატულების მიხედვით, იგულისხმება კონცეპტთა რეპრეზენტაციის შესაძლებლობა ლექსემებით, ფრაზეოლოგიზმებით, სინტაქსური კონსტრუქციებით, ასევე ტექსტებითა და ტექსტთა ერთობლიობით (პოპოვა და სტერნინი 2002:318).

კონცეპტი განიხილება როგორც ენისა და აზროვნების დამაკავშირებელი რგოლი, როგორც ცნობიერების ერთეული და ადამიანის გამოცდილების ინფორმაციული სტრუქტურა (კუბრიაკოვა 1995:173-189). „კონცეპტი განისაზღვრება როგორც რეალური ან იდეალური სამყაროს საგნის ამსახველი, კოლექტიური ცნობიერების ნებისმიერი დისკრეტული ერთეული, რომელიც ინახება ენის მატარებელთა ეროვნულ მეხსიერებაში შემეცნებული და ვერბალურად აღნიშნული სუბსტრატის სახით (ბაბუშკინი 1996:104). კონცეპტი მიიჩნევა რეალური სამყაროს საგანზე არსებულ ცოდნად, რომელიც გარდაქმნილია იდეალური სამყაროს საგანზე არსებულ ცოდნად (ვეჟბიცკაია 2001:18-19).

კონცეპტი მენტალური ერთეული, ცნობიერების ერთეულია. ადამიანის ცნობიერება წარმოადგენს შუამავალს რეალურ სამყაროსა და ენას შორის. ცნობიერებაში შემოდის კულტურული ინფორმაცია. კულტურული ინფორმაცია იფილტრება, გადამუშავდება და სისტემატირდება ცნობიერებაში. კონცეპტები ქმნიან „კულტურის ერთგვარ ფენას“, რომელიც შუამავლობს ადამიანსა და სამყაროს შორის (არუთინოვა 1993:3). კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის ცნობიერებაში არსებულ კულტურის შენადედს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი თავად შედის კულტურაში; კონცეპტები არსებობენ ადამიანის ცნობიერებაში (მენტალურ სამყაროში) ცნებების, ცოდნის, ასოციაციების, განცდების სახით; კონცეპტები არა მხოლოდ გაიაზრება, არამედ განიცდება კიდევ (სტეპანოვი 1996:40-42).

ი. სტეპანოვის თვალსაზრისით, კულტურა კონცეპტთა და მათ შორის არსებულ მიმართებათა ერთობლიობაა. მკვლევარი ქმნის კულტურის ორიგინალურ „სახეს“, რომელიც მას წარმოუდგენია ერთგვარ სივრცედ, რომელიც ვიბრირებს და აქვს

ტემპერატურა, რომელსაც აღვიქვამთ მთელი ჩვენი არსებით. ეს არის სივრცე, რომელშიც მწკრივად დაქრის იდეები. ეს არის სივრცე, სადაც მეფობს ბგერები, რომელთაგან ზოგი ჩვენი სულის ჰარმონიულია, ზოგი კი - დისჰარმონიული. ამ სივრცეში ნებისმიერი იდეა, ნებისმიერი სახე ეხმიანება იდეებს, სახეებს, აზრებს (სტეპანოვი 1996:39).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი ის, რაც აქცევს მას კულტურის ფაქტად. კონცეპტში შედის ძირითად ნიშნებამდე შემჭიდროებული ისტორია, თანამედროვე ასოციაციები, შეფასებები და ა.შ. (ibid. 1996:45). კონცეპტთა ერთობლიობა ქმნის ენის კონცეპტოსფეროს, რაც უშუალო კავშირშია სამყაროს ენისმიერ ხატთან.

კონცეპტოსფერო წმინდა აზრობრივი სფეროა. იგი შედგება სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების, გემტალტებისა და ობიექტური რეალობის ნიშანთა განმაზოგადებელი აბსტრაქტული ფენომენების სახით არსებული კონცეპტებისაგან. კონცეპტოსფეროს განეკუთვნება კოგნიტური კლასიფიკატორებიც, რომლებიც უზრუნველყოფს კონცეპტოსფეროს გარკვეულ, თუმცა არაზუსტ ორგანიზებულობას (პროხოროვი 2008:61-62).

დ. ლიხაჩევის თვალსაზრისით, ეროვნული ენა კონცეპტოსფეროებით უფრო მდიდარია, რაც უფრო მდიდარია ერის კულტურა. ეროვნული ენის კონცეპტოსფეროს ცალკეული ვარიანტების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ისინი სხვადასხვაგვარად ჯგუფდებიან და ვლინდებიან. ნებისმიერი კონცეპტი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად გაიშიფროს კონტექსტის, კონცეპტის მატარებლის კულტურული გამოცდილებისა და კულტურული თავისებურების გათვალისწინებით. კონცეპტოსფეროს ცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი იძლევა იმის გააზრების შესაძლებლობას, თუ რატომ წარმოადგენს არა უბრალოდ ურთიერთობის საშუალებას, არამედ კულტურის ერთგვარ კონცენტრატს (ლიხაჩევი 1997:5,9).

განიხილავს რა კონცეპტს კულტურის ფაქტად, ი. სტეპანოვი გამოყოფს კონცეპტის სამ „ფენას“ - კომპონენტს:

- ძირითადი, აქტუალური ნიშანი;
- ერთი ან რამდენიმე დამატებითი „პასიური“ ნიშანი, რომელმაც დაკარგა აქტუალურობა და იქცა „ისტორიულ“ ნიშნად;
- გაუცნობიერებელი შიდა ფორმა, რომელიც აღბეჭდილია გარეგანი სიტყვიერი ფორმით (სტეპანოვი 1996:46-54).

კონცეპტები სხვადასხვაგვარად რეალიზდება სხვადასხვა კულტურაში. ამასთანავე, კონცეპტების არსებობის ფორმა განსხვავებულია სხვადასხვა ფენაში - კონცეპტების რეალურობის ხარისხი სხვაობს ერთი და იმავე კულტურის მატარებელ ადამიანებშიც.

ძირითად „აქტიურ“ ფენაში კონცეპტი აქტუალურია კონკრეტული ენისა და კულტურის ყველა მატარებლისათვის. აღნიშნულ ფენაში კონცეპტი წარმოადგენს ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობისა და ურთიერთგაგების საშუალებას.

შინაარსის დამატებით, „პასიურ“ ნიშნებში კონცეპტი აქტუალურია მხოლოდ ზოგიერთი სოციალური ჯგუფისათვის.

შიდა ფორმა - ენის მატარებლისათვის კონცეპტის შინაარსის ეს ფენა წარმოადგენს იმ საფუძველს, რომელზეც ფიქსირდება მნიშვნელობათა დანარჩენი ფენები.

კონცეპტის, როგორც ცნობიერების ელემენტის განსაზღვრა, ნიშანდობლივია სხვა მეცნიერთა ნააზრევისთვისაც: კონცეპტი წარმოადგენს კულტურის, შემეცნებისა და ენის სფეროებში განხორციელებულ მეცნიერულ კვლევათა მაკავშირებელ რგოლს. რამდენადაც კონცეპტი ასოცირდება შემეცნებასთან, იგი დეტერმინირებულია

კულტურითა და რეალიზდება ენის მეშვეობით. ამასთანავე, თავად კონცეპტი არ განეკუთვნება არც ენობრივ და არც კულტურულ სფეროებს (პროხოროვი 2008:39). კონცეპტი არის ის, რაც ვიცით ობიექტის შესახებ (თელია 1996:97). კონცეპტი მნიშვნელობის ალგებრული გამოხატულებაა, რომლითაც ენის მატარებელი ოპერირებს წერითი და ზეპირი მეტყველებისას (პოპოვა და სტერნინი 2002:4).

სხვადასხვა კულტურის კონცეპტთა შედარებისას ვლინდება ერთეულთა შორის არსებული ასიმეტრიულობა. ასიმეტრიის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს ლაკუნარიზმი - ერთი ენის სისტემაში, მეორე ენის სისტემისაგან განსხვავებით, კონკრეტულ ნიშანთა ან ერთეულთა არარსებობა (ბიკოვა 2004:5). ეს მოვლენა შეიძლება, შევადაროთ ერთგვარ მატრიცაში არსებულ „ცარიელ უჯრედებს“.

ეთნოსპეციფიკა განიხილება როგორც ცალკე არსებული, განსაკუთრებული თვისება. ბ. ანიჩკოვის აზრით, ენაში ყველაფერი იდიომატურია (ანიჩკოვი 1992). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვ. სავიციკის კონცეფცია ლინგვისტური კონტინიუმისა და ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის იდიომატურობის ხარისხის შესახებ (სავიციკი, კულაევა 2004:178). ამდენად, შესაძლებელია სამი ტიპის კონცეპტის გამოყოფა:

1. სპეციალიზირებული ეთნოკულტურული და სოციოკულტურული კონცეპტები, რომელნიც გამოხატავენ შესაბამისი კულტურის თავისებურებებს;
2. არასპეციალიზირებული კონცეპტები, რომლებშიც კულტურული სპეციფიკის ნაკლები სიმკვეთრის გამო აუცილებელია კულტურულ ასოციაციათა ძიება;
3. უნივერსალური კონცეპტები, რომლებიც მოკლებულია კულტურულ სპეციფიკას.

კონცეპტს რთული სტრუქტურა აქვს. ბ. სტეპანოვის აზრით, კონცეპტს განეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ნიშანდობლივია ცნებისათვის. მეორე მხრივ, კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი ის, რაც აქცევს მას კულტურის ფაქტად (სტეპანოვი 1996:45). ე.კუბრიაკოვას კვლევებში კონცეპტი განეკუთვნება პროტოტიპული სემანტიკის კატეგორიას. კონცეპტის სტრუქტურაში გამოიყოფა

ცენტრალური და პერიფერიული ზონები, რომლებიც, შესაბამისად, ქმნიან პოლისემიური ლექსემის ძირითად, პირდაპირ ნომინაციურ მნიშვნელობას (კონცეპტის ამოსავალი პროტოტიპული მოდელი) და მის მეორად (წარმოებულ) მნიშვნელობებს. კონცეპტის მთლიანობას უზრუნველყოფს ცენტრისა და პერიფერიის ელემენტთა შორის არსებული კოგნიტური კავშირი (კუბრიაკოვა 1995:173-189).

ს. ვორკაჩევის თვალსაზრისით, კონცეპტში გამოიყოფა შემდეგი კომპონენტები:

1. კომუნიკაციური თვალსაზრისით ნიშნადი ინფორმაცია, მისი პარადიგმატული, სინტაგმატური და სიტყვათწარმოებითი კავშირები;
2. ენობრივი ნიშნის პრაგმატიკული ინფორმაცია;
3. სიტყვის კოგნიტური მეხსიერება - ენობრივი ნიშნის აზრობრივი თავისებურება, რომელიც დაკავშირებულია მის ძირეულ ფუნქციასა და ენის სულიერ ღირებულებებთან (იგულისხმება კულტურულ-ეთნიკური კომპენენტი, რომელიც ასახავს სამყაროს ენისმიერი ხატის მატარებელი ერის სულიერ ღირებულებებს) (ვორკაჩოვი 2003:66-70).

ფართო მნიშვნელობით, კონცეპტებში ჩართულია ლექსემები, რომელთა მნიშვნელობაც შეადგენს ეროვნული ენობრივი ცნობიერების შინაარსს. ვიწრო მნიშვნელობით, კონცეპტებს მიეკუთვნება სემანტიკური წარმონაქმნები, რომელიც ახასიათებს კონკრეტული კულტურის მატარებლებს. ამ ტიპის კონცეპტთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, თუმცა წარმოადგენს ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებათა გააზრების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ისეთი მეტაფიზიკურ კონცეპტებს, როგორცაა: სული, ჭეშმარიტება, თავისუფლება, ბედნიერება, სიყვარული - აბსტრაქტულობის უმაღლესი ხარისხის მქონე მენტალურ ფენომენებს თავიანთი სიმბოლოები აქვთ სხვადასხვა ენაში. ეს არის ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც ხერხდება აბსტრაქტულის შინაარსის საგნობრივი შინაარსით გამოხატვა.

არსებობს კონცეპტის სხვადასხვა განმარტება: კონცეპტი არის კოლექტიური ცოდნის ერთეული, რომელსაც აქვს ენობრივი გამოხატულება და აღბეჭდილია ეთნოკულტურული სფეციფიკით (ვორკაჩოვი 2003:70).

ლინგვისტები გვთავაზობენ კონცეპტის სხვადასხვაგვარ ტიპოლოგიას. ბ. ცტერნინი და ტ. ბიკოვა გამოყოფენ კონცეპტთა სამ სახეობას: წარმოდგენები, გემტალტები და ცნებები. რაც შეეხება ფრეიმებსა და სცენარებს, ისინი განეკუთვნება გემტალტის სახეობას (პოპოვა და სტერნინი 2002:56-58).

აბსტრაქტულობის ხარისხისა და შინაარსის თავისებურების გათვალისწინებით, ნ. ბოლდირევი განასხვავებს კონცეპტთა შემდეგ ტიპებს: განცდით სახეებს, წარმოდგენებს, სქემებს, ცნებებს, პროტოტიპებს, პოზიციონალურ სტრუქტურას, ფრეიმს, სცენარებსა და გემტალტს (ბოლდირევი 2001:123). ა. ბაბუშკინი განიხილავს ლექსიკურ კონცეპტებს და გამოყოფს აზრობრივ სურათებს, სქემებს, ფრეიმებსა და სცენარებს (ბაბუშკინი 1996:104).

გემტალტი წარმოადგენს ენის განსაკუთრებულ, სიღრმისეულ, შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულს. გარდა ენაში რეალიზაციისა, გემტალტი წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის საფუძველს, აძლევს მიმართულებას შემეცნებით პროცესებს და ა.შ.

ენასთან მიმართებაში გემტალტთა სიღრმე რამოდენიმე ასპექტში ვლინდება. ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გემტალტი შეიძლება, რეალიზდებოდეს როგორც სხვადასხვა აზრი და მხოლოდ განსაკუთრებული კვლევა იძლევა მათი ერთობის დადგენის შესაძლებლობას. ამდენად, გემტალტი არის უნივერსალური წარმოდგენა, რომელიც ასოცირდება ადამიანის ფსიქიკის სიღრმესთან და არსებობს ბუნებრივი ენის კატეგორიალური ჩარჩოების მიღმა - გემტალტი არღვევს გამონათქვამის საზღვრებს, თუმცა იმყოფება მასთან ორგანულ კავშირში.

გემტალტი, როგორც ცნების სახეობა, წარმოადგენს სიტყვით გამყარებულ მთლიანობრივ სახეს, რომელიც მოიცავს ასახული ობიექტის ან მოვლენის დინამიურ და სტატიკურ ასპექტებს. გემტალტები ქმნიან აბსტრაქტული ლექსიკის სემანტიკურ შინაარსს, რომელთა მნიშვნელობაც უკავშირდება ემოციურად განცდად მოვლენებს. იღებენ რა გარკვეული კომპლექსური სურათის ფორმას, აღნიშნული მოვლენები ასოცირდებიან შემეცნებასთან. ამრიგად, გემტალტს წარმოადგენს ისეთ სიტყვათა დეფინიციები, როგორიცაა: რელიგია - ეკლესია, მღვდელი, ბიბლია, სანთელი, სიჩუმე, ადამიანები, რომელნიც ლოცულობენ; მათემატიკა - ციფრები, ფორმულები, გრაფიკები და ა.შ. ტიპიურ გემტალტებს წარმოადგენს ისეთი სიტყვები, როგორიცაა: რიგი, თამაში, ფული, სიყვარული, ბედი, გულწრფელობა და ა.შ.(პოპოვა და სტერნინი 2002:57).

კოგნიტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ისეთი კოგნიტური მოდელები, როგორიცაა ფრეიმები და სცენარები. ფრეიმების თეორია ჩამოაყალიბა ამერიკელმა მეცნიერმა მ. მინსკიმ. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემებში ამოქმედებულ ინფორმაციას აქვს უფრო ზოგადი და, იმავდროულად, უფრო ორგანიზებული ხასიათი. ახდენს რა კონკრეტულ სტერეოტიპულ სიტუაციაზე ან კლასსზე არსებული ცოდნის აკუმულაციას, ფრეიმი ასრულებს მონაცემთა იერარქიულად ორგანიზებული სტრუქტურის ფუნქციას.

ფრეიმულ სემანტიკაში ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის გამოხატვის საშუალებას, აღსაწერ სამყაროზე არსებული, ძირითადი ცოდნის ერთობლიობასა და ადამიანის მეხსიერებაში ორგანიზებული სახით არსებულ წარმოდგენათა კონსტრუქტს. ფრეიმი არის მონაცემთა სტერეოტიპული სიტუაციების წარმოდგენის სტრუქტურა (კუბრიაკოვა 1995:173-189,87).

მ. მინსკის თვალსაზრისით, ფრეიმი შედგება ორი დონისაგან. ზედა დონე მოიცავს „მუდმივებს“ - კონკრეტული სიტუაციისათვის კანონზომიერ მონაცემებს, ქვედა დონე კი წარმოდგენილია ცარიელი კვანძებით (სლოტებით), რომლებიც ივსება კონკრეტული მონაცემებით ამა თუ იმ სიტუაციის თავისებურების გათვალისწინებით.

ფრეიმი არ განიხილება როგორც ცოდნის თვითნებურად გამოყოფილი „ფრაგმენტი“. ფრეიმი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ ერთეულს. ასოციაციათა უბრალო კრებულისაგან განსხვავებით, ეს ერთეულები მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან.

ნ. ბოლდირევას აზრით, კონცეპტ-ფრეიმი წარმოადგენლია სიტყვის მნიშვნელობაში. სიტყვა ასოციაციურ კავშირშია სხვა სიტყვებსა და ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებთან, მაგალითად: უნივერსიტეტი - აუდიტორია, ლექცია, სტუდენტები, ლექტორი. კონკრეტული დეტალები, რომლითაც ხასიათდება მოცემული ობიექტი, ერთიანდება კომპლექსურ სიტუაციაში, მის მოცულობით წარმოდგენაში (ბოლდირევი 2001:45).

ფრეიმის გარდა, გამოიყოფა მოვლენათა სქემებიც - სცენარები, სკრიპტები. სკრიპტი განსხვავდება ფრეიმისაგან დროის ფაქტორით. სკრიპტი შედგება რამდენიმე აქტისაგან, ეპიზოდისაგან, რომელთაგან თითოეული იყოფა უფრო მცირე ერთეულებად. აღნიშნულ ერთეულთა მნიშვნელობა, თავის მხრივ, დამოკიდებულია კულტურულ და სოციალურ ფაქტორებზე (ზაბუმკინი 1996:26).

ჩვეული სიტუაციები სკრიპტის მეშვეობით აღიწერება როგორც მოვლენათა სტერეოტიპული თანმიმდევრობა. სკრიპტი წარმოადგენს მოლოდინების ერთობლიობას, რომელიც ჩნდება კონკრეტული სიტუაციის განვითარებასთან დაკავშირებით (კუბრიაკოვა 1995:173-189,173). ერთი სკრიპტი დაკავშირებულია სიტუაციაში მონაწილეთათვის საერთო, სკრიპტთა სტერეოტიპიზირებულ სერიასთან.

ფრეიმი გვესმის როგორც მოცულობითი, მრავალკომპონენტური კონცეპტი, ინფორმაციის „კრებული“, თემატურად მთლიანობრივი, სტერეოტიპული, სტატიკური სიტუაციის შესახებ არსებული ცოდნა, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან გარკვეული სემანტიკური მიმართებების მქონე კვანძებს (სლოტებს). „სკრიპტს“ განვმარტავთ

როგორც სტერეოტიპულ სიტუაციაზე არსებული ცოდნის დინამიური წარმოდგენის კონცეპტუალურ სტრუქტურას.

მოდით, შევჩერდეთ სამყაროს ენისმიერ ხატში კონცეპტთა რეალიზაციის საკითხზე. ო. პოჩეპცოვი გამოყოფს ენობრივი მენტალობის წარმოდგენის ორ ტიპს: ლექსიკურსა და გრამატიკულს. ავტორის აზრით, ლექსიკური ტიპის მენტალობა აისახება ენის ლექსიკურ-სემანტიკურ კოდში, ხოლო სამყაროს წარმოდგენის ტემპორალური და სხვა ტიპის ფაქტორები ფიქსირებულია გრამატიკულ სისტემაში.

ნ. არუთინოვას (არუთინოვა 1993) აზრით, კონცეპტუალური ანალიზის არსი მდგომარეობს კონცეპტის მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებული კავშირების დადგენაში, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის აღწერას, არამედ მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში შემავალ ელემენტთა შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის განსაზღვრას. ამასთანავე აუცილებელია, როგორც ამას ნ. არუთინოვა აღნიშნავს, იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ გაგებას უზრუნველყოფს სიტყვათა და წინადადებათა მნიშვნელობის ცოდნა (სემანტიკური კომპეტენცია), ხოლო ინტერპრეტაციას - ენის გამოყენების მექანიზმთა მნიშვნელობა (პრაგმატიკული კომპეტენცია); თუმცა სწორი გაგება არ გამორიცხავს არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

ადარებს რა ერთმანეთს სემანტიკურ და კონცეპტუალურ ანალიზს, ე. კუბრიაკოვა (კუბრიაკოვა 1995) აღნიშნავს, რომ თუ სემანტიკური ანალიზი მიმართულია სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაზე, სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებაზე, საბოლოო ჯამში კი, სიტყვის ახსნაზე, კონცეპტუალური ანალიზი ითვალისწინებს იმ კონცეპტთა ძიებას, რომლებიც ერთიანდებიან ერთი ნიშნის გარშემო და განსაზღვრავენ ამ ნიშნის, როგორც კოგნიტური სტრუქტურის, არსებობას. სწორედ აღნიშნული უზრუნველყოფს ცოდნას სამყაროს შესახებ.

ეყრდნობა რა კონცეპტის დეფინიციას, ე. კუბრიაკოვა შესაძლებლად მიიჩნევს სიტყვის „კონცეპტუალური რუქის“ აგებას. აღნიშნული რუქა ავტორს ესახება სიტყვის ყველაზე ხშირად გამოყენებად კონტექსტთა გამოხატულებად, ყველა არსებულ მიმართულებათა კონსტატაციად. აღნიშნულ მიმართულებათა მიხედვით ხდება სიტყვათა სემანტიკის ცვლილება. და ბოლოს, „კონცეპტუალური რუქა“ წარმოადგენს რეკომენდაციას სიტყვის მნიშვნელობის უფრო სრული ლექსიკოგრაფიული წარმოდგენისათვის (ibid. 1995:173-189).

ი. სტეპანოვი შიდა ფორმის „პირდაპირი მნიშვნელობის“ გამოვლენის მეთოდს განიხილავს როგორც შინაარსისა და „კონცეპტთა რეალურობის“ განსაზღვრის საშუალებას. შემდეგ ეტაპზე ხდება კონცეპტის „პასიური“, „ისტორიული“ ფენის იდენტიფიცირება. ტერმინალური ფაზა ორიენტირებულია კონცეპტის აქტუალური, უახლესი ფენის გამოკვეთაზე. კონცეპტები სხვაობენ დროში წარმოშობის, წარმოშობის თავისებურებებისა და სემანტიკის მიხედვით. სწორედ ამიტომ გააჩნია კონცეპტს გენეტიკური განსაზღვრულობა (სტეპანოვი 1996:55).

ლექსემა ხასიათდება სემანტიკით, კონცეპტი კი - შინაარსით. ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად. ანალიზი, რომელიც მიმართულია სიტყვის სემანტიკიდან კონცეპტის შინაარსისაკენ იძლევა კონცეპტუალური ნიშნების გამოკვეთის შესაძლებლობას. სიტყვის გამოყენების შესაძლო კონტექსტებში აქტუალიზებულ სემათა ანალიზის შედეგად გამოვლენილი ნიშნები ქმნიან კონცეპტის შინაარსს.

ერთი შეხედვით, კონცეპტუალური ანალიზი სემანტიკურ ანალიზს ჰგავს, თუმცა სემანტიკური ანალიზის მიზანი სიტყვის ახსნაა, კონცეპტუალური ანალიზისა კი - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის თავისებურების წარმოდგენა.

ი. კრავჩენკოს (კრავჩენკო 2004) აზრით, გამონათქვამი, როგორც სიტუაციურად განპირობებული წარმონაქმნი, ოპერირებს არა იმდენად მნიშვნელობებით, რამდენადაც

ვერბალიზებული აზრით. ამ უკანასკნელში კონცენტრირებულია ცოდნათა ერთობლიობა, ხოლო გამონათქვამის ადეკვატური გაგება უზრუნველყოფილია ენობრივ ერთეულთა და სამეტყველო სტრუქტურათა ადეკვატური გამოყენებით. კონცეპტის სემანტიკური შემადგენლობის ელემენტთაგან უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ეთნიკური კომპონენტია, რომელიც ასახავს ენის მატარებელთა სამყაროს ენისმიერ ხატსა და განსაზღვრავს ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკურ თავისებურებას.

კონცეპტის ვერბალიზება შესაძლებელია როგორც ცალკეული სიტყვებით, ისე სიტყვათ შეთანხმებებით, ფრაზეოლოგიური ერთეულებით, წინადადებებითა და ტექსტებით. ხშირად ერთი და იმავე კონცეპტის გადმოცემა სხვადასხვა ენობრივი საშუალებებითაა შესაძლებელი. საჭიროებს რა სხვადასხვა სიტუაციის გააზრებას, ზოგიერთი კონცეპტი გადმოიცემა მთელი ტექსტის ან ტექსტების საშუალებით. სწორედ სიტუაციათა მრავალფეროვნებაში იკვეთება ამ ტიპის კონცეპტთა ურთიერთდაკავშირებული ასპექტები.

ვერბალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ლექსიკურ და ფრაზეოლოგიურ დონეებზე. ლექსიკური დონე ახდენს სინამდვილის ფენომენტთა ობიექტივიზაციას სხვადასხვა ნომინაციური ტექნიკის მეშვეობით. ენის ლექსიკური შემადგენლობა ასახავს ექსტრალინგვისტური რეალობის ფრაგმენტებს, ხოლო ენის ლექსიკის კვლევა უფრო ტექნოლოგიური ხასიათის მატარებელია.

დ. პოპოვა და ბ. სტერნინი ასახელებენ იმ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც, შესაძლოა, შედიოდეს ამა თუ იმ კონცეპტის ნომინაციურ ველში. აღნიშნული საშუალებები უზრუნველყოფს კონცეპტის აღწერას ლინგვოკულტუროლოგიური კვლევისას:

1. კონცეპტის პირდაპირი ნომინაციები (კონცეპტის ბირთვული სიტყვა-რეპრეზენტატი, რომლის სახელსაც არქმევს მკვლევარი კონცეპტსა და ნომინაციურ ველს);
2. კონცეპტის წარმოებული ნომინაციები (გადატანითი მნიშვნელობები);

3. ერთფუძიანი სიტყვები, რომლებიც განეკუთვნებიან მეტყველების სხვადასხვა ნაწილს და სიტყვათწარმოებითი თვალსაზრისით დაკავშირებული არიან კონცეპტის ვერბალიზაციის ძირითად ლექსიკურ საშუალებებთან;
4. სიმილარები (ექსპერიმენტის შედეგად გამოვლენილი ლექსემები, რომლებიც ავლენენ ერთმანეთთან სემანტიკურ სიახლოვეს ცდისპირთა ენობრივ ცნობიერებაში, თუმცა ტრადიციული თვალსაზრისით, აღნიშნული ლექსემები არ წარმოადგენენ ერთმანეთის სინონიმებს, მაგ.; გაზეთი და ჟურნალი);
5. კონტექსტუალური სინონიმები;
6. ოკაზიონალური ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციები;
7. ბირთვული სიტყვის სინონიმური მყარი სიტყვათშეთანხმებები;
8. ფრაზეოლოგიზმები, რომელნიც მოიცავენ კონცეპტის სახელწოდებას;
9. ანდაზები, ხატოვანი თქმები და აფორიზმები (უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ერთეულები ყოველთვის ვერ ასახავს ენის მატარებლის ცნობიერების თანამედროვე მდგომარეობას, ამდენად მათი გადამოწმება აუცილებელია);
10. მეტაფორული ნომინაციები;
11. შედარება, რომელიც მდგრადია კონკრეტულ დროსა და სივრცეში - მყარად ასოცირდება ბირთვულ სიტყვასთან;
12. თავისუფალი სიტყვათშეთანხმებები, რომელიც ასახელებს კონცეპტისათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ თვისებას (პოპოვა და სტერნინი 2002:71).

კონცეპტების სტრუქტურა არაერთგვაროვანია - იგი შედგება ეტიმოლოგიური და აქტუალური ფენებისაგან (ბ. სტეპანოვი), ასევე ბირთვისა და პერიფერიისაგან (ზ. პოპოვა).

კონცეპტის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ტიპს განეკუთვნება: აზრობრივი სურათი, კონცეპტი-სქემა, კონცეპტი-ფრეიმი, კონცეპტი-ინსაითი, კონცეპტი-სცენარი (ა. ბაბუშკინი, ზ. პოპოვა), კონცეპტი-მინიმუმი და კონცეპტი-მაქსიმუმი (ა. ვეჟბიცკაია), მიკროკონცეპტი და მაკროკონცეპტი, სუპერკონცეპტი, ინდივიდუალური, მიკროჯგუფური და მაკროჯგუფური, ეროვნული, ცივილიზაციური, ზოგადკაცობრიული (გ. სლიშკინი, დ. კარასიკი), ეთნოკულტურული და სოციოკულტურული (გ. სლიშკინი), არქეტიპული და ინვარიანტული კონცეპტები (ს. ვორკაჩევი), უნიკალიები და უნივერსალიები.

კონცეპტის შინაარსობრივ ტიპს განეკუთვნება:

- კულტურული კონცეპტი (ს. ვორკაჩევი, ვ. კარასიკი);
- ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი (ვ. კარასიკი);
- კოგნიტური კონცეპტი (ე. კუბრიაკოვა, ზ. პოპოვა);
- ემოციური კონცეპტი (ა. ვეჟბიცკაია);
- მეცნიერული კონცეპტი (ტ. მატვეევა)

(პროხოროვი 2008:22)

შინაარსობრივ-სტრუქტურულ ელემენტთა წარმოდგენილი კლასიფიკაციის ანალიზის შედეგად შეიძლება, დავასკვნათ, რომ სხვადასხვა მკვლევარების მიერ კონცეპტის თაობაზე ჩამოყალიბებული მოსაზრებები არ დაიყვანება ერთ საერთო მნიშვნელამდე.

თუ არ გავითვალისწინებთ, იმ ნაშრომებს, რომელშიც „კონცეპტი“ და „ცნება“ გაიგივებულია, მაშინ შეიძლება, დავასკვნათ, რომ ლინგვისტიკაში კონცეპტის არსის

ანალიზი დაიყვანება ამ ფენომენთა ლინგვოკოგნიტურ და ლინგვოკულტუროლოგიურ მიდგომებამდე (ვორკაჩოვი 2003:164).

კონცეპტი, როგორც ლინგვოკოგნიტური ფენომენი, წარმოადგენს ადამიანის ცოდნისა და გამოცდილების ამსახველი ცნობიერებისა და ინფორმაციული სტრუქტურის, მენტალური ან ფსიქიკური რესურსების ერთეულს; კონცეპტი მებსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემის, გონების ენის ("lingua mentalis"), ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის ერთეულია, რომელსაც გააჩნია შინაარსობრივი განსაზღვრულობა (კუბრიაკოვა 1995:173-189).

ზოგიერთ კონცეპტს მოეპოვება ენობრივი „საყრდენი“, ზოგიერთი კი ფსიქიკაშია წარმოდგენილი განსაკუთრებული მენტალური რეპრეზენტაციების სახით - სახეებით, სურათებით, სქემებით და ა.შ. (კუბრიაკოვა 1995:173-189).

ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომის ფარგლებში კონცეპტი („კულტურული კონცეპტი“) განიხილება კულტურის ფუძემდებლურ ერთეულად, მის კონცენტრატად. სლიშკინის (სლიშკინი 1999) აზრით, კონცეპტი, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური ერთეული, აკავშირებს ერთმანეთთან კულტურის სფეროში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევას, ცნობიერებასა და ენას - კონცეპტი განეკუთვნება ცნობიერებას, დეტერმინირებულია კულტურით და რეალიზდება ენაში.

კონცეპტის ფორმირება წარმოადგენს სინამდვილის გამოცდილებითი შემეცნების შედეგთა რედუქციის პროცესს, რომელშიც მონაწილეობს ადამიანის მებსიერებაში არსებული „კულტურულ-ღირებულებითი დომინანტები (პროხოროვი 2008:176). ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი წარმოადგენს ერთგვარ ვერბალიზებულ აზრს, რომელიც ასახავს კონკრეტული ეთნოსის ლინგვომენტალიტეტს. ლინგვოკულტურულ კონცეპტს, როგორც ეთნოკულტურით აღბეჭდილი აზრის „შენადედა“, აქვს სახელი, რომელიც, როგორც წესი, ემთხვევა კონკრეტულ სინონიმური რიგის დომინანტას ან ლექსიკურ-სემანტიკური ველის ბირთვს (ვორკაჩოვი 2003:20).

ნებისმიერი კვლევის საფუძველს წარმოადგენს კონცეპტის ნომინაციური (ლათინური “nominare“ - „დასახელება“) ველის არსი, რომელიც გაანალიზებულია ზ. პოპოვასა და ბ. სტერნინის ნაშრომებში. კონცეპტის, როგორც მენტალური ერთეულის, არსის წვდომა შესაძლებელია ენაში მისი ობიექტივიზაციის საშუალებათა ანალიზის გზით. მკვლევარები კონცეპტის ნომინაციურ ველს მიიჩნევენ იმ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის იბეტივიზაცია (ვერბალიზაცია, რეპრეზენტაცია) საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპზე. კონცეპტის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ნომინაციური „სიმკვრივე“ (კარასიკი 2004:47).

ნომინაციურ სიმკვრივეში იგულისხმება კონკრეტული კონცეპტუალური სივრცის ენობრივი დეტალიზაციის ხარისხი, რეალობის კონკრეტული ფრაგმენტის დეტალიზაცია, აღნიშვნის ვარიანტთა მრავალფეროვნება და აღსანიშნის აზრობრივ ნიუანსთა სირთულე (კარასიკი 2004:111). კოგნიტური ნომინაციების რაოდენობის გათვალისწინებით, კონცეპტის ნომინაციურ ველს, შესაძლოა, ახასიათებდეს ნომინაციური სიმკვრივის მაღალი ან დაბალი ხარისხი. კონცეპტის მაღალი ნომინაციური სიმკვრივე მეტყველებს კონკრეტული საზოგადოებისათვის სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს გააზრების აქტუალურობის მაღალ ხარისხზე, კონცეპტის სიძველესა და გამორჩეულ ღირებულებით მნიშვნელოვნებაზე კონკრეტული ხალხის ცხოვრებაში, კონცეპტის კომუნიკაციურ რელევანტურობაზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს სოციუმის მიერ კონკრეტულ კონცეპტზე მსჯელობისა და კონკრეტული კონცეპტუალური ინფორმაციის გაზიარების აუცილებლობას მოცემულ სოციუმში.

კონცეპტის სახეობათა გათვალისწინებით, ზ. პოპოვა და ბ. სტერნინი განასხვავებენ სამი ტიპის ნომინაციურ ველს:

- კომუნიკაციური თვალსაზრისით მაქსიმალურად რელევანტურ კონცეპტს გააჩნია ფართო ნომინაციური ველი;

- კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაკლებრელევანტური კონცეპტი ხასიათდება ვიწრო სპეციალიზაციისათვის ტიპური ერთეულებით წარმოდგენილი ნომინაციური ველით;
- კომუნიკაციური თვალსაზრისით ნაწილობრივ რელევანტური კონცეპტის აღწერისათვის გამოიყენება ოკაზიონალური ერთეულები და სიტუაციური ნომინაციები. აღნიშნული ტიპის კონცეპტი მოკლებულია მდგრად ნომინაციურ ველს. არამდგრადი ნომინაციური ველი კი შედგება სუბიექტური, ოკაზიონალური ნომინაციებისაგან, კონცეპტის კონკრეტულ ნიშანთა აღწერილობისაგან, ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციებისაგან, მაგრამ არა მთლიანი კონცეპტის სახელწოდებისაგან (კარასიკი 2004:67-68).

კონცეპტის ნომინაციური ველის სტრუქტურა არაერთგვაროვანია - იგი მოიცავს უშუალოდ კონცეპტის როგორც პირდაპირ ნომინაციებს (ნომინაციური ველის ბირთვი), ისე კონცეპტის ცალკეულ კოგნიტურ ნიშანთა ნომინაციებს, რომელთა საშუალებითაც იხსნება კონცეპტის შინაარსი (ნომინაციური ველის პერიფერია).

ლინგვოკოგნიტურ ანალიზს ექვემდებარება როგორც სისტემური, ისე ოკაზიონალური, შემთხვევითი, ინდივიდუალურ-ავტორისეული ნომინაციური საშუალებები, რადგანაც ყველა მათგანი შედის კონცეპტის ნომინაციურ ველში და ყველა მათგანი იძლევა კონცეპტის კოგნიტური ინტერპრეტაციისა და კონცეპტის მოდელის აგებისათვის საჭირო მასალას.

კონცეპტის ნომინაციური ველის აგებისას მკვლევარმა შეიძლება:

1. ააგოს კონცეპტის ნომინაციური ველის ბირთვი კონცეპტის მხოლოდ პირდაპირი ნომინაციების გამოვლენის გზით, რაც გულისხმობს ბირთვული სიტყვისა და მისი სინონიმების (სისტემური, ოკაზიონალური და ინდივიდუალურ-ავტორისეული) დადგენას. მაგალითად, კონცეპტის „ქალი“ ნომინაციური ველში შედის ისეთი

ერთეულები, როგორცაა: ქალი, მდედრობითი სქესის არსება, ქალბატონი, დედაკაცი, სუსტი სქესი და ა.შ.

2. გარდა პირდაპირი ნომინაციების გამოვლენისა, განსაზღვროს კონცეპტის მთელი ნომინაციური ველი, დენოტატი კონცეპტის სხვადასხვა ნომინაციათა (ჰიპონიმები) ჩათვლით. მაგ.; დედა, ცოლი, დიასახლისი, ნაზი, ალერსიანი, მოსიყვარულე, მზრუნველი, ეჭვიანი, ფულის მფლანგველი და ა.შ.

ყველაზე ხშირად ნომინირებული ჰიპონიმები, ჩვეულებრივ, განიხილება როგორც კონცეპტის ტიპური რეპრეზენტატორები კომუნიკაციის პროცესში, ყველაზე ხშირად ნომინირებული ნიშნები კი - კონცეპტის ყველაზე ცხად ნიშნებად. ორივე მათგანი ავსებს ჩვენს წარმოდგენას საკვლევი კონცეპტის სტრუქტურის შესახებ. აღწერას, შესაძლოა, დაემატოს ანდაზები, ხატოვანი თქმები, აფორიზმები და ფრაზეოლოგიზმები. ეს უკვე იქნება ნომინაციური ველის ფართო აღწერა, კონცეპტის მთლიანი ნომინაციური ველის აგება.

სხვადასხვა ენაში ერთი და იმავე კონცეპტის ნომინაციურ ველთა შეპირისპირებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, თუ როგორ გაიაზრებს ამა თუ იმ კონცეპტს კონკრეტული ენის მატარებელი და კონკრეტული კულტურის წარმომადგენელი ხალხი.

კონცეპტის არსზე სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებების განზოგადების შედეგად შეიძლება, დავასკვნათ, რომ ლინგვოკულტურული მიდგომის ფარგლებში კონცეპტი წარმოადგენს მრავალგანზომილებიან მენტალურ წარმონაქმნს, რომელიც მოიცავს ღირებულებით, ცნებობრივ და ხატობრივ ელემენტებს. კულტურულ კონცეპტს სხვა ტიპის კონცეპტებისაგან გამოარჩევს ის ფაქტი, რომ მიუხედავად კულტურული კონცეპტის მრავალგანზომილებიანობისა, მის პრიმატს წარმოადგენს ღირებულებითი დამოკიდებულება ობიექტისადმი. კონცეპტის ფორმირება გულისხმობს სინამდვილის გამოცდილებისეული შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა განზოგადების

პროცესს. აღნიშნული პროცესი ასევე მოიცავს სინამდვილის შემეცნების შედეგად მიღებულ მონაცემთა ასოცირებას რელიგიაში, იდეოლოგიასა და ხელოვნებაში ფიქსირებულ ღირებულებით დომინანტებთან. კონცეპტის ფუნქციონირების პროცესი გულისხმობს იმ ენობრივ საშუალებათა შერჩევასა და გამოყენებას, რომელთაც, ადრესანტის აზრით, ძალუმთ კონცეპტის აქტივიზაცია ადრესატის შემეცნებაში. ამდენად, კონცეპტი არსებობს შემეცნებაში, დეტერმინირებულია კულტურით და რეალიზდება ენაში.

1.2. ენობრივი და კონცეპტუალური მნიშვნელობა

კომუნიკაციის პროცესში ინტელექტუალური, ინფორმაციული და ემოციური შინაარსის შექმნა-გადმოცემის ძირითადი და ყველაზე სრულყოფილი ხერხი ბუნებრივი ენაა. ენის ერთეულების მნიშვნელობაში ადამიანთა შემეცნებითი გამოცდილებაა „დაპრესილი“. სიტყვის მნიშვნელობა იმ ცნების გააზრებას აკუმულირებს, რომელიც დაკავშირებულია რეფერენტთან.

აღსანიშნავია, რომ თეორიულ ლინგვისტიკაში სიტყვის მნიშვნელობისა და ცნების პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე რთულია. მაგალითად, ვ. ა. ზვეგინცევი გამიჯნავს მნიშვნელობას და ცნებას და შემდეგნაირად ხსნის მათ შორის განსხვავების საფუძველს: ცნებასა და სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პირველის ფორმირებაში მონაწილეობას იღებს, ასე ვთქვათ, ორი ძალა: საგანი და აზროვნება, ხოლო მეორის ფორმირებაში კი - სამი ძალა: საგანი, აზროვნება და ენის სტრუქტურა (ზვეგინცევი 1996).

ჟ. ლაიონსის განმარტებით, „მნიშვნელობა“ გაიგივებულია „კონცეპტთან“. ამასთანავე, ზუსტად ემთხვევა ცალკეული ავტორების მიერ არადიფერენცირებული ცნება „კონცეპტი“ და „რეფერენტი“ და თან სდევს სიტყვის მნიშვნელობის ბუნების

გაგების ძალზედ მნიშვნელოვანი აზრი იმაზე, რომ სიტყვა არის განუყრელი ერთობა ფორმისა და მნიშვნელობისა (ლაიონსი 1968).

უ. ლ. ჩეიფი, რომელიც პირველხარისხოვან როლს ანიჭებდა ენაში ცნებით (კონცეპტურ) ფაქტორს, აღნიშნავს ცნების ლინგვისტურ რელევანტურობას, მაგრამ არ ახდენს კოგნიტური და სემანტიკური ასპექტების დიფერენცირებას (ჩეიფი 1975).

ამ უკანასკნელ პერიოდში ლინგვისტურ კვლევებში იცვლება ანალიზის რაკურსი სიტყვის მნიშვნელობის პრობლემისადმი: სიტყვის ონომასიოლოგიური და სემასიოლოგიური აღწერის ნაცვლად, ის განიხილება მეტყველი ადამიანის კოგნიციური მექანიზმების ქმედებაში (უფიმცევა 2002). ეს კი იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობაში მოიაზრება არამხოლოდ ექსპლიციტური, არამედ იმპლიციტურიც, რაც ხშირად რჩება ლექსიკონური დეფინიციის მიღმა.

არსებობს თვალსაზრისი, რომ მნიშვნელობები გარკვეულწილად დამოუკიდებელია ენისგან (ვეუბიცკაია 1999). არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: ენობრივი საშუალებების მნიშვნელობები ტოლია მათში გამოხატული კონცეპტუალური (აზრობრივი) სტრუქტურების (ჯეკენდოფი 1990). თუმცა, ორივე თვალსაზრისი თანხმდება იმაში, რომ დასაშვებია მნიშვნელობა „გაიგივდეს კონცეპტთან“ (ბოლდირევი 2001:26).

როგორც ნ. ბოლდირევი აღნიშნავს, დამტკიცებულია, რომ აზროვნება თავისი ბუნებით არავერბალურია, ხალხი ხშირად იყენებს სიტყვებს არა მათი ცოდნის დონით, არამედ მათ მიერ გადმოცემული აზრების დონით, ანუ კონცეპტუალური ნიშნებით. სიტყვებს იყენებენ როგორც მზა კლიშეებს (გრამატიკული ფორმების ანალოგიურად), სრულიად სხვა, შეუსაბამო კონტექსტებში (ბოლდირევი 2001:26). როგორც ე. ს. კუბრიაკოვა თვლის: სიტყვის მნიშვნელობა - ეს არის კონცეპტი, „დაჭერილი ნიშნით“ (კუბრიაკოვა 1991); ნიშანი კი - სიტყვაა.

ამასთანავე, არსებითია, ჯერ კიდევ სტრუქტურალისტები აღიარებდნენ, რომ მნიშვნელობები კონტექსტუალურათ განპირობებულია. თუმცა, კონცეპტუალური განპირობებულობა სტრუქტურალისტების მიერ გაიგებოდა როგორც ენობრივი სისტემის შიგნით სინტაგმატიკური და პარადიგმატიკული ურთიერთობა ნიშნებს შორის. კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონტექსტი (“cognitive domains”) ენობრივი სისტემის მიმართ გარეგანი ფონია, ამიტომ მნიშვნელობები გაიგება როგორც კოგნიტური სტრუქტურები, ჩართული ცოდნისა და აზრების მოდელებში (ლაკოფი, ლანკასტერი და ა.შ.)

ენობრივი მნიშვნელობები გადმოსცემენ სამყაროზე ჩვენი ცოდნის მხოლოდ ნაწილს: ენა - ცოდნაში საუკეთესო ფანჯარაა, ჩვენ ხომ ყოველთვის ვიყენებთ ენას, რათა გამოვხატოთ ის და მაინც არსებობს აზრები, რომლებიც ძალიან რთულია გადმოიცეს სიტყვებით და რომელთა ობიექტივაციისას ჩვენ მნიშვნელოვან სირთულეებს ვაწყდებით (ჩაფე 1987:109). როგორც აქ წარმოდგენილი თვალსაზრისებიდან ჩანს, „მნიშვნელობა“-მეცნიერული ანალიზისათვის მეტად რთული ფენომენია, და, შესაბამისად, უკიდურესად რთულია მისი კონცეპტთან ურთიერთქმედების განსაზღვრა.

მიჩნეულია, რომ თუ ენა იმ ხერხს ასახავს, რომლითაც დანახულია სამყარო, მაშინ აუცილებელია შეიქმნას ენის ისეთი თეორია, რომელიც ადამიანთა გამოცდილებას ასახავს (ლაკოფი 1981:350). ცოდნის მნიშვნელოვანი წილი ინახება ცნობიერებაში როგორც სხვადასხვა ხარისხის აბსტრაქციის აზრობრივი სტრუქტურები. ასეთ კოგნიტურ სტრუქტურებად, კვლევის მიზნით, ფრეიმები, სკრიპტები, გეშტალტები ან კონცეპტები განიხილება. ამ მეცნიერულ აბსტრაქციათა რიგში თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინი „კონცეპტი“ ყველაზე გავრცელებულია, ამიტომ, როგორც კოგნიტურ ლინგვისტიკაში, ასევე, მაგალითად, ლინგვოკულტუროლოგიაში, მეცნიერთა აზრი მიმართულია ტერმინოლოგიური და მეთოდური აპარატის დაზუსტებაზე, რომელთა შორის „კონცეპტი“, მისი მეცნიერული გაგება და აღწერის ხერხები - ერთ-ერთი უმთავრესია.

ამჟამად ტერმინი „კონცეპტი“ ფართოდ გამოიყენება ლინგვისტური მეცნიერებების სხვადასხვა დარგში. ტერმინი „კონცეპტი“ წარმოადგენს ერთგვარ ქოლგას. ის „ფარავს“ რამდენიმე მეცნიერული მიმართულების საგნობრივ დარგს, უპირველესად, კოგნიტური ფსიქოლოგიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, რომლებიც იკვლევენ ამა თუ იმ კულტურით განპირობებული აზროვნებისა და შემეცნების შენახვისა და ინფორმაციის გადამუშავების პრობლემებს (კუბრიაკოვა 1991:58). ამ ტერმინის შინაარსი განისაზღვრება და ზუსტდება თეორიის საზღვრებში, წარმოებული პოსტულეტებითა და საბაზისო კრიტერიუმებით (ბორკაჩევი 2003:5-12).

უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, კოგნიტური სემანტიკისა და ლინგვოკულტუროლოგიის კონცეპტისადმი მიდგომებში სხვაობა საკმაოდ პირობითია და დაკავშირებულია კვლევის ობიექტის გამოყოფის ტექნიკასა და მისი აღწერის მეთოდოლოგიასთან.

კონცეპტი გაიგება როგორც მეცნიერული აბსტრაქცია, როგორც აზროვნების რთული ორგანიზების სტრუქტურა, როგორც მოცემული სიტყვის მრავალი შესაძლო მნიშვნელობის ერთობლიობა. კონცეპტი ენის მატარებელთა არქეტიპული და მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, კულტურის, რწმენის საცავია, გატარებული ენობრივი პიროვნების ფილტრში.

კონცეპტი გაიგება როგორც სტრუქტურული ცოდნის „კვანტი“, ნეირონული აქტივობის „პატერნი“, როგორც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის „კოლტი“.

ლინგვოკულტუროლოგიაში განსაკუთრებული აქცენტი ენისა და კულტურის შერწყმაზე კეთდება, ამიტომ მიჩნეულია, რომ ამ პირობითი ერთეულის მეშვეობით კულტურა შედის ადამიანის მენტალურ სამყაროში (ლიხაჩევი 1993). ამასთან, კონცეპტი ეს არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანი - რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანი და არა

კულტურული ღირებულებების შემქმნელი, თვითონ შედის კულტურაში, გარკვეულ შემთხვევაში ზეგავლენასაც კი ახდენს მასზე (სტეპანოვი 1996:8).

კონცეპტი, როგორც მეცნიერული კვლევის ტერმინი, ხასიათდება განმარტებათა პოლიფონიით. ლინგვოკულტურული კონცეპტი განსხვავდება სხვა მენტალური ერთეულებისგან, მაგალითად, კოგნიტური კონცეპტი, ფრეიმი, სცენარი, სკრიპტი, ცნება, ხატი, არქეტიპი, გეშტალტი, მნემა, სტერეოტიპი. ლინგვოკულტუროლოგიაში ზოგადად მიღებულია, რომ კულტურული კონცეპტი - მრავალგანზომილებიანი მენტალური წარმონაქმნია, რომელშიც გამოიყოფა რამდენიმე განსხვავებული/გამორჩეული შემადგენელი (ფენები, განზომილებები და სხვ.) (ლიაპინი 1997:18; სტეპანოვი 1997:41; ვორკაჩევი 2002:80; კარასიკი 2002:129).

კონცეპტის ასეთი გაგებისათვის პრინციპულია ლინგვოკულტუროლოგიის დარგში ჩამოყალიბებული შემდეგი დებულებები:

- ლინგვოკულტურული კონცეპტი - პირობითი მენტალური ერთეული, რომელიც გამოიყენება ენის, ცნობიერებისა და კულტურის კომპლექსურ შესწავლაში.
- ლინგვოკულტურული კონცეპტის შეფარდება ამ, ზემოთ დასახელებულ სფეროსთან შეიძლება ფორმულირებული იყოს შემდეგნაირად: 1) კონცეპტი დევს ცნობიერებაში; 2) კონცეპტი არის კულტურის ელემენტების მენტალური პროექცია, შესაბამისად - კულტურა განსაზღვრავს კონცეპტს; 3) ენა ან მეტყველება - სფეროები, რომლებშიც კონცეპტი მატერიალიზდება.

კონცეპტები თავისთავში ატარებენ მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების, კულტურისა და ყოველი ხალხის იდეოლოგიის პოტენციურ მუხტს, რომლებიც სინთეზირდებიან და გადატყდებიან ცალკეული პიროვნების თეზაურუსში.

ლინგვოკულტურული კონცეპტების კლასიფიცირება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა საფუძვლით. თემატიკის თვალსაზრისით კონცეპტები ქმნიან. მაგალითად, ემოციურ (კრასავსკი 2000), ტექსტობრივ (სლიშკინი 1999) და ა. შ. კონცეპტოსფეროებს.

თავისი მატარებლების მიხედვით კლასიფიცირებული კონცეპტები ქმნიან ინდივიდუალურ, მიკროჯგუფურ, მაკროჯგუფურ, ნაციონალურ, ცივილიზაციურ და ზოგადსაკაცობრიო კონცეპტოსფეროებს (ლიხაჩევი 1993; კარასიკი 1996).

კონცეპტში ჩაქსოვილი მნიშვნელობა ყოველთვის იმ კულტურით არის დეტერმინირებული, რომლის კონტექსტშიც ის ჩამოყალიბდა. კონცეპტუალური მნიშვნელობა სიტყვის მნიშვნელობის იზომორფულია. კონცეპტუალურ მნიშვნელობაში სამყაროს რეალის ცნებითი ათვისების გარდა, ფიქსირდება ამა თუ იმ კულტურაში დამკვიდრებული სიმბოლოები, ღირებულებები, ცნების ინტერპრეტაციის ტრადიციები. ეს კი შესაძლოა რეფერენტთან პირდაპირი კავშირისგან საკმოდ დაშორებული იყოს. ამ იმპლიციტურ კავშირებს გრძნობს, ატარებს და სამეტყველო პრაქტიკაში ენობრივ ნიშანთა დეკოდირებისას იყენებს იმ ენის მატარებელი, რომლის კულტურასაც ასახავს ენა.

1.3.კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში გააზრებული ენა

კოგნიტური ლინგვისტიკის მიზანს წარმოადგენს მონაცემების მოძიება „გონების მოქმედების შესახებ“. კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს ცნობიერებას ენის მასალაზე დაყრდნობით. კოგნიტური ლინგვისტიკის სფეროში მოღვაწე ლინგვისტებს ერთი მიზანი ამოძრავებთ - ეს გახლავთ ენობრივი ფორმის მის მენტალურ რეპრეზენტაციასთან დაკავშირება. ეს კი ნიშნავს, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის ფარგლებში ენა გააზრებულია როგორც კოგნიტური მექანიზმი, რომელიც ორიენტირებულია ინფორმაციის კოდირებასა და ტრანსფორმირებაზე.

თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

ენის არსი კოგნიტივიზმის ჭრილში: კოგნიტივიზმში ადამიანი გააზრებულია ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემად (ფოდორი 1990: 282-310). იმის ძიება, თუ რა

იწვევს ადამიანის გონებაში კონკრეტულ აზრებს, უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა მოაზროვნეთა ინტერესს. შესაბამისად, ტრიადა - კოგნიცია, შემეცნება, გონება - არც დღეს კარგავს აქტუალურობას (უორფი 1956:246-270);

ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემის არსი: სისტემაში იგულისხმება ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, შენახვა და მობილიზირება. აღნიშნული ქმედებები ორიენტირებულია გონივრულად ფორმულირებულ ამოცანათა რაციონალურ შესრულებაზე (არბიზი 1985). ეს ამოცანები უშუალო კავშირშია ენის გამოყენებასთან. სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციით აღმოჩნდა ენა კოგნიტივიზმის ცენტრში (დევიტი 1990: 371-398);

გადასამუშავებელი ცოდნის თავისებურება: კოგნიტივისტიკის ინტერესს წარმოადგენს ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა რეპრეზენტაციის სპეციფიკა ინფორმაციის გადამამუშავების პროცესში (კროფტი და კრუსი 2004). გადასამუშავებელი ცოდნა სტრუქტურირებულია - დალაგებულია ლინეალურად, მიღებული ცოდნის რიგითობის მიხედვით (ევანსი et al. 2006);

კოგნიციის ჩამოყალიბების პროცესის თავისებურება: კოგნიცია ყალიბდება, მაგრამ იმავდროულად იგი ის ძალაა, რომელიც აყალიბებს იმ „ხატთა სამყაროს“, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ (გლობერსონი 1989:1-9). კოგნიცია ხელმძღვანელობს აზრთა წარმოქმნის პროცესს ადამიანში და არეგულირებს მნიშვნელობათა გამოყენებას კონკრეტული კულტურის ფარგლებში (მოჰანტი 1989:67-78);

სამყაროს კოგნიტური სურათის არსი: სამყაროს კოგნიტური სურათი წარმოადგენს სინამდვილის მენტალურ მოდელს (მოჰანტი 1989:67-78); იგი სისტემურია და გავლენას ახდენს აღქმაზე; კერძოდ, ახდენს სინამდვილის ელემენტთა კლასიფიცირებას (ნიუველი et al. 1989:93-131);

კონცეპტის არსი: კონცეპტი წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების გლობალურ ერთეულს. იგი არის იდეა, რომელიც ხასიათდება აბსტრაქტული, კონკრეტულ-

ასოციაციური და ემოციურ-შეფასებითი მარკერებით (ჯაკენდოფი 1990), (ბედელი 1974), (ნიუველი 1990), (აიტჩისონი 2002);

კონცეპტუალური სფეროს არსი: კონცეპტოსფერო წარმოადგენს კონცეპტების მოწესრიგებულ ერთობლიობას, რომელიც იქმნება კონკრეტული ერის ყველა კონცეპტთა პოტენციების ჯამით (ვილენსკი 1990:77-104);

კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკურ სივრცეს შორის არსებული მიმართება: კონცეპტუალური სფერო წმინდა აზროვნების სფეროა. იგი შედგება კონცეპტებისაგან, რომელიც არსებობს აზრობრივი ხატების, სქემების, ცნებების, ფრეიმების, სცენარების სახით (ჯაკენდოფი 1991). ენის სემანტიკური სივრცე წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს ნაწილს, რომელმაც მიიღო გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით (ჯაკენდოფი 1983);

კონცეპტი ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში: კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში, რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში (ბურლინგი 1970), (ტალმი 2000);

კონცეპტის ნომინაციური ველი: ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია განიხილება როგორც კონცეპტის ნომინაციური ველი (ჯაკენდოფი 2002:333-377);

მენტალიტეტსა და სამყაროს კოგნიტურ ხატს შორის არსებული მიმართება: მენტალიტეტი არის სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების თავისებური სტილი, რომელიც განპირობებულია ცნობიერების კოგნიტური სტერეოტიპების ერთობლიობით (ვეუბიკვაია 1992); (ლაკოფი 1977), (ლე პანი 1989); (მარკუსი 1991);

კონცეპტსა და სიტყვას შორის არსებული მიმართება: თანამედროვე ფსიქოლინგვისტური კვლევების თანახმად, აზროვნებისა და ვერბალიზაციის მექანიზმები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან (ო'გრადი 1987:171-188).

კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია სრულებით არ წარმოადგენს კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობას. კონცეპტს ჩვენს ცნობიერებაში „რთავს“ სიტყვა (ვიგოტსკი 1996: 210-276);

კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებული მიმართება: მნიშვნელობასა და კონცეპტს შორის არსებობს მსგავსებაც (ორივე ასახავს სინამდვილეს) და განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების) (ჯაკენდოფი 1992: 53-67);

მთლიანისა და ნაწილის მიმართება: მნიშვნელობა წარმოადგენს კონცეპტის ნაწილს. ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არა სრულად (ვეუბიკაია 1984: 313-328), (ტალმი 2000:409-47). კონცეპტი უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელობა და კონცეპტი ერთმანეთთან იმყოფებიან კომუნიკაციურად რელევანტური ნაწილისა და მენტალური მთლიანობის მიმართებაში (როსჩი 1978);

ფრეიმისა და ველის დიფერენცირების პრობლემა: კონცეპტი გაბნეულია ენობრივ ნიშნებში, რომელთა მემვეობითაც ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია. კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა განიხილება როგორც კონცეპტის ნომინაციური ველი (ბარსალაუ 1992), (ლეჰრერი 1992).

დღეს კოგნიტური მეცნიერება წარმოადგენილია ერთმანეთისაგან განსხვავებული სკოლების სახით, რომელთაც აერთიანებს ერთი ინტერესი: ენობრივ ფორმებსა და მათ მენტალურ რეპრეზენტაციებს შორის არსებულ მიმართებათა კვლევა.

დასკვნის სახით შეიძლება, ითქვას, რომ კოგნიტური ლინგვისტიკის საგანი ენის მატარებელი ერის ენობრივი ცნობიერებიდან მისი ყოფიერების შესახებ არსებული ენობრივი ცოდნის გამოვლენაა.

თავი II. ადამიანის მეხსიერებისა და ცოდნის ორგანიზაციის კონცეპტუალური მოდელი

2.1. ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურა

რა ტიპის ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას წარმოადგენს სემანტიკური ფრეიმი? - სემანტიკური ფრეიმისათვის რელევანტური ცოდნა გულისხმობს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისა და გამოცდილების საფუძველზე მიღებული საგნობრივი სფეროს კანონზომიერებებს. აღნიშნული კანონზომიერები კი მოიცავს პრინციპებს, კავშირებსა და კანონებს.

სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ღრმა ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურას. აღნიშნული ტიპის ცოდნა გულისხმობს მოცემულ საგნობრივ სფეროში მიმდინარე პროცესების ამსახველ აბსტრაქციებსა და სქემებს (გაიენისი და შოუ 1997:729-759). ღრმა ცოდნა ხსნის ამა თუ იმ მოვლენის არსს და უზრუნველყოფს მოვლენათა და ობიექტების ქცევის პროგნოზირების ადეკვატურობას (გაიენისი და შოუ 1993:38-56), (ქეროლი 1999:45-62).

მარვინ მინსკის თეორიის მიხედვით, სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. იგი გააზრებულია სტერეოტიპული აღქმის წარმოდგენისათვის საჭირო აბსტრაქტულ სახედ.

სემანტიკური ფრეიმის მოდელი უნივერსალურია. იგი იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მთელი ცოდნის მრავალფეროვნების გამოსახვის შესაძლებლობას.

ცნებათა უმრავლესობა ქმნის იერარქიულ ქსელს. აღნიშნული ქსელის სტრუქტურული თავისებურება - გრადუალურობა - განპირობებულია ადამიანის მეხსიერებაში აკუმულირებულ ცნებათა შორის არსებული ურთიერთკავშირით.

ცნებათა იერარქია არის გლობალური სქემა, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ნებისმიერი საგნობრივი სფეროს ცოდნის სტრუქტურის კონცეპტუალურ ანალიზს.

სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირებისადმი არსებული მიდგომები შეიძლება ორ დიდ კლასად დაიყოს:

- სტრუქტურული (სისტემური) მიდგომა ან ანალიზი - ეფუძნება დეკომპოზიციის იდეას. აღნიშნული იდეის კონტექსტში სისტემის თითოეული ელემენტი წარმოადგენს საერთო კონსტრუქტის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს;
- ობიექტური მიდგომა - დაკავშირებულია ობიექტების დეკომპოზიციასთან: თითოეული ობიექტი წარმოადგენს განსაზღვრული კლასის ეგზემპლარს.

საბოლოო ჯამში, სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირება მიზნად ისახავს ცოდნის პირამიდის აგებას, რომელიც გულისხმობს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამღვლელობა. ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას. მიმართების ერთ-ერთ ასეთ ტიპს წარმოადგენს ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის კავშირი. ექსტენსიონალი არის ის ძირითადი ცნებები და მიმართებები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტების, საგნებისა და მოვლენების სიმრავლეს, ხოლო ინტენსიონალი კი - ცნებებისა და მიმართებების ამ სიმრავლის თითოეული ელემენტის კონკრეტული მახასიათებლები.

ვალიდური სემანტიკური ფრეიმი ქმნის გარკვეულ რეპერტუარულ ბადეს ("repertory grid"), რომელიც წარმოადგენს ცოდნის ერთგვარ მატრიცას (ლატა და სვიგერი 1992:115-129), (ბელი 1990:25-48), (გაიენისი და შოუ 2003:112-127), (მარსდენი და ლიტრერი 2000:16-34).

განსაზღვრება „რეპერტუარული“ ნიშნავს, რომ ელემენტების შერჩევა ხდება განსაზღვრული წესების გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ყველანი ერთად კი აზრობრივად (შინაარსობრივად) იყვნენ დაკავშირებული (ბელი 1988:101-118), (დუნი et al. 1986:355-375), (ფეი et al. 2003:23-45). რეპერტუარულ ბადეში ვლინდება ადამიანის მიერ სამყაროს ხედვის თავისებურება.

მ. მინსკის ფრეიმების თეორიის მიხედვით, რეალური სამყაროს მოდელი ეფუძნება ფრეიმთა ერთობლიობას (მაქ ქარტი et al. 2007:103–110). აღნიშნული თეორიის ფარგლებში ფრეიმი გააზრებულია სტერეოტიპული სიტუაციის მოდელად. ფრეიმი წარმოადგენს არა ერთ კონკრეტულ სიტუაციას, არამედ ერთი კლასისადმი განკუთვნილ სიტუაციათა ძირითადი მახასიათებლების ერთობლიობას (მინსკი 1993:14–15). გრაფიკულად ფრეიმის გამოსახვა შესაძლებელია ქსელის სახით, რომელიც შედგება ელემენტთა შორის არსებული კავშირებისაგან. ერთმანეთთან კავშირში მყოფ ფრეიმთა ჯგუფები ერთიანდებიან სისტემაში, რომელთაც ძალუძთ ქმედების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და თვალსაზრისთა ცვლილებების ასახვა (ჰილსი 1975:104–116).

ფრეიმის „გაგება“ ხორციელდება ელემენტთა კონკრეტიზაციის, ასევე მათ რეალურ სამყაროში არსებულ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით (ლედერმენი და შეფლერი 2001:74).

ამრიგად, ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში აკუმულირებული, მონაცემთა მრავალრიცხოვანი სტრუქტურა - ფრეიმი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი აცნობიერებს ხატს, ესმის სიტყვა, მსჯელობს, მოქმედებს, ახორციელებს ნარაციას და ა.შ. ფრეიმი წარმოადგენს მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ცენტრს.

2.2. მენტალური მოდელების დრამატურგია - მისტიკური სიმტკიცე თუ უსაფრთხოება?

ერთი შეხედვით, სემანტიკურ ფრეიმს საოცარი, თითქმის მისტიკური სიმტკიცე და წესრიგი ახასიათებს. კვლევის პროცესში გაგვიჩნდა შეკითხვა: ზღუდავს თუ არა ეს წესრიგი თავისუფალ ინდივიდუალობას? შევეცდებით პასუხი გავცეთ ამ შეკითხვას.

ჩვენის აზრით, მენტალური მოდელების დრამატურგია (სცენარები) წინასწარგამოცნობად და საკმაოდ უსაფრთხო და მოწესრიგებულ სამყაროს ქმნის. სემანტიკურ ფრეიმებსა და სცენარებში თავისუფლება და აუცილებლობა კორელაციური ცნებებია. აღნიშნული ერთეულები ხასიათდება ინდივიდუალობისა და ზეინდივიდუალობის თანაარსებობით. სცენარებისა და ფრეიმების მეშვეობით გარე სამყაროს ორგანიზებულ მთლიანობად კონსტრუირება ცნობიერების უნარია.

ცხოვრებისეული გამოცდილება, რეალობის აღქმა, ინდივიდუალური ქმედებები, მათ შორის მეტყველებითიც კი, სტრუქტურირებულია – თვით ქმედებებში კვლავ იწარმოება „ინტერაქციის წესრიგი“, რომელიც თავისებურ კონტინიუმს, ანუ „ფრეიმების კიბეს“ ქმნის, რომელიც ინდივიდუალურ ქმედებას „დიდი“ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურებთან აერთიანებს. თუ ფრეიმების სისტემას განვიხილავთ როგორც ურთიერთქმედი ელემენტების ერთობლიობას, მაშინ არსებული მთლიანობის (სოციალურის, კულტურულის) დაშლა /დანაწევრების შედეგი კონსტრუირებული სამყაროს ფორმების აღწერა იქნება.

სოციალური კონტექსტი აყალიბებს და გარდაქმნის ფრეიმის ელემენტთა მნიშვნელობას. არსებით ზემოქმედებას ფრეიმის კონტინიუმზე სივრცე ახდენს. სოციალურ ხდომილებებში მონაწილეობის განსაკუთრებული წესები მოქმედებს. სწორედ ეს წესები ქმნის „ჩართულობის“ საწყისს, დასასრულს და სპეციფიკურ „კონტურს“.

სემანტიკური ფრეიმის და სცენარის კონტინიუმი არ გადადის ვაკუუმში - იგი ექვემდებარება როგორც კონტექსტუალურ შეზღუდვებს, ისე კომუნიკანტთა მიერ აღიარებული პოზიციების ზემოქმედებას. ფრეიმი გასაგები, სხვა სიტყვებით, ვალიდური შეიძლება იყოს მხოლოდ ამ წესების კონტექსტში.

სემანტიკური ფრეიმისა და სცენარის კონტინიუმისათვის ტიპურია სიმბოლოთა და ღირებულებათა ცირკულაცია. ახალი კონტინიუმის ჩამოყალიბებას რუტინული წესრიგის აღდგენასთან მივყავართ: როგორც ცვალებადიც არ უნდა იყოს დოქის შიგთავსი, თავად დოქი ფაქტის ბუნებრიობას, უბრალოებას ინარჩუნებს.

სემანტიკური ფრეიმი და სცენარი რეალობის, როგორც ყოველდღიური ურთიერთობების, საზრისისეული ინტერპრეტაციების და ხელახალი ინტერპრეტაციების, უწყვეტი (მუდმივი) ქმნადობის პროდუქტია.

უნდა აღინიშნოს, რომ სემანტიკური ფრეიმი არ ეფუძნება მხოლოდ სოლიდარობას, სხვა სიტყვებით, სოციალური ურთიერთქმედების წესებს. პირიქით, სხვადასხვა დროსა და სივრცეში კონსტრუირებული ფრეიმი წესების დარღვევაზეა მიმართული, რომელიც ამავე დროს თავადაც წესს წარმოადგენს. ამდენად, სემანტიკური ფრეიმი განიხილება არა როგორც მხოლოდ და არა იმდენად წესებისა და შეზღუდვების ფუნქციონირების სივრცე, არამედ როგორც შესაძლო, პროგნოზირებად ქმედებათა რესურსი. აღნიშნული რესურსი, ფაქტიურად, წარმოადგენს სტერეოტიპული მოლოდინების ერთობლიობას. სტერეოტიპულობაში იგულისხმება პერსპექტივათა გაიდეალიზებულიობა.

აქ ცენტრალური პრობლემა „წესების დაცვისა“ და სამყაროს მაორგანიზებელი „ფრეიმების“ თანადაქვემდებარებულობის პრობლემა ხდება. სემანტიკური ფრეიმების კვლავწარმოება დროსა და სივრცეში შეიძლება განვიხილოთ როგორც „რეფრეიმინგი“. რეფლექსურ დონეზე ყალიბდება ინტელექტუალური სამყაროები, რომლებიც

ყოველდღიური რუტინისაგან დამოუკიდებელ – განცალკევებულ დისკურსიულ თანასაზოგადოებებს და ცოდნის ფორმებს ქმნიან.

სემანტიკური ფრეიმი ეფუძნება ემპირიულ მასალაზე ცოდნის ფორმებისა და ღირებულებითი განწყობების დომინირების პოსტულატს. ცოდნა ყოველთვის შეიძლება იქნეს გადააზრებული ან უარყოფილი. სემანტიკური ფრეიმი კონცენტრირებულია კულტურის ფორმებზე, რომლებიც, გარკვეული თვალსაზრისით, ურთიერთქმედების სუბიექტური საზრისებია, ხოლო რაც შეეხება კულტურის სამყაროს, სემანტიკური ფრეიმის ფარგლებში იგი ღირებულებების სამყაროდ განიხილება. სემანტიკური ფრეიმი ფორმირდება როგორც კულტურის ნორმებისა და ღირებულებების რეპრეზენტაციისათვის მაქსიმალურად ეფექტური კონსტრუქტი.

ფართო აზრით, სემანტიკური ფრეიმი ამა თუ იმ ფენომენისა თუ მოვლენის აღქმის პერსპექტივაა. ფრეიმის ლექსიკოლოგიური ექვივალენტებია: ჩარჩო, სქემა, გეგმა, შაბლონი, სცენარი, გეშტალტი, პროტოტიპი, პარადიგმა, დისციპლინარული მატრიცა. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში აღქმისა და მეხსიერების მათემატიკურ ფორმალურ სქემებს მაკოდირებელ სისტემებს უწოდებენ – ისინი მიღებული ინფორმაციის ფარგლებს გარეთ გასვლის შესაძლებლობას იძლევა. ფრეიმი ცოდნის სტრუქტურაა სტერეოტიპული სიტუაციების წარმოსადგენად.

ფრეიმები შეიძლება განვიხილოთ სიტუაციის განსაზღვრებებად, რომლებიც ხდომილებაში ჩართულობის და ორგანიზაციის პრინციპებზეა დაფუძნებული. ფრეიმები სიტუაციაში ჩართულობის ხელმძღვანელობას ისევე ახდენენ, როგორც აზრები ბადებენ და ქმნიან წინადადებებს. ფრეიმი ფრაგმენტებად მიმოფანტულ ემპირიულ რეალობას სიტუაციის განსაზღვრებად გარდაქმნის.

ფრეიმების სისტემა აღქმის ალგორითმების სახით არ გვეძლევა, ისინი მუდამ ფორმირების პროცესში არიან.

იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ფრეიმების პირველადი სისტემები შეიძლება გადაეწყოს განსაზღვრული საზრისისეული პლასტების აღქმაზე, მათი მრავალჯერადად გადაწყობაა შესაძლებელი. ამგვარი გადაწყობა არსებითად ცვლის როგორც ფრეიმებს, ისე მის წინამორბედ ზედნაშენებსაც.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყობა ფრეიმს არღვევს და შესაბამისად, ადამიანებს რეალობის მათ მიერ მიღებული განსაზღვრების სისწორეში აეჭვებს, იგი მსოფლიოს სურათისა და სოციალური გამოცდილების კვლავწარმოებას უწყობს ხელს. ფრეიმები მუდმივად კვლავ იწარმოებიან. ეს პროცესი გულისხმობს განუსაზღვრელობის გადალახვას, ფრეიმების გამყარების პროცედურებს, ანუ გამოცდილების რუტინიზაციასა და ცოდნის ინტერსუბიექტივიზაციასა და პერსპექტივათა გაიდვალისწილებას.

რა არის ის ფაქტორები, რომელნიც უზრუნველყოფს ფრეიმის გაცხადებული საზრისისა და მისი კონტინიუმის თანხვედრას? - ადამიანები, ჩვეულებრივ, აცნობიერებენ, გამოიცნობენ, „რა რა არის“ და „ვინ ვინ არის“ იმის წყალობით, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ: როლების სპეციფიკა, მემკვიდრეობითობის (უწყვეტობის) არსი და ადამიანზე ზოგადად მიღებული წარმოდგენის თავისებურება.

როლი იძლევა ურთიერთქმედების სტანდარტულ სიტუაციებში მოლოდინების განმტკიცება – გამყარების შესაძლებლობას. სოციალური ურთიერთქმედების განმტკიცება – გამყარება ასევე რესურსის ან წარსულის განსაზღვრებების მემკვიდრეობით (გადაცემით) ხდება.

ამრიგად, სწორედ აღნიშნული ფაქტორების წყალობით აცნობიერებს ადამიანი, თუ სად იწყება და სად მთვარდება ფრეიმი (სიტუაცია). სწორედ აღნიშნული ფაქტორების წყალობით გამოიყოფა ფრეიმის ლოკალური საზრისისეული სფერო.

სემანტიკურ ფრეიმში ინტეგრირებულია აზრთა, მოქმედებათა და გრძნობათა ყველა მკვეთრად ან ნაკლებად მკვეთრად განსაზღვრული წესი. ეს წესები არსებობენ დამოუკიდებლად, ობიექტურად. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული წესებისადმი „მორჩილება“ ბადავს გარკვეული სოციალური იძულების არსებობის შეგრძნებას სემანტიკურ ფრეიმსა და სცენარში.

ყოველი ადამიანი თავის თავზე განიცდის სოციალურ იძულებას. მაგალითად, იურიდიული და მორალური წესები შეუძლებელია ინდივიდმა დაარღვიოს ისე, რომ მან არ იგრძნოს საყოველთაო გაკიცხვის მთელი სიმძიმე; ზუსტად ასევეა საქმე არბიტრალური კონტინიუმის - კოლექტიური ცნობიერების, სხვა სიტყვებით, კოლექტიური წარმოდგენების - დეკონსტრუქციის შემთხვევაშიც.

კოლექტიური ცნობიერების ფაქტებს (მორალი, რელიგია, სამართალი) უპირისპირდება საზოგადოებრივი ყოფიერების ფორმები, ანუ მორფოლოგიური წესრიგის ფაქტები. სოციალური მორფოლოგია იკვლევს საზოგადოების ნაწილთა აგებულებას და ფორმას, მის „ანატომიურ სტრუქტურას“, რომლის შემადგენლობაშიც შედის დემოგრაფიული და ეკოლოგიური ფაქტები - კოლექტიური წარმოდგენების „სუბსტრატი“.

მორფოლოგიურ ფაქტებს განეკუთვნება საზოგადოების ძირითადი ელემენტების რაოდენობა (რიცხვი) და ხასიათი, მათი შეერთების წესები, მათ მიერ მიღწეული ერთიანობის დონე (ხარისხი), ტერიტორიაზე მოსახლეობის განაწილება, მიმოსვლის საშუალებების (გზების) ხასიათი, საცხოვრებლის ფორმები და ა.შ. მორფოლოგიური ფაქტები შეადგენს თითქოსდა საზოგადოების რაოდენობრივ ასპექტს, მაშინ როდესაც კოლექტიური ცნობიერების ფაქტები - კოლექტიური წარმოდგენები - მის სულიერ, თვისობრივ ასპექტს.

2.3. „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპები და „დროის“ ფრეიმის კონსტრუირების საფუძვლები

სქემა 1. „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციის პრინციპების სტრუქტურა



განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

- „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციას საფუძვლად უდევს „ზოგადისა“ და „ერთულის/განსაკუთრებულის“ მიმართების პრინციპი.

ცნობილია, რომ „ზოგადი“ ის კატეგორიაა, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია „ერთულისა და განსაკუთრებულის“ არსებობის გარეშე. ამ უკანასკნელთა გააზრებაც არ ხერხდება „ზოგადის“ არსებობის ფაქტის გაუთვალისწინებლად.

სწორედ ამ კატეგორიებისათვის დამახასიათებელ მიმართებაში იმყოფება ერთმანეთთან მთლიანობრივი ერთეული (ზოგადი – კონცეპტი „დრო“) და მისი კონკრეტული სეგმენტები. აღნიშნული სეგმენტები ერთმანეთთან კავშირშია – თითოეული იმდენად არის გარკვეული, რამდენადაც გარკვეულია მეორე. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს ერთიანის კონკრეტულ სახეობებთან, ანუ წინააღმდეგობასთან ერთის შიგნით. ერთიანის შიგნით არსებული სეგმენტის ერთი სახეობისათვის მეორე არის „სხვა“, მაგრამ არა საერთოდ „სხვა“, არამედ, როგორც ჰეგელი იტყოდა, „თავისი სხვა“. ამ გამონათქვამში სრულადაა გაცხადებული ურთიერთდაპირისპირებულთა შორის იგივეობა-განსხვავებულობის არსებობის ფაქტი.

კონცეპტის სხვადასხვა სეგმენტისათვის ერთმანეთი იმდენადაა „თავისი“, რამდენადაც ისინი იგივეობრივია თითოეულის კონცეპტუალურ სტრუქტურაში „დროის“ კონცეპტუალური მარკერის არსებობის ხარჯზე და იმდენადაა „სხვა“, რამდენადაც ისინი განსხვავდება ერთმანეთისაგან მათ მიერვე წარმოდგენილი პერსპექტივით - განზომილებით. ასე რომ, მთლიანობის სეგმენტთა დიფერენციაცია, გარკვეულწილად, იგივეობრივთა განსხვავებას გულისხმობს.

- „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაცია ეყრდნობა ცოდნის ინტერსუბიექტურობის ცნებას.

ცოდნა ინტერსუბიექტურია (ანუ სოციალური) სამი რამის გამო. უპირველეს ყოვლისა, იქ არსებობს პერსპექტივების თანაზიარობა და ჩვენ ვთვლით, რომ სხვა

ადამიანები არსებობენ და ის ობიექტები ნაცნობია ან ცნობადია ყველასთვის. მიუხედავად პერსპექტივების თანაზიარობისა, ცხადია, რომ ერთი და იგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს სხვადასხვა ადამიანებისთვის. ეს სირთულე სოციალურ სამყაროში დაძლეულია „პოზიციათა გაცვლის გაიდეალიზების“ ორგვარი საშუალებით. პოზიციის ურთიერთგაცვლის გაიდეალიზება გულისხმობს, ჩვენ სხვის ადგილას რომ ვიყოთ, მოვლენებს ისევე დავინახავდით, როგორც ისინი. შეთანხმების სისტემის რელევანტურობა გულისხმობს, რომ ჩვენ არ ვაქცევთ ყურადღებას განსხვავებებს.

მეორე მომენტი, სადაც ცოდნა არის ინტერსუბიექტური (ანუ სოციალური) არის ცოდნის სოციალური წარმომავლობა. ინდივიდები ქმნიან თავიანთი ცოდნის ძალიან მცირე ნაწილს; ძირითადი ნაწილი კი არსებობს გაზიარებულ ცოდნაში და ის გადაეცემა სოციალური ინტერაქციის საშუალებით.

სწორედ აღნიშნული ორი მომენტის რეალიზაციას წარმოადგენს ფრეიმი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიარებულია როგორც ცოდნის რეპრეზენტაციის ყველაზე ეფექტური სტრუქტურა.

➤ **„დროის“ კონცეპტის სტრუქტურაცია ეყრდნობა კატეგორიზაციის პრინციპს.**

კატეგორიაცია გულისხმობს ობიექტთა და რეალობის მოვლენათა გააზრებას კატეგორიების - განზოგადებულ ცნებათა - ჩარჩოებში. რეალობის კატეგორიზაციისას ადამიანის ცნობიერება ახორციელებს ადამიანის განცდათა, მატერიის ფორმათა და მატერიის მოძრაობის ფორმათა მრავალფეროვნების კლასიფიკაციას, სხვა სიტყვებით, მრავალფეროვნებას „ათავსებს“ გარკვეულ რუბრიკებში - კლასებში, ჯგუფებში, სიმრავლეებში, კატეგორიებში.

- „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციას თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში საფუძვლად უდევს „დროის“ სემანტიკურ ფრეიმთა ერთეულების ლექსიკალიზაციის პრინციპი ფრაზეოლოგიურ ველთა კონსტრუირების გზით.

ფრაზეოლოგიურ ველში გაერთიანებული ლექსიკალიზებული ელემენტები ქმნიან მთლიანობას, რომელიც წარმოადგენს არა ცალკეულ ელემენტთა, არამედ დანაწევრებულ ურთიერთდამოკიდებულებათა ჯამს. ენობრივ ველს, როგორც მთლიანობას, არსებობის საკუთარი კანონი აქვს - მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით მთლიანობაში. ფრაზეოლოგიური ველის სტრუქტურაზე მსჯელობისას სწორედ ორგანული გამოყოფადობის ცნებაა ფუძემდებლური.

- „დროის“ კონცეპტის სტრუქტურაციას თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში საფუძვლად უდევს სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის ფრეიმული რეპრეზენტაციის პრინციპი.

ფრეიმი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან.

ფრეიმი განიხილება მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეულად (მინსკი 1986). ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო სქემას, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას (ibid. 1993:14-15).

- ფრაზეოლოგიური ველის სტრუქტურული თავისებურების (გრაფულურობა/არაგრაფულურობის) ანალიზი ხორციელდება ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტებს შორის არსებულ მიმართებათა ტიპის/ტიპების იდენტიფიცირების გზით.

ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის სხვადასხვა სიმძლავრის კავშირის ფორმათა არსებობა გულისხმობს სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ სხვადასხვა ელემენტთა შორის სხვადასხვა, ასე ვთქვათ, სემანტიკური „მანძილის“ არსებობას, რაც ველის აგებულების გრაფულურობაში - ველში ერთმანეთის მიმართ დომინანტურ სეგმენტთა, კერძოდ, ბირთვის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის არსებობის ფაქტში ვლინდება. ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის ერთი და იმავე სიმძლავრის კავშირის ფორმათა არსებობა გულისხმობს სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ყველა ელემენტს შორის იდენტური, ასე ვთქვათ, სემანტიკური „მანძილის“ არსებობას, რაც ველის აგებულების ლინეალურობაში - ველში ერთმანეთის მიმართ დომინანტურ სეგმენტთა, კერძოდ, ბირთვის, გარდამავალი სფეროსა და პერიფერიის არარსებობის ფაქტში ვლინდება.


რაც უფრო ძლიერია კავშირი სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის, მით უფრო მცირეა მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“ და პირიქით, რაც უფრო სუსტია კავშირი სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის, მით უფრო დიდია მათ შორის არსებული სემანტიკური „მანძილი“.

- **ფრეიმის კონსტრუირების პროცესი გულისხმობს:**
 - ობიექტებისა და ცნებების გამოვლენას;
 - ცნებებს შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირებას;
 - ცნებების დეტალიზაციას;
 - ცოდნის პირამიდის აგებას.

არსებობს საგნობრივი სფეროს ცნებების გამოვლენის სხვადასხვა მეთოდი. ამასთან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცნებების, არამედ მათი ნიშან-თვისებების გამოვლენაც. ნაშრომში განსაზღვრულია საკვლევი სფეროს ინტენსიონალები და ექსტენსიონალები. ინტენსიონალი არის ის ძირითადი ცნებები და მიმართებები, რომლებიც ახასიათებს ობიექტების, საგნებისა და მოვლენების სიმრავლეს, ექსტენსიონალი კი - ამ სიმრავლის თითოეული ელემენტის კონკრეტული მახასიათებლები.

ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება პირამიდის კონსტრუქტებს შორის. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას.

სქემა 2. „დროის“ ფრეიმის კონსტრუირების საფუძვლების სტრუქტურა



განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

- ფრაზეოლოგიურ ველთა კონსტრუირება ეფუძნება ფრეიმის სიტყვა-რეპრეზენტატორის მიერ დასახელებული შინაარსის იდენტიფიცირებას ფრაზეოლოგიური ველის ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში.

ფრაზეოლოგიური ველში ელემენტთა გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში სიტყვა-რეპრეზენტატორის მიერ დასახელებული შინაარსის დომინანტური კომპონენტის სტატუსით არსებობა/არარსებობის ფაქტი.

- ფრეიმის კონსტრუირების პროცესი ეფუძნება აღქმის მთლიანობის პრინციპს, როგორც აზროვნების საფუძველს.

ფრეიმის „კონსტრუქტორისათვის“ განსაკუთრებით საინტერესოა გემტალტ-ფსიქოლოგია. გემტალტ-ფსიქოლოგები ცდილობენ, ყველაფერში გამოყონ რაიმე მთლიანი სახე ან სტრუქტურა, როგორც გარემომცველი სამყაროს პროცესებისა და მოვლენების გაგების საფუძველი. ეს თეორია ახლოსაა ფრეიმებისა და ობიექტური მიდგომის თეორიასთან და ორიენტირებულია ღრმა ცოდნის გენერირებაზე. ცოდნის სხვადასხვა ფრაგმენტის გამოვლენისას ფრეიმის „კონსტრუქტორმა“ არ უნდა დაივიწყოს მთავარი - ფრაგმენტის გემტალტი, რომელიც გავლენას ახდენს დანარჩენ კომპონენტებზე და აერთიანებს მათ რაიმე სტრუქტურულ ერთეულში. ფრეიმის „კონსტრუქტორის“ ძირითად მიზანს სწორედ გემტალტის გამოვლენა უნდა წარმოადგენდეს.

- „დროის“ კონცეპტის ფრეიმის კონსტრუირების საფუძველს წარმოადგენს ორი თეორია - ლოგიკური და ასოციაციური.

ნაშრომში ფრეიმული ქსელის კონსტრუირების საფუძველს წარმოადგენს ტრადიციული ლოგიკის ისეთი ოპერაციების გამოყენება, როგორიცაა: განსაზღვრება,

შედარება და განსხვავება, ანალიზი, აბსტრაქტიზაცია, განზოგადება, კლასიფიკაცია და კატეგორიზაცია.

ასოციაციური თეორია ნაკლებად ცნობილი და პოპულარულია, თუმცა ლოგიკური თეორიის მსგავსად, ისიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს. ცნობილი ამერიკელი ფიზიკოსი რიჩარდ ფეინმანი (ფეინმანი 1960) თავის ნაშრომში „ლექციები ფიზიკაში“ აღნიშნავს, რომ ფიზიკაში უწინდებურად, უპირატესობა ენიჭება ცოდნის აგების არა ბაზილონურ, არამედ ბერძნულ მეთოდს. ცნობილია, რომ ძველი აღმოსავლეთის მათემატიკოსებს რთული გამოთვლების შესრულება შეეძლოთ, მაგრამ მათი ფორმულები ლოგიკურად არ იყო დაკავშირებული. ამის საწინააღმდეგოდ, ბერძნული მათემატიკა დედუქციურია.

ასოციაციის თეორია განიხილავს აზროვნებას როგორც ზოგადი ცნებებით დაკავშირებულ იდეების ჯაჭვს და მეტად მნიშვნელოვანია მეხსიერების ფენომენის ანალიზის თვალსაზრისით. მეხსიერების ფენომენი კი მჭიდრო კავშირშია სემანტიკური ფრეიმის არსთან.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მეხსიერების კვლევა ინტერდისციპლინური აზროვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჩამოყალიბდა. იგი მიზნად ისახავს სხვადასხვა დროსა და სივრცეში წარსულის დამახსოვრების ხერხებისა და მისი ასახვის მეთოდების შესწავლას. პიერ ნორას თუ დავესესხებით, მეხსიერებაზე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ მისგან ასე ცოტა რამ რჩება (ნორა 1989:1).

ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, მეხსიერება გულისხმობს ინდივიდუალის, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და მნიშვნელოვნად მიჩნეულ მოვლენათა დაფიქსირებით (ლებოუ et al. 2006:8).

მეხსიერება შუამავალია წარსულსა და აწმყოს შორის, იგი ივიწყებს წარსულს და, იმავდროულად, სიცოცხლესაც ანიჭებს მას. შესაბამისად, მეხსიერება ერთმანეთთან აკავშირებს ერთობებს ან განაცალკევებს მათ.

სქემა 3. მეხსიერების სამი ძირითადი დონის სტრუქტურა პიერ ნორას კვლევაში

ინდივიდუალური	• ძირითადად, სწავლობენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები
კოლექტიური	• სოციოლოგების, კულტურის მეცნიერებათა და ისტორიკოსთა ინტერესის სფერო
ინსტიტუციური	• პოლიტიკის მეცნიერებები, კულტურის მეცნიერებები და ისტორია

„კოლექტიური მეხსიერების“ ცნება სამეცნიერო ლიტერატურაში XX საუკუნის დასაწყისში დაამკვიდრა ფრანგმა სოციოლოგმა მორის ჰალბვაქსმა. მისი აზრით, ჩვენ აღვიქვამთ, შესაბამისად კი, ვიმახსოვრებთ მოვლენებს იმ სოციალური ჯგუფის მიერ განსაზღვრული საშუალებებით, რომელსაც მივეკუთვნებით (ჰალბვაქსმა 1992). სოციალური მეხსიერება „აქტიურდება“ სოციალური ჯგუფის „კარნახით“.

პიერ ნორას განსაზღვრებით, კოლექტიური მეხსიერება დალექილია ერთობათა აქტიურ გამოცდილებაში, ისტორიული მეხსიერება კი სპეციფიკური ჯგუფის - ისტორიკოსების - კოლექტიური მეხსიერებაა; იგი ანალიტიკური და კრიტიკულია. მეხსიერება მუდმივ ევოლუციას განიცდის, იგი წარმოადგენს დამახსოვრებისა და დავიწყების დიალექტიკურ ერთიანობას. ისტორია კი რეკონსტრუქცია და რეპრეზენტაციაა იმისა, რაც აღარ არსებობს. ამავე დროს, პ. ნორას თვალსაზრისით, ის, რასაც ჩვენ დღეს მეხსიერებას ვუწოდებთ, მეხსიერება კი არა, უკვე ისტორიაა (ნორა 1989:11).

ჟაკ ლე გოფის სიტყვით, მეხსიერება იკვებება ისტორიით და, ამავე დროს, ამარაგებს მას საწვავით. იგი ესწრაფვის წარსულის შენახვას, რათა ემსახუროს აწმყოსა და მომავალს (ჟაკ ლე გოფი 1992:108).

„კოლექტიური“ ან „სოციალური“ მეხსიერების ცნებათა გვერდით, ფართოდ გამოიყენება „კულტურული მეხსიერების“ ცნება. კულტურული მეხსიერება წარმოადგენს

თანამედროვეობისა და წარსულის ურთიერთქმედებას სოციალურ-კულტურულ კონტექსტში (ერლი et al. 2008:2).

ეს სფერო მოიცავს ფენომენტა ფართო წრეს: დამახსოვრების ინდივიდუალურ აქტს, ჯგუფურ მეხსიერებას, ნაციონალურ მეხსიერებას თავისი „გამოგონილი ტრადიციებით“ და, ბოლოს, ტრანსნაციონალურ მეხსიერებას, დაკავშირებულს, მაგალითად, ჰოლოკოსტთან ან 11 სექტემბერთან. კულტურული მეხსიერების ცნება ასახავს მჭიდრო კავშირს ნაციის მიერ შექმნილ საკუთარი წარსულის სურათსა და ნაციონალურ იდენტობას შორის.

წარსულთან შეხება მხოლოდ ჩვენი კულტურის გადასახედიდან, მისი კატეგორიებისა და სქემების მეშვეობით შეგვიძლია. შესაბამისად, წარსული კი არა, თანამედროვეობა განსაზღვრავს ამა თუ იმ საზოგადოების ფასეულობით ორიენტაციას, სპეციფიკურ ისტორიულ მეხსიერებას. დამახსოვრებაცა და დავიწყებაც სოციალურადაა განსაზღვრული.

საერთო მეხსიერება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული საერთო ფასეულობები აყალიბებს ინდივიდისა და ჯგუფების განსხვავებულ იდენტობებს. ნაციონალიზმის თანამედროვე მკვლევართა შრომებში ნაჩვენებია, რომ საერთო წარსული, დამყარებული ტერიტორიაზე, ენაზე, რელიგიაზე ან მათ რაიმეგვარ კომბინაციაზე, ეთნიკური/ნაციონალური მიკუთვნებულობის მთავარი საფუძველია. წარსულის რეპრეზენტაცია, გაზიარებული ერთობის წევრთა მიერ, აყალიბებს „ჩვენ“-ჯგუფად ყოფნის განცდას (ლებოვი et al. 2006:3).

წარსულისადმი დამოკიდებულება მჭიდროდ უკავშირდება იდენტობის ფორმირების პროცესს, რადგან იდენტობა „თავისთავადი“ ფენომენი კი არ არის, არამედ იგი კონსტრუირდება და რეკონსტრუირდება მეხსიერების აქტების მეშვეობით, წარსული „მე“-ს („ჩვენ“-ის) დაკავშირებით აწმყო „მე“/„ჩვენ“-თან.

კულტურული მეხსიერების ცნება ამ პროცესის კოლექტიურ დონეზე შესწავლის საშუალებას იძლევა. საზოგადოება - ერთობა - არაფერს „იმახსოვრებს“, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, მაგრამ წარსულის ვერსიის შექმნა თანამედროვე ცოდნისა და საჭიროებების

შესაბამისად ხდება, რაც საზოგადოებრივად განსაზღვრული. ნაციონალური ნარატივი ყოველთვის დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ ეპოქასთან და იდეოლოგიურ ტენდენციებთან.

წარსულის ნარატივი იქმნება ცხოვრების წესის განსასაზღვრად, თანამედროვე გამოწვევებზე პასუხების მოსაძებნად. ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიდგენს საზოგადოება საკუთარ თავს და სხვებს, აგრეთვე იმას, თუ როგორ იცვლება მისი მდგომარეობა და გარესამყაროსთან მიმართება დროთა განმავლობაში.

მეხსიერების, ხსოვნის ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, მეხსიერება წარსულის შემქნელია და მისი ისტორიული თავისებურებაა - მყოფობდეს დროში. უნივერსალური მნიშვნელობით, ესაა ინფორმაციის გადარჩევა, შენახვა და გამოხატვა.

ცნება „ხსოვნა, მეხსიერება“ მიემართება ადამიანს და სხვა არსებებს, რომელთაც აქვთ ფსიქიკა, რადგან მეხსიერება არა მხოლოდ ინახავს ინფორმაციას, არამედ აყალიბებს გამოცდილებას; წარსულს, აწმყოსა და მომავალს უთანადებს, ინდივიდუალურს - ტომობრივს, ერთეულს - საყოველთაოს, გარდამავალს - მარადიულს და სხვ. (შკურატოვი 1997).

მეხსიერების პრობლემა სამყაროსავით ძველია: ანტიკურ დროში მოაზროვნე ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ჩვენს სულში არის ცვილის ნაჭერი, მუზათა დედის - მნემოსინეს - მეხსიერების მფარველის - ძღვენი. როცა ვხედავთ, გვესმის ან როცა ვიაზრებთ რასმე, ამ ცვილის ნაჭერს ჩვენს გრძნობებსა და აზრებს ვუფენთ ქვეშ და იმავენაირად აღვბეჭდავთ მათ, როგორც ბეჭედი ტოვებს ხოლმე თავის კვალს.

ამგვარად, არსებობს ცოდნა, რომელიც არ გამომდინარეობს ჩვენი გრძნობითი შთაბეჭდილებიდან; ჩვენს მეხსიერებაში ინახება იდეათა ფორმები და შაბლონები, რომელიც სულმა მანამდე იცოდა, ვიდრე ჩვენში მოიკალათებდა. ჭეშმარიტი ცოდნა ნიშნავს იმ ნაკვალევით ოპერირებას, რომლებიც გრძნობებმა დაგვიტოვეს. როგორც ხედავთ, „კვალი“, „ნაკვალევი“, მისი ურთიერთობა იმასთან, რისი ნაკვალევიცაა, ძალიან მნიშვნელოვანია მეხსიერების თეორიაში. მარკ ბლოკიც ხომ ამბობდა, რომ ისტორია

არის მეცნიერება, რომელიც ნაკვალევთა კვალობაზე იქმნება (პლატონი 1993:2), (რიკიორი 2004).

ანტიკურ დროშივე არსებობდა სხვა მოსაზრებაც: ყველანაირი ცოდნა ჩვენი გრძნობებისაგან, მათი შთაბეჭდილებებიდან მომდინარეობს. აღქმა, რომელიც გრძნობის ხუთი ორგანოთი გვეძლევა, თავდაპირველად გარდაიქმნება წარმოსახვის მეშვეობით, ხოლო შემდეგ ეს ჩამოყალიბებული სახეები ეძლევა ჩვენს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. გაიხსენო რაღაც - ნიშნავს, უცქირო სულში აღბეჭდილ ფანტაზმებს, სახეებს, მათ მიღმა კი იმას, რისი ანაბეჭდებიც არიან ისინი.

წარმოსახვა მოსდევს მეხსიერებას და ცნობიერებაზე იმგვარად ზემოქმედებს, რომ აიძულებს მას ხელმეორედ, ხელახლა განიცადოს წარსულის გრძნობისმიერი იმპულსები. მაგრამ მეხსიერების ეს ტიპი მაინც წარსულის გახსენებაა, წარსულის ხსოვნაა. აწმყოს მომენტში აწმყოს ვერ გავიხსენებთ. აწმყო მიიღწევა განცდით, მომავალი - წინასწარჭვრეტით, წარსული - მეხსიერებით.

შუასაუკუნეობრივ ტრადიციაში მეხსიერებას, ხსოვნას აღნიშნავდნენ ლათინური ტერმინით “Memoria“, რომელიც მრავალ შრეს შეიცავდა: რელიგიური თვალსაზრისით, ეს იყო ცოცხლების მიერ მიცვალებულთა გახსენება, სოციალური მნიშვნელობით - მკვდრებისა და ცოცხლების ერთიანობის, თანამყოფობის დამკვიდრება. “Memoria“ არის მეხსიერება, რომელიც აყალიბებს ერთიანობას. ეს ადამიანის ცნობიერების ნიშანდობლივი თავისებურებაა, შეინახოს ცოდნა გარდასულზე, ადამიანებზე, გარდაცვლილებზე; მაგრამ ეს გახსენებაცაა, ცნობიერებაში წარსულის ხატ-სახეთა და მოვლენათა ამოტივტივება, ასევე, მოგონება იმ სოციალური ქმედებებისა, რომლებშიც ეს მოგონება მანიფესტირდება.

მეხსიერების მნიშვნელობას, შეიძლება, მივუდგეთ სამი სხვადასხვა პერსექტივიდან:

- სოციალური მეხსიერება არის პროცესი, რომლის მეოხებითაც საზოგადოება აღიქვამს წარსულს, როგორც საკუთარი იდენტობის განუყოფელ ნაწილს; აქ მოიაზრება ე.წ. ლიტურგიკული პრაქტიკა, ისტორიოგრაფია, გენეალოგია, ზეპირი ტრადიცია, კულტურული აქტივობის სხვადასხვა ფორმა, რომელთა ფარგლებში ინდივიდები და ჯგუფები ეხებიან საკუთარ წარსულს;
- მეხსიერების, ხსოვნის ისტორია არის მეხსიერების წვრთნა, რომელიც ეხმარება ინტელექტუალებს, დაიმახსოვრონ და გაიხსენონ ინფორმაცია;
- მეხსიერების ისტორიის ყველაზე არსებითი ასპექტი ისტორიასთან კავშირია.

ციცერონის სიტყვით, ისტორია მეხსიერების სიცოცხლეა. ცნობილი და ბანალური ფაქტია, რომ ადამიანები, რომლებიც კარგავენ მეხსიერებას, კარგავენ თავიანთ იდენტობას.

პიტერ ბერკის (ბერკი 1990) თვალსაზრისით, მოსაზრება, რომ „მეხსიერება ასახავს იმას, რაც მოხდა, ხოლო ისტორია ასახავს საკუთრივ მეხსიერებას“, საქმეს მეტისმეტად მარტივად წარმოაჩენს. არც მეხსიერება და არც ისტორია უკვე აღარ განიხილება როგორც ობიექტური ფენომენები, ორივე შემთხვევაში ჩვენ ვითვალისწინებთ ინფორმაციის ცნობიერი თუ არაცნობიერი სელექციის, ინტერპრეტაციისა და დამახინჯების შესაძლებლობას. ორივე შემთხვევაში ეს სელექცია, ინტერპრეტაცია და დამახინჯება სოციალურად განპირობებულია.

სემანტიკური ფრეიმის ვალიდურობის - არბიტრალურობის საფუძველს წარმოადგენს კოლექტიური მეხსიერებისა და კოლექტიური წარსულის ფენომენები. ჯგუფის მიერ წარსულის მიღება ნიშნავს მის იდენტიფიცირებას კოლექტიურ წარსულთან, რომელიც საერთოა ოჯახებისათვის, ეთნიკური ჯგუფებისათვის, ნაციებისათვის და სხვა მნემონიკური ერთობებისათვის.

ადამიანის მეხსიერება ელემენტთა წყებას გარდაქმნის ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებად. აღნიშნული ელემენტების სემანტიკურ ფრეიმში გაერთიანების საფუძველს წარმოადგენს ცოდნის დამახსოვრება/ფიქსაციის სოციალური ტრადიცია.

მორის ჰალბვაქსმა თავის დროზე აღნიშნა, რომ სოციალური ჯგუფები, ძირითადად, იმახსოვრებენ იმას, რაც მნიშვნელოვანია მათი ერთიანობისა და თვითგანსაზღვრისთვის. ამიტომ ხშირად სხვა, მათთვის „არასაჭირო“ მოვლენები დავიწყებას ეძლევა. საერთო მოგონებები მნიშვნელოვანია ჯგუფის ერთიანობისთვის. ჯგუფისთვის „საერთო მოგონებების დაკარგვა ავტომატურად ამ ჯგუფიდან გათიშვას ნიშნავს“. ნებისმიერი ჯგუფი თავისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად საჭიროებს ამ თვითმყოფადობის გამომხატველ სიმბოლოებსა და მოგონებებს. ამ სიმბოლოებს ჰალბვაქსი „მეხსიერების ხატებს“ უწოდებს. ასეთი სიმბოლოების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მათ „მეხსიერების ფიგურებს“ უწოდებს კოლექტიური მეხსიერების კვლევებში ჰალბვაქსის (ჰალბვაქსი 1992) ხაზის გამაგრძელებელი იან ასმანი (ასმანი და ლივინგსტონი 2005).

ი. ასმანი ერთმანეთისგან განასხვავებს კომუნიკაციურ და კულტურულ მეხსიერებებს. კომუნიკაციური მეხსიერების ძირითად მახასიათებლად იგი დროში შეზღუდულობას ასახელებს. ეს მეხსიერება მოიცავს ისეთ მოგონებებს, რომლებიც ახლო წარსულში მოხდა. კომუნიკაციური მეხსიერების „მფლობელები“, ძირითადად, მომხდარი მოვლენების თვითმხილველნი არიან, შესაბამისად, რაც დრო გადის, მის მატარებელთა ჯგუფი შეიძლება შემცირდეს.

კომუნიკაციურ მეხსიერებაში მრავალი მოვლენა, შესაძლოა, დავიწყებას მიეცეს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენები დავიწყებულ კი არ იქნება, არამედ გადაინაცვლებს კულტურულ მეხსიერებაში. კომუნიკაციური მეხსიერების ტიპურ ნიმუშად ასმანი ერთი თაობის მეხსიერებას ასახელებს. ზეპირი ისტორიები ასევე წარმოადგენენ კომუნიკაციური მეხსიერების ნიმუშს (ასმანი 1992).

რაც შეეხება კულტურულ მეხსიერებას, ი. ასმანის აზრით, ეს არის წარსულიდან გადმოყოლილი მოგონებები. მას ხშირ შემთხვევებში შეიძლება მისტიური და პრეისტორიული შინაარსიც ჰქონდეს. კულტურული მეხსიერება, კომუნიკაციურისაგან განსხვავებით, რაღაც საკრალურსაც შეიცავს და იგი დროით არ არის შეზღუდული.

შესაბამისად, იგი დიდი ხნის მანძილზე შეიძლება ასრულებდეს ჯგუფის შემკვრელ ფუნქციას (ასმანი 1992:52-56).

ამდენად, კოლექტიური მეხსიერება ეხმარება ადამიანებს საკუთარი თავის განსაზღვრაში და თვითიდენტიფიკაციაში. ის აყალიბებს „ჩვენ“ ჯგუფებს, რომელთაც აკავშირებთ საერთო წარსული. შესაბამისად, იგი აწმყოსა და მომავალსაც უდევს საფუძვლად. კოლექტიური მეხსიერება ის მედიუმია, რომლის მეშვეობითაც ადამიანები განსაზღვრავენ საკუთარ თავს და ადგილს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ფარგლებში.

დუნკან ბელის (ბელი 1988) თქმით, მეხსიერება არის ცოდნა წარსულიდან და არა აუცილებლად ცოდნა წარსულის შესახებ. კოლექტიური მეხსიერების ისტორია მიმართულია არა წარსულის, როგორც ასეთისაკენ, არამედ წარსულისაკენ იმ სახით, როგორც იგი ახსოვთ.

სემანტიკურ ფრეიმში ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების მარკერთა დამოკიდებულება გვესმის როგორც მთელისა და ნაწილის დამოკიდებულება. სემანტიკურ ფრეიმში კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერებით დეტერმინირებული ელემენტები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია.

სემანტიკური ფრეიმის კოლექტიური ანუ საერთო (ზოგადი) ცნობიერებით დეტერმინირებულ ერთეულად გააზრება არ გულისხმობს სემანტიკური ფრეიმის კონტინუუმში ინდივიდუალური ცნობიერების ფაქტორის უარყოფას. დროისა და სივრცის მარკერები ვლინდება როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ ცნობიერებაშიც. კოლექტიური ანუ საერთო (ზოგადი) ცნობიერების გენეზისის განხილვისას ნაშრომში ვეყრდნობით მარტივის რთულში „შემოქმედებითი სინთეზის“ იდეებს.

ნაშრომში კოლექტიური ცნობიერება გააზრებულია როგორც სემანტიკური ფრეიმის ფუნქციონირების სასიცოცხლო კვანძი, ხოლო სემანტიკური ფრეიმი კი როგორც კოლექტიური ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა კომპოზიცია, რომლის ვალიდურობაც ეფუძნება ინდივიდუალური

ცნობიერებისათვის რელევანტურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებულ ზოგად კონოზომიერებებს. ამ თვალსაზრისით, სემანტიკური ფრეიმი შეიძლება განვიხილოთ ერთგვარ იდეალად, რომელიც დეტერმინირებულია კონკრეტული დროისა და სივრცის მარკერებით.

ამრიგად, სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ობიექტივაციას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფრეიმული სემანტიკის მიზანი არ დაიყვანება გარესამყაროს ობიექტური მაჩვენებლების დახმარებით აღწერასა და მოწესრიგებაზე.

ფრეიმული სემანტიკა უზრუნველყოფს გარესამყაროს მოვლენათა შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის გამოვლენას. ობიექტურ კანონზომიერებათა მოპოვების მისწრაფებამ აქცია კოგნიტური პერსპექტივა თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. კოგნიტური პერსპექტივა გულისხმობს გარესამყაროს მიზეზ-შედეგობრიობისა და ელემენტთა დროისა და სივრცის მარკერებით დეტერმინირებულობის ანალიზს.

სემანტიკური ფრეიმის კონტინიუმს ახასიათებს თანმხლები ცვლილებების არსებობა. თუ მოვლენათა ორი სახე მუდმივად იმყოფება ერთსა და იმავე მიმართებაში და მუდამ იცვლებიან გარკვეული სახით თითქოსდა პარალელურად, მაშინ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივ კავშირთა კვლევისთვის ამოსავალ - საწყის საფუძვლებს წარმოადგენს მუდმივი კორელაციები განსაზღვრულ მოვლენებს შორის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მიზეზობრივი დამოკიდებულების კონსტიტუციის დასადგენად მოვლენებს შორის მხოლოდ კავშირების მუდმივობა არაა საკმარისი, ვინაიდან არსებობენ კავშირები, რომლებიც შეიძლება ძალიანაც მყარი და მუდმივიც კი იყოს, მაგრამ მიზეზებად ვერ ჩაითვლებიან. ამგვარი კორელაციები წარმოიქმნებიან იმის შედეგად, რომ ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენების ორივე სახე არის რაღაც ზოგადი (საერთო) მიზეზის შედეგი, რომელიც თვით არ მონაწილეობს ამ კორელაციაში.

სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერების თანაარსებობის სივრცეს, ხოლო სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების პროცესი კი გულისხმობს ობიექტურ-სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობის დეტალურ ანალიზს. აღნიშნული ანალიზი კი იძლევა ინდივიდუალური ფსიქოლოგიის სოციალური განპირობებულობის კვლევის შესაძლებლობას.

- **„დროის“ ფენომენის კვლევა თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში ეფუძნება კონცეპტუალურ ანალიზს.**

სემანტიკური ანალიზისაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ხორციელდება სიტყვის სემებად სემემენტაცია, კონცეპტუალური ანალიზისას კონცეპტში გამოიყოფა ის აზრობრივი განზომილებები, რომელთა ერთობლიობაც ქმნის კონცეპტის შინაარსს. კონცეპტუალური ანალიზის განხორციელებისას მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სიტყვა და კონცეპტი.

კონცეპტი წარმოადგენს ერთეულს, რომელსაც ძალუმს ადეკვატურად და დინამიურად ასახოს მოვლენის მრავალგანზომილებიანი ბუნება. სიტყვა, კონცეპტთან შედარებით, უფრო აბსტრაქტირებულია მის მიერ აღნიშნული მოვლენისაგან. ამ ასპექტში, სიტყვა, კონცეპტთან შედარებით, ნაკლებ ინფორმატიულია.

სიტყვის ენერგეტიკაზე მსჯელობა შეუძლებელია შესაბამისი კონცეპტის ანალიზის გარეშე, ვინაიდან მოვლენის ენერგეტიკა თავდაპირველად აკუმულირდება სწორედ კონცეპტში და მხოლოდ ამის შემდგომ გადაინაცვლებს სიტყვაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სიტყვას, კონცეპტთან შედარებით, გააჩნია უფრო მცირე ენერგეტიკული პოტენციალი, სიტყვა გაცილებით დიდხანს ინახავს ამ პოტენციალს ვიდრე კონცეპტი. კონცეპტი კოგნიტურ ლინგვისტიკაში წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების მენტალური და ფსიქიკური რესურსების ერთეულს, იმ ინფორმაციულ სტრუქტურას, რომელიც ასახავს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას (კუბრიაკოვა 1996:245).

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ერთეულთა ორგანიზება ნაშრომში განხორციელებულია შემდეგი მოსაზრებების გათვალისწინებით:

- მთელი შედგება არა ცალკეული, დამოუკიდებელი ნაწილებისაგან, არამედ პირიქით, მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულობა ცალკეული სიტყვისა გამომდინარეობს მთელის აგებულების კანონზომიერებიდან (პორციგი 1934:56).
- ენა განიხილება, როგორც შემდგარი ნაწილებისაგან, ე.ი. როგორც ჯამი განსხვავებული კატეგორიებისა, რომლებიც ერთმანეთთან იმყოფებიან მჭიდრო ორგანულ კავშირში (ბოდუენ დე კურტენე 1971:112);
- ყოველი ელემენტი, როგორც ღირებულებათა სისტემის წევრი, განისაზღვრება სხვა ელემენტებით. ეს ნიშნავს, რომ სისტემა განსაზღვრავს მის ელემენტებს და პირიქით (ფერდინანდ დე სოსიური 1933:43);
- ენობრივ მნიშვნელობათა მთლიანობრივი პრინციპი და მისგან გამომდინარე შინაარსობრივი ურთიერთგანსაზღვრულობის თვალსაზრისი იძლევა ენობრივ მნიშვნელობათა სწორედ შინაარსეულად კვლევის საშუალებას, მითუმეტეს, რომ ეს შესაძლებლობა გამომდინარეობს თავად ენიდან, რომლის შინაარსეული სფეროც ველის კანონით მნიშვნელოვნადაა განსაზღვრული (ვაისგერბერი 1959:64);
- ენობრივი ველი აგებულია როგორც ორგანულ დანაწევრებაში მყოფი ერთადმოქმედი ენობრივი ნიშნების მთლიანობა (ibid. 1959:67);
- ენობრივ ველებს არსებობის საკუთარი კანონი აქვთ - მთელისაგან ორგანული გამოყოფადობის კანონი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ ერთმანეთს ორგანული მთელის წევრები თავიანთი ადგილის გათვალისწინებით (ibid. 1959:72);

- ნაშრომში „დროის“ კონცეპტის ანალიზისას ფუძემდებლური აღმოჩნდა შემდეგი მიდგომა:

ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომები კონცეპტის არსის ანალიზისადმი არ გამორიცხავს ერთმანეთს: კონცეპტი, როგორც ინდივიდის ცნობიერებაში არსებული მენტალური წარმონაქმნი, წარმოადგენს სოციუმის კონცეპტოსფეროში, საბოლოო ჯამში კი, კულტურაში შეღწევის საშუალებას. კონცეპტი, როგორც კულტურის ერთეული, აფიქსირებს კოლექტიურ გამოცდილებას, რომელიც იქცევა ინდივიდის მონაპოვრად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მიდგომები განსხვავდება ერთმანეთისაგან ინდივიდისადმი მიმართული ვექტორებით: ლინგვოკოგნიტური კონცეპტი - არის მიმართულება ინდივიდუალური ცნობიერებიდან კულტურისაკენ, ხოლო ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი კი - მიმართულება კულტურასა და ინდივიდუალურ ცნობიერებამდე.

- ნაშრომში „დროის“ ფრეიმი გააზრებულია, როგორც:

ცოდნის რეპრეზენტაციის საშუალება, აღსაწერ სამყაროზე არსებული ცოდნის ერთობლიობა და ადამიანის მეხსიერებაში ორგანიზებული სახით არსებულ წარმოდგენათა კონსტრუქტი. ფრეიმი, როგორც კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებული ერთეული, მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან.

- ნაშრომში „დროის“ კონცეპტის ფრეიმული ქსელით რეპრეზენტირებული ცოდნის ერთ-ერთ მარკერს წარმოადგენს უსრულობა.

საგნობრივი სფეროს სრულად აღწერა შეუძლებელია. სემანტიკური ფრეიმის კონსტრუირების ამოცანა გულისხმობს გარკვეული უსრულობის „სისრულის“ ჩარჩოებით შემოსაზღვრას. საგნობრივი სფეროს საზღვრების დადგენა გააზრებულია როგორც სემანტიკური ფრეიმის კონფიგურაციის განსაზღვრისათვის საკმარისი შეზღუდვებისა და დაშვებების შემოტანის პროცესი

თავი III. „დროის“ ფრეიმული ქსელი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

3.1. დრო-სივრცე და სამყაროს წყობა

ანტიკური ადამიანისათვის სამყარო, კოსმოსი გეომეტრიულად არის მოწყობილ-მოწესრიგებული, თვით ადამიანიც ამ წესრიგის ნაწილია და ამიტომაც მისი მიზანი სწორედ ამ წესრიგის ამოცნობა, საკუთარი გარემოს წესრიგის კანონების შესაბამისად მოწყობაა. წესრიგის კანონები ანტიკური ადამიანისათვის გარედან, კოსმოსიდან, იდეალურობიდან მოდის და მისი ყურადღებაც გარეთ, მზა იდეალური ფორმებისაკენაა მიმართული.

დრო ანტიკურ სამყაროში (და საერთოდ მთელ ძველ მსოფლიოში) ერთგვარ პარალელურ განზომილებებში, ადგილებისა და ადგილობრივი მოვლენების შესაბამისად მიედინებოდა. ერთიანი, საყოველთაო დროითი ღერძის, დროთა დინების ერთ საფუძველზე და ერთი მიმართულებით სვლის წარმოდგენა ქრისტიანულ მსოფლხედვასთან არის დაკავშირებული და მისგანვე მომდინარეობს.

ანტიკურობაში, მსგავსად აღმოსავლური კულტურებისა, დროის ათვლის სხვადასხვა სისტემა არსებობდა (მთვარის, მზის კალენდრები). საბერძნეთის თითოეულ მხარეში საკუთარი კალენდარი და თვეთა ათვლა იყო შემოღებული. რომაელები, თუმცა წელთაღრიცხვას იწყებდნენ რომის დაარსების ლეგენდარული თარიღიდან (753 ჩ.წ.ა-მდე), პროვინციებში დროის ათვლას რომის ხელისუფლების დამყარების (დაპყრობის) დღიდან აწარმოებდნენ.

დროის თანმიმდევრული მომენტების მუდმივ შეუქცევად დინებად წარმოდგენა ქრისტიანული მსოფლხედვის შედეგია. ქრისტიანობამდე ბერძნებს არ აინტერესებდათ დრო, მათთვის ყველაფერი ერთ წერტილში, ერთ მიმდინარე მომენტში არსებობდა.

შპენგლერი შენიშნავს, რომ განსხვავებით ბაბილონური და ეგვიპტური კულტურებისაგან, სადაც ზუსტი ასტრონომიისა და წელთაღრიცხვის, წარსულისა და მომავლის სიყვარულით საათით ოპერირებდნენ, ბერძნებს ეს ინსტრუმენტი არ უყვარდათ. მათ წელთაღრიცხვა არ ჰქონდათ, ოლიმპიადების თვლა მხოლოდ ლიტერატურული ხერხი იყო (შპენგლერი 1923:95).

დროის დინების ქრონოლოგიურ ღერძად წარმოდგენა და ამ სახით დამკვიდრება მართალია შედარებით მოგვიანებით ხდება, მაგრამ ამგვარ წარმოდგენას საფუძვლად ქრისტიანული მსოფლხედვა უდევს. მონოთეისტური რელიგიის მიერ ღმერთის აბსოლუტურობის მტკიცება მარადიულობა-წარმავლობის პრობლემის წამოწევას განაპირობებს. მისი საფუძვლები კი, ანტიკურ მსოფლმხედველობასა და ფილოსოფიაშია გააზრებული. ამ მხრივ ქრისტიანობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი პლატონია – „...მან /მამამ, ღმერთმა/ მიზნად დაისახა, შეექმნა მარადისობის ერთგვარი მოძრავი ასლი და ცის წესრიგთან ერთად უძრავი და ერთადერთი მარადისობის ხატად შექმნა მოძრავი და მარადმედინი ხატება, რომელიც რიცხვთა კანონის თანახმად მიედინება და რომელსაც დროს ვუწოდებთ...“ (პლატონი 1994:37).

ქრისტიანულ წარმოდგენით, ანტიკური, ამქვეყნიური, სივრცულ-კოსმიურ წესრიგი იმქვეყნიური, მარადიული სამართლიანობით იცვლება (კოსმოსის პირველადი მნიშვნელობაც ხომ ადამიანთა „სწორი“ მოწესრიგებაა). ხოლო კავშირსა და მიმართებას ამ ორ, წარმავალ და მარადიულ სამყაროებს შორის განაპირობებს დრო, დრო, რომელიც მარადიულობის ამქვეყნიური გამოვლენა და მისკენ მავალი გზაა. დროს ტოპოლოგიური (ან სივრცულ-სხეულებრივი) კონცეპტი შეესაბამება.

ადამიანი მარად ცვალებადი სამყაროს ყოველ მოვლენას ვერ მოიცავს, ვერ აღნუსხავს, მას აბსოლუტური ხედვა არ აქვს, იგი ადგილითა და დროით არის შეზღუდული. გამოსავალი ერთია – შინაგანი ძალისხმევით დააფიქსიროს რაღაც უცვლელი, უძრავი ფორმები და მათი საშუალებით სამყაროს მოუხელთებელ ცვალებადობაში რაღაც გაიგოს, რაღაცას მიხვდეს. სწორედ აქედან დაიწყეს ბერძნებმა და

დაუშვებს, რომ სამყარო ერთიანია, მოწესრიგებულია (თალესი) და ამ მოწესრიგების გამოვლენად ან საზომად სხეული მიიჩნეის.

ახალ დროში სივრცე-დროითი სტრუქტურა იმ უნივერსალური მექანიზმის როლს ასრულებს, რომელიც არა მარტო გარემომცველ სამყაროს აწესრიგებს, არამედ შიდა და გარე რეალობებს შორის წონასწორობასაც ამყარებს. ამიტომაც უნდა დავეთანხმოთ მერაბ მამარდაშვილს, იმაში, „რომ სივრცე-დროით წარმოდგენას ალბათ ისეთივე ოპერატორ-გარდამქმნელის როლი ეკისრება, როგორც მეტაფიზიკურ მე-ს“ (მამარდაშვილი 1993:138).

დრო ადამიანის არსებობის პრედიკატია, რომელიც ერთგვარ როლს ასრულებს ადამიანის იდენტობის პოვნასა და განმტკიცებაში.

ადამიანი თავისი არსებობის მანძილზე ცდილობს თავისი ადგილის, მნიშვნელობის, დანიშნულების გაცნობიერებას. ნაწილობრივ ის ამას ახერხებს და ახდენს თვითიდენტობის მეშვეობით. წარმოუდგენელია, როგორ უნდა შეძლოს ადამიანი ზოგადად ადამიანის, ადამიანურობის გააზრება, „თუ არ განმტკიცდა თვითგანცდაში და არ შეაფასა თავისი განსაკუთრებულობა. ეს, თითქოსდა, ბუნებრივი და სრულიად ლოგიკური პროცესი არცთუ ისეთი მარტივია. უამრავია ადამიანი, რომელიც იბადება, ცხოვრობს, კვდება და სრულებით არ ფიქრობს თავის დანიშნულებაზე და, მითუმეტეს, არ ცდილობს თავისი ადგილის, განსაკუთრებული ადგილის დამკვიდრებას“ (ბერეკაშვილი 2012).

თვითიდენტურობის პრობლემის საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა ფრანგი ფილოსოფოსი პოლ რიკიორი, რომელიც თავის ხედვას ოდისევსის მაგალითის მეშვეობით გადმოგვცემს (რიკიორი 2010). იგი მიიჩნევს, რომ იდენტურობის პრობლემა, რომელიც ყველა მოაზროვნე პიროვნებას უდგება, გულისხმობს არა მხოლოდ მის პიროვნულ თვითგამორკვევას, თავისი საშუალებებისა და უნარების წვდომას, არამედ სხვების მხრიდან ცნობასა და აღიარებას. არ არის საკმარისი, ვიცოდეთ ვინ ვარ მე და რა

შემიძლია, შემდეგი ნაბიჯი სხვების მხრიდან ჩემი „ასეთად“ აღიარება და ცნობაა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ოდისევსი, რომელიც მრავალი წლით მოწყდა სახლს, სამშობლოს და ბრუნდება შინ, როგორც უცნობი. თავად მანაც ერთგვარად დაკარგა თვითშეგრძნების ძველი, ჩვეული ხატი და თავიდან უხდება თვითგამორკვევა, მისი შესაძლებლობების საზღვრების დადგენა და სხვებისთვის ამის კიდევ ერთხელ დამტკიცება. რასაკვირველია, ეს პროცესი არ იწყება ამ შემთხვევაში სუფთა ფურცლიდან. ოდისევს აქვს წარსული, საიდანაც მოჰყვება თილისმასავით მეხსიერების სურათები და უტყუარი სიმბოლოები, რომლებიც მხოლოდ მისია, მისი ერთადერთობის ნიშნებია.

ჰაიდეგერის თვალსაზრისით, დრო ადამიანის ყოფიერების ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია (ჰაიდეგერი 1997). დრო დაკავშირებულია არა მხოლოდ ზოგადად ყოფიერებასთან, არამედ სწორედ ადამიანის ყოფიერებასთან. დროს, რომელიც ადამიანთანაა დაკავშირებული, ჰაიდეგერი (1989) უწოდებს „პირველსაწყის დროს“, ხოლო დროს, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული ადამიანთან, „წარმოებულ დროს“. დროს, რომელსაც ადამიანი განიცდის, ის უწოდებს „დროებითობას“, რომელიც ყოფიერების რაგვარობა კი არა, არამედ თავად ყოფიერებაა, ანუ იქცევა თავად სუბიექტად.

დროებითობა ყოველთვის ჩვენია და ჩვენშია, მისი მეშვეობით იხსნება ყოფიერება. დროებითობას ჰაიდეგერი ახასიათებს ისეთი ნიშნებით, როგორებიცაა: სასრულობა, ექსტატიურობა, ჰორიზონტალობა, სიკვდილისკენ მიმართება. სასრულობა დაკავშირებულია ადამიანის არსებობის სასრულობასთან. ექსტატიურობა მდგომარეობს იმაში, რომ წარსული, აწმყო და მომავალი არსებობენ ერთდროულად და წარმოადგენენ „ექსტაზებს“ – ადამიანის სუბიექტური განცდების მომენტებს. ჰორიზონტალობა ნიშნავს იმას, რომ „პირველსაწყისი“ დრო არ არის დაკავშირებული განვითარების პროცესთან. მას ახასიათებს არა იმდენად განვითარება, რამდენადაც განმეორება.

ჰაიდეგერი (1989) მიიჩნევს, რომ თანამედროვე ფილოსოფიაში ხდება აწმყოს აბსოლუტიზება. სინამდვილეში კი წარსული, აწმყო და მომავალი ურთიერთგანაპირობებენ ერთმანეთს, ხდება მათი ურთიერთშელწევა. წარსული მუდამ არსებობს და ზემოქმედებს აწმყოზე და მომავალზე, რომლებიც აგრეთვე ყოველთვის არსებობენ და ზემოქმედებენ ერთმანეთზე და წარსულზე. განიხილება რა როგორც აწმყო, დრო განიხილება როგორც მუდმივი ყოფნა, ხოლო მომავლის ფორმით იგი დაკავშირებულია შიშთან, მოლოდინთან, მოვალეობასთან. მხოლოდ მომავლისაკენ ორიენტაცია ანიჭებს პიროვნებას ნამდვილ არსებობას.

ადამიანის არსებობა, ჰაიდეგერის თვალსაზრისით, აერთიანებს დროის სხვადასხვა მომენტებს, აერთიანებს ყოფიერებას და დროს. მეტიც, ადამიანი თავად არის დროის შემქმნელი, ვინაიდან აწმყო და მომავალი და, ამდენად, წარსულიც, დეტერმინირებულია მისი ქცევითა და სამომავლო გეგმებით.

მეტად საინტერესოა ჟან ლაკრუას თვალსაზრისი დროისა და მარადიულობის მიმართების საკითხზე (ლაკრუა 2004). მისი აზრით, აღნიშნული მიმართება კარგად გამოიხატება სინდისის ქეჯნისა და მონანიების ანალიზში. სინდისის ქეჯნა მიმართულია წარსულზე და აქ ყოველთვის შეიძლება მოხდეს ისე, რომ ის გადაიქცევა სასოწარკვეთილებად. მართლაც, გამოკეტვა წარსულში, მარტო მისით ცხოვრება, მისი უარყოფითი მხარეების მუდმივი გადასინჯვა და უუნარობა მისი გადალახვისა სხვა არაფერია, თუ არა სასოწარკვეთილება.

იუდასა და წმინდა პეტრეს შორის განსხვავება არა მათი შეცოდების ხარისხშია, არამედ იმაში, რომ იუდა მოიქცა წარსულისკენ, ვერ გადალახა ის და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, რამაც თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ხოლო წმინდა პეტრემ თავისი მზერა მომავლისკენ მიაპყრო, იმედისკენ, სასოწარკვეთილი ადამიანი თავისი წარსულის ტყვეა. საინტერესოა აგრეთვე, რომ მომავლისკენ სვლა, მონანიება, ქმნალობა ძალიან ხშირად საზოგადოებაში დაბრუნებაა, ადამიანებთან და

ადამიანებისთვის ყოფნაა. მონანიება მიმართულია მომავლისკენ. ეს მეტაფიზიკური გრძნობაა, რომელიც გადალახავს დროს და მარადიულობას შეეფარდება.

პარადოქსია: ერთი მხრივ, ადამიანი მუდამ ლახავს წარსულს და მომავლისკენ მიემართება, მარადიულობაში, და, მეორე მხრივ კი, მას მუდამ ახსოვს, რომ მოკვდავია, რომ ყოველი წუთი შეიძლება უკანასკნელი აღმოჩნდეს და მხოლოდ ამ ორი განცდის გამთლიანებით ადამიანი იქცევა პიროვნებად და პოულობს თავის იდენტურობას.

დროის ფენომენის ახსნის ყველაზე ძველი ვერსია ეკუთვნის პლატონს, რომლისგანაც იგი ისესხა პლოტინმა, ხოლო შემდგომ - წმინდა ავგუსტინემაც. ეს იდეა ადამიანის ერთი ყველაზე უმშვენიერეს გამონაგონთაგანია.

მშვენიერი გამოგონებაა მარადიულობა. რა არის მარადიულობა? - მარადიულობა არ წარმოადგენს ყველა ჩვენი „გუშინის“ ჯამს. მარადიულობა ეს ყველა ჩვენი „გუშინაა“, ყველა გონიერი არსების ყველა „გუშინაა“, მთელი წარსული, ვინ უწყის, როდის დაწყებული წარსული და აწმყო, წამი, რომელიც საკუთარ თავში გულისხმობს ყველა ქალაქს, ყველა სამყაროს, პლანეტათაშორის სივრცეს. და ბოლოს, მომავალი, ჯერ არქმნილი, მაგრამ ისიც დროში არსებული.

თეოლოგები მარადისობას წამად თვლიან, რომელშიც გასაოცრად გაერთიანებულია ეს სხვადასხვა დროები. პლოტინი ამბობს: არსებობს სამი დრო, და სამივე აწმყოა. ერთი - უშუალოდ აწმყოა, წამია, როცა ვლაპარაკობ, ანუ წამი, როცა მე ვლაპარაკობდი (პლოტინი 1927). ეს წამი ხომ უკვე წარსულს ჩაბარდა. მეორეა წარსულის აწმყო, იგი მეხსიერებად იწოდება. და მესამე - მომავლის აწმყო, ის, რაც გულისხმობს ჩვენს იმედებსა და შიშებს (ბორხესი 2011).

არსებობს ორი შეხედულება დროზე. ერთის თანახმად, დრო მდინარეა, ჩვენკენ რომ მოედინება თავისი მიუწვდომელი საწყისიდან. სხვაგვარად უყურებს დროს ინგლისელი მეტაფიზიკოსი ჯეიმს ბრედლი. ბრედლი ამბობს, რომ ხდება სწორედ

საპირისპირო რამ, რომ დრო მოედინება მომავლიდან აწმყოსაკენ, ხოლო ის მომენტი, რომელშიც მომავალი იქცევა წარსულად, არის კიდევ ის, რასაც ჩვენ აწმყოს ვეძახით.

სამი დროიდან - წარსულიდან, აწმყოდან და მომავლიდან - ყველაზე რთული, ყველაზე მოუხელთებელი აწმყოა. აწმყო წერტილივით მოუხელთებელია. თუკი მას ხანგრძლივობის გარეშე წარმოვიდგენთ, იგი ხომ არარსებული აღმოჩნდება. ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ აწმყო, რომელშიც იქნებოდა ცოტა წარსული და ცოტა მომავალი. ასე შეიგრძნობა დროის სვლა. აწმყო არ არის ჩვენი ცნობიერების უშუალო აღქმა.

ადამიანი „ვერ ეტევა შემოსაზღვრულ დროში. მომავალი მისთვის პრინციპულად ღიაა, ამიტომ „სივიწროვის“ განცდის გამო დროის საზღვრის გადალახვის ინტენცია მასში წარსულისკენ მიიმართება“ (დალაქიშვილი 2001:51). ამდენად, ადამიანს წარსული მომავლისთვის სჭირდება, მაგრამ სად არის აქ აწმყოს ადგილი? ამ სამეულში აწმყო დომინანტობს, რაკი იგი მუდამ არის. წარსულივით არც „გამოხმობა“ სჭირდება და არც მომავალივით „გადატყორცნა“. სწორედ ამიტომ, ადამიანის ყოფიერების ამ გზაზე ერთადერთ დაბრკოლებად აწმყო გვევლინება. იგი ადამიანს მუდმივად თიშავს, ერთის მხრივ, მომავლისგან, და, წარსულისგანაც – მეორეს მხრივ. მაგრამ სწორედ აწმყოს აკისრია „ცენტრის“ ფუნქცია, მხოლოდ მას შეუძლია გააწონასწოროს და მოაწესრიგოს თავის ირგვლივ ყოფიერების ის ფორმა, რომელშიც ადამიანი მკვიდრობს.

ამიტომ, მაშინ როდესაც წარსული აგებს მომავალს, აწმყო ერთსა და იმავე დროს წარსულად და მომავლად გვევლინება, ხოლო ამ კონტექსტში ადამიანური არსებობა არის „მარადიული განმეორებადობა“, რომელიც „მითის მარადიული კვლავდაბრუნების“ (ელიადე 1996). პირდაპირპროპორციულია. ჰაიდეგერის სიტყვით, „მუნყოფიერება არის მისი წარსული თავისი ყოფიერების სახით, რაც, უხეშად რომ ვთქვათ, მუდამ მისი მომავლიდან „ხდება“ (ჰაიდეგერი 1989:41).

დროის საკითხის განხილვისას, ჰაიდეგერს მოჰყავს ავგუსტინეს ცნობილი სიტყვები „აღსარებანის წიგნიდან უპირველესია“ (ჰაიდეგერი 1989:325) და ფიქრობს, რომ დროის შესახებ არისტოტელეს გამოკვლევები ავგუსტინეს ნააზრევთან შედარებით უფრო მკაცრი და საფუძვლიანია, მაგრამ ავგუსტინე ხედავს, რომ დროის ფენომენის განსაკუთრებული განზომილება უპირველესია (ibid. 1989:329). ამ ნაშრომში ჰაიდეგერი დაწვრილებით განიხილავს დროის არისტოტელესეულ ინტერპრეტაციას და მოჰყავს მისი სიტყვები, რომ დრო ერთდროულად ყველგანაა, მიწაზე, ზღვაზე, ცაში. ის აზუსტებს, რომ დრო ყველგანაა და მაინც ის არსადაა და ამის მიუხედავად, ის მხოლოდ სულშია (ibid. 1989:360).

ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, დრო არის მოძრაობა, კერძოდ, ვარსკვლავთა მოძრაობა და რომ დროის მსვლელობა განპირობებულია ციური სხეულების მოძრაობით. ავგუსტინე არ ეთანხმება ამ დებულებას, რადგან მოძრაობა, მისი აზრით, აღიქმება დროში და არა პირიქით – დრო მოძრაობაში. დროის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია გავზომოთ ციური სხეულების მოძრაობაც და არავითარ შემთხვევაში პირიქით. ჩვენ ვიცით, რომ თავად ვარსკვლავების მოძრაობა შეიძლება იყოს სწრაფი ან ნელი, ამის განსაზღვრისთვის კი უნდა არსებობდეს საზომი. ამიტომაც დრო არის არა მოძრაობა, რადგან თავად მოძრაობა არსებობს დროში.

ამ შეხედულების საილუსტრაციოდ და მისთვის მეტი სიცხადის მისაცემად ავგუსტინე ბიბლიურ მაგალითზეც მიუთითებს: „მაშ ნულარავინ მეტყვის, რომ დრო ციურ სხეულთა მოძრაობაა. როცა ერთმა კაცმა ლოცვით შეაჩერა მზე, რათა გამარჯვებით დაესრულებინა ბრძოლა, მზე იდგა, დრო კი მიდიოდა... ამრიგად, მე ვხედავ, რომ დრო ერთგვარი ვრცეულობაა თუ განფენილობაა. მაგრამ მართლა ვხედავ თუ მეჩვენება, რომ ვხედავ?“ (ნეტარი ავგუსტინე 1995:14).

საკითხი დროის არსებობის შესახებ საკმაოდ რთული და უცნაურია. როცა რაიმეს არსებობაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვსაუბრობთ მის არსებობაზე დროში. მაგრამ

როგორ უნდა ვისაუბროთ თავად დროის არსებობაზე? შესაძლებელია, რომ დრო არსებობდეს დროში?

ავგუსტინე მსჯელობს უფლის ზედროულობასა და მარადისობაზე, ქმნილების დროზე დაქვემდებარებულობაზე, მის დროებითობაზე და თავად დროის დასაბამზე. კერძოდ, ავგუსტინეს აწუხებს დროის გაზომვადობის საკითხი. ჩვენ ვსაუბრობთ „ხანგრძლივი“ და „მოკლე“ პერიოდების შესახებ. მაგრამ აწმყოს არ აქვს ხანგრძლივობა, ის არ არის არც გრძელი და არც მოკლე (ibid. 1995:18-20). დრო უკან მიდის, წარსულისკენ, ისე რომ აწმყო პერმანენტულად წყვეტს საკუთარ არსებობას და ხდება წარსული.

ავგუსტინეს მიხედვით, დროის გაზომვა შესაძლებელია ადამიანის ცნობიერებით, რომელსაც მომავლის მოლოდინი აქვს, წარსული ახსოვს და აწმყოს კი უშუალოდ აღიქვამს (ibid. 1995:26-33). ავგუსტინე წერს: „ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავ მათ“ (ibid. 1995:26). ანუ რეალურად ისინი არ არსებობენ, რადგან წარსული უკვე აღარ არსებობს, მომავალი კი ჯერ არ დამდგარა. ამიტომ მხოლოდ აწმყოს შეცნობაა შესაძლებელი. მაგრამ სად არის ეს აწმყოც?

თავიდან ავგუსტინე წერს, რომ აწმყოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ წელიწადი, რომელშიც არსებობს წარსული და მომავალი. შემდეგ შეიძლება ამ ცნების შევიწროვება თვემდე, კვირამდე, დღემდე საათამდე, წუთამდე და საბოლოოდ ჩვენ მივდივართ ერთ წერტილამდე. მაგრამ როცა კი ვეცდებით ამ წერტილის შეპყრობას, ის ხელიდან გვისხლტება: ის უკვე წარსულად გარდაიქმნება. ჩვენ ვცდილობთ გავიგოთ მომავალი, მაგრამ ასევე ისიც გვისხლტება ხელიდან. დრო არსებობს ან აწმყოში ან წარსულში.

ჩვენი უნარი დროის ხანგრძლივობის გაზომვისა დაფუძნებულია ჩვენს შესაძლებლობაზე ამ ხანგრძლივობის გონებაში გატარებისა, რომელიც უნდა განვიცადოთ. ამრიგად, დროის გაზომვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, როცა ის

მიმდინარეობს, და შეგვიძლია სწორედ იმიტომ, რომ მის მსვლელობას ვგრძნობთ. განა შეიძლება გაზომო წარსული, რომელიც უკვე აღარ არის, ან მომავალი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის? ვინ გაზედავს იმის მტკიცებას, რომ შეიძლება გაზომო არარსებული? ასე რომ, სანამ დრო მიმდინარეობს, ის შეიძლება შეიგრძნო და გაზომო კიდევ; მაგრამ როცა მან განვლო, ეს უკვე შეუძლებელი ხდება, რადგანაც დრო აღარ არის (ibid. 1995:21).

ავგუსტინეს მიხედვით, ობიექტური სამყარო დროში არსებობს, ამიტომ ის უფრო მეტად იხრება იმ თვალსაზრისისკენ, რომ დრო არსებობს ჩვენს სულშიც და ობიექტურადაც; მაგრამ დრო არის არა მატერიალური მოცემულობა, არამედ სულის თვისება. „აღსარებაში“ ავგუსტინე წერს: „ჩემი აზრით, დრო ერთგვარი განფენილობაა, მაგრამ რისი განფენილობა? – ეს კი არ ვიცი. იქნებ საკუთრივ სულისა?“ (ibid. 1995:33).

რა არის დრო? - ეს ავგუსტინესთვის, საბოლოო ჯამში, საიდუმლოდ რჩება. ერთადერთი რასაც ის ამბობს ამის შესახებ, არის ის, რომ დრო არის სულის ერთგვარი განგრძობითობა, გახანგრძლივებულობა. ის ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ ვაცნობიერებთ დროს და როგორ შეიძლება აიხსნას დროის არსი მხოლოდ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. მართალია, ავგუსტინეს მიერ შემოთავაზებული დროის ამგვარი ფსიქოლოგიური თეორია არ არის ორიგინალური, მაგრამ მის მცდელობაში მაინც არის გარკვეული სიახლე, დროის შეგრძნების ილუსტრირებისას, მეხსიერებისა და მოლოდინის (წინათგრძნობის) ცნებების გამოყენებით.

მიუხედავად იმისა, რომ ავგუსტინეს დროის ფსიქოლოგიური გააზრება უფრო აინტერესებს, მაგრამ ის ასევე იყენებს ზოგიერთ მთავარ იდეას ანტიკური ფილოსოფიიდანაც. რამდენადაც ავგუსტინე განიხილავს დროს როგორც ნატურ-ფილოსოფიის საკითხს, ბუნებრივია, მისი შეხედულებები არისტოტელეს მიმდევართა და სტოიკოსების ნააზრევთან მსგავსებასაც ამჟღავნებს. ავგუსტინეც უშვებდა, რომ დრო უსაზღვროდ დაყოფადი თანმიმდევრულობაა (ibid. 1995:20), რომ დრო და მოძრაობა სხვადასხვა რამაა, მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობა არ არსებობს დროისგან

დამოუკიდებლად (ibid. 1995:31). ავგუსტინე თავის მსჯელობას ამთავრებს ფრაზით: „შენში, სულო, ჩემო, ვზომავ დროს“ (ibid. 1995:34).

ყველა დრო დროებითია. დრო არასოდეს არ გვაქვს. მას ყოველთვის ვკარგავთ, რადგან სწორედ დროებითობა ანიჭებს ყოველივეს მოძრაობას და მარადისობას. ეს არის არა ერთიანი უწყვეტი ხაზი უსასრულობისკენ, არამედ მუდმივი წყვეტები.

დრო ადამიანს ჰგავს, ყველა ადამიანი მოკვდავია, მაგრამ კაცობრიობა - უკვდავი. დროც ზუსტად ასეთი ინდივიდუალური ერთეულებისაგან შედგება. ეს ნაწილები (პერიოდები) ჩნდებიან და ქრებიან, ისინი ადამიანებით სიკვდილის შვილები არიან, მაგრამ ზოგადად დრო, როგორც ერთიანი სურათი, მარადიულია. ობიექტურად, რასაკვირველია, ეს სურათი არ არსებობს, ჩვენ მას მხოლოდ ვიაზრებთ (ხან თანმიმდევრულად, ხან ერთდროულად) მხოლოდ იმ ნიშნების წარდგენით, რომელთაც, მაგალითად, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვიყენებთ.

ისევე, როგორც კაცობრიობის არსებობის შესახებ ვასკვნით იმ საგნების მიხედვით, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით შექმნილა (მაგ: ხიდები, ცათამბჯენები, ომები და ა. შ) დროის შესახებ ვასკვნით ისტორიის მიხედვით, მხოლოდ იმით, რაც იყო და რაც შეიძლება იყოს მომავალში; როგორც ისტორიული პერსპექტივა, როგორც ისტორიის სწორხაზოვანი გაგრძელება (დათიაშვილი 2012).

1922 წლის აპრილში ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ფარდობითობის თეორიის ავტორი ა. აინშტაინი და მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზროვნების წარმომადგენელი ა. ბერგსონი. კამათის საგანი იყო დრო. ფიზიკოსი და ფილოსოფოსი ვერ შეთანხმდნენ: ერთისთვის დრო ობიექტური, სწორხაზოვანი და თვლადი კატეგორია გახლდათ, მეორისათვის კი - სუბიექტური, ადამიანის მიერ შინაგანად გამომუშავებული ხანგრძლივობა. დრომ კვლავაც მოაქცია ჩიხში აზრი.

დროც, სივრცის მსგავსად, სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად აღიქმება. მაგ: თუ დასავლური კულტურა მკაფიოდ აფიქსირებს დროს და დაგვიანება აქ

დანაშაულადაც კი ითვლება, არაბულ ქვეყნებში, ლათინურ ამერიკასა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში – დაგვიანება არავის უკვირს. ევროპული ქვეყნების საქმიანი ეტიკეტი მიუღებლად მიიჩნევა მნიშვნელოვან შეხვედრებზე დაგვიანებას. უკიდურესი დროითი ინტერვალი – 7 წუთია, თუმცა ნაკლებად ფორმალურებულ შეხვედრაზე დასაშვებია 15 წუთით დაგვიანებაც. მაგ: თუ ლექტორი იგვიანებს ლექციაზე 15 წუთზე მეტს, სტუდენტებს აქვთ „კანონიერი“ უფლება დატოვონ აუდიტორია. ინდოეთში დასაშვებია 40 წუთით დაგვიანება. არაბები ზუსტი ვადების დანიშვნას აღიქვამენ პირად შეურაცხყოფად. ეთიოპელები პრესტიჟულად თვლიან იმ საქმეს, რომელზეც დიდი დრო დაიხარჯა.

კულტუროლოგია განსახვავებს მონოქრონულ და პოლიქრონულ კულტურებს. აღნიშნულ დიფერენციაციას საფუძვლად უდევს დროისადმი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა განსხვავებული დამოკიდებულება (ჰოლი 1989).

მონოქრონულ კულტურათა წარმომადგენლები (დასავლეთ ევროპა, და ამერიკის შეერთებული შტატები) დროს წინასწარ გეგმავენ, აფიქსირებენ გასაკეთებელ საქმეთა თანმიმდევრობას. მონოქრონულ კულტურებში დრო კაპიტალია, რომელიც უბოძა ღმერთმა ადამიანს, რათა ადამიანმა რაც შეიძლება სწორად და გონივრულად ჩადოს იგი.

მონოქრონულ კულტურებში დრო შეიძლება დახარჯო, დაზოგო, გაფლანგო, დააჩქარო, შეანელო ან დაკარგო. ამ კულტურის მატარებლები უპირატესობას ანიჭებენ ერთი და იმავე საქმის ერთი და იმავე დროის მონაკვეთში კეთებას. ისინი საკმაოდ ჩაკეტილები, მობილიზებულნი და კონცენტრირებულნი არიან თავიანთ სამუშაოზე; არ უყვართ, როცა მათ სწყვეტენ სამუშაო პროცესს; იცავენ ყველა შეთანხმებას; გააჩნიათ პასუხისმგებლობის გრძნობა; ცდილობენ სხვებს ხელი არ შეუშალონ; არიან პუნქტუალურები და უმეტესად, პიროვნებათშორის მოკლევადიანი კონტაქტებს ემხრობიან.

პოლიქრონულ კულტურათა წარმომადგენლები (სამხრეთ ევროპა, ლათინური ამერიკა, აფრიკა და არაბული ქვეყნები) არ აფიქსირებენ გასაკეთებელ საქმეთა თანმიმდევრობას - გასაკეთებელი საქმეები მათთვის „შესაძლებლობათა რეპერტუარია“.

პოლიქრონულ კულტურებში დრო ნაკლებად საგრძნობია. ასეთი კულტურის წარმომადგენლები დროის ზუსტ გამოყენებაზე არც კი ფიქრობენ. მის მატარებლებს, პირიქით, შეუძლიათ რამოდენიმე საქმის ერთდროულად კეთება, ხშირად წყვეტენ სამუშაო პროცესს, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ შეხვედრებისას შეთანხმებებს. ისინი ხშირად და ადვილად ცვლიან საკუთარ გეგმებს, უფრო აინტერესებთ ადამიანი და მისი პირადი საქმეები, ვიდრე სამუშაო. მათი პუნქტუალურობა დამოკიდებულია ურთიერდამოკიდებულებაზე, ადამიანებთან ურთიერთობას ამყარებენ მთელი ცხოვრების მანძილზე.

ნებისმიერ ლოზუნგში, მანიფესტში, დეფინიციასა თუ ტერმინში ვლინდება კონკრეტული დროითი ორიენტაცია. გამოხატავს რა აზროვნების სისტემას, დაკავშირებულს მოაზროვნე სუბიექტის პოზიციასთან, ნებისმიერი დეფინიცია გამოხატავს (ზოგჯერ მეტ-ნაკლები სიცხადით) დროით ორიენტაციას, რომელიც დგას ამა თუ იმ სააზროვნო სისტემის მიღმა.

3.2. „დროის“ ფრეიმული ქსელი თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში

რთულია იმის თქმა, თუ რა საშუალებებით, როგორ ან რა მექანიზმით ხდება ადამიანური სამყაროს სტრუქტურირება, კოორდინაციური ველების ფორმირება. თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რაიმე წესით მოცემული სამყარო სიტყვიერებაში, ანუ ენაში ყოველთვის აისახება. ამასთან, ენა მარტო ასახვის კი არა, სამყაროს წესრიგის ერთ-ერთი ძირითადი მატარებელი და ახალი მიმართებების ფორმირების საშუალებაცაა (ორტეგა-ი-გასეტი 1991:295). და რადგანაც ეს ასეა, სივრცე-

დროითი წარმოდგენაც, რომელიც სამყაროს მოწესრიგებას უდევს საფუძვლად, უნდა ვლინდებოდეს ენაში.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ენაში ობიექტივიზაციის თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ „დროის“ ფრეიმთა ქსელი შედგება ისეთი კონსტრუქციებისაგან, როგორცაა:

I. ფრეიმი „დროის ხანგრძლივობა“

ფრეიმის ლექსიკალიზაცია ხდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, რომელთაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „დიდი ხნის წინ“/„ცოტა ხნის წინ“; „დიდი ხნის განმავლობაში“/„ცოტა ხნის განმავლობაში“; „სწრაფად“/„ნელა“; „წარმავლობა“; „პერიოდი“; „საკმარისობა“ /„არასაკმარისობა“; „ასაკი“.

სქემა 4. ფრეიმი „დროის ხანგრძლივობის“ სტრუქტურა



ფრეიმი „დროის ხანგრძლივობა“-ს მიეკუთვნება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორებიცაა:

- “from the cradle“ - „უხსოვარი დროიდან“;
- “from the dawn of time“ - „ადამ და ევას დროიდან“; „სამყაროს დასაბამიდან“; „ათადან- ბაბადან“, „უხსოვარი დროიდან“;
- “a lot of water has flown since then“ - „მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა“;
- “dating from the times of the siege of Eighty-eight“- „საუკუნის წინ; ათასი წლის წინ“;
- “when Adam was a boy“- „ადამის ქამიდან“;
- “when queen Anne was alive“ - „თავის დროზე“;
- “Queen Ann is dead!“ - „ძველი ამბავია!“;
- “in the year dot“ - „უხსოვარი დროიდან“.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, ქართული შესატყვისი ფრაზეოლოგიური ერთეულისა “from the cradle“ არის უხსოვარი დროიდან. თავად სიტყვა “cradle“ ძველ ინგლისურში (12 საუკუნე) “cradol“ აღნიშნავს „პატარა საწოლს, ბავშვის საწოლს“, ჩვენებურად „აკვანი“. “cradle“ წარმოადგენს ცხოვრების დასაწყისის აღმნიშვნელს (ე.ლ.).

ეს ფრაზა პირველად გამოიყენა რიჩარდ სტილმა, თავის ნაწარმოებში “*The Tatler*“ (1709):

“A modest fellow never has a doubt *from his cradle* to his grave“ (1709)

(ფ.ო.ლ.)

ინგლისური ფრაზის - “Queen Ann is dead!“ ქართული შესატყვისის წარმოადგენს „ძველი ამბავია!“ დედოფალი ანა 1702 წელს გახდა ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის დედოფალი. 1714 წელს ის ავად გახდა და რადგან მას არ ჰყავდა მემკვიდრეები (ყველანი ადრეულ ასაკში გარდაიცვალნენ), ამიტომაც ამ ფაქტს ცოტა ხნით მალავდნენ ქვეყანაში არეულობა რომ არ გამოეწვია. თუმცა, სანამ ამ ფაქტს

ოფიციალურად გამოაცხადებდნენ, უკვე ყველასთვის იყო ცნობილი. ამ ფრაზას მაშინ ეუბნებიან ადამიანს, როდესაც ვინმე უკვე ყველასათვის ცნობილ ფაქტს ამბობს (ე.ლ.).

განვიხილოთ კიდევ ერთი ფრაზა - “forever and ever“. თვითონ სიტყვა “ forever“ ნიშნავს „სამუდამოდ“ და მე-14 საუკუნეში წარმოიშვა სიტყვებისგან “ for“ და “ ever“ („მუდამ“). მე-17 საუკუნიდან კი უკვე ერთად იწერება (ე.ლ.):

“Now she had got a start, and she went on and told me all about the good place. She said all a body would have to do there was to go around all day long with a harp and sing, *f o r e v e r a n d e v e r*”(Mark Twain “Huckleberry Finn”, chapter 1).

ამ ფრაზის ქართული შესატყვისი არის „ერთხელ და სამუდამოდ“:

„- გადაეცი ამ დედაკაცს, რომ *ერთხელ და სამუდამოდ* უარს ვამბობ ფრანგულზე. მეყო... დროა გავათავოთ... ესეც დაუმატე: ამ დღეებში სამშობლოში ვბრუნდები და კისრიდან სამუდამოდ მოგწყდებით-თქო” (მიხეილ ჯავახიშვილი, „მიწის ყვილი“).

„პერიოდის“ სემას განეკუთვნება ინგლისური ფრაზა “rough times“, რომლის ქართული შესატყვისი არის „ქარიშხლიანი დღეები“:

“That's what's the matter! It used *to be r o u g h t i m e s* with me when you knew me-- insurance-agency business, you know; mighty irregular. Big fire, all right--brisk trade for ten days while people scared; after that, dull policy-business till next fire“ (Twain Mark “Life on the Mississippi”, chapter 43).

„მე ვწერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში, როდესაც წვიმის წვეთები ეცემიან მინას და როცა სიშორეზე ტირის როიალი. მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების *ქარიშხლიანი დღეები* და სინანულის ჟრუანტელი მივლის. თანაც მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი“ (ტერენტი გრანელი, „გულიდან სისხლის წვეთები“).

ცნებასთან „ცოტა ხნის წინ“ დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა რაოდენობა მწირია. ფრაზეოლოგიზმები, რომელთა მნიშვნელობა „სადმე მცირე დროის განმავლობაში ყოფნა - გამოუცდელობა“, საკვლევ ენებში ხასიათდება როგორც უარყოფითი, ისე დადებითი კონოტაციით: “A new broom sweeps well” - „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის“; “smb. is a fresh hand at smth.” - „გუმინდელი ღლაპი“.

ინგლისური ფრაზა - “A new broom sweeps well” ჯონ ჰეივუდმა თავის ანდაზების კრებულში 1546 წელს მოიხსენია. ეს ანდაზა ხატოვნად გამოიყენებოდა შექსპირის ეპოქაშიც კი:

“It would have made a horse break his halter sure
All the first fortnight their ticking might have taught
Any young couple their love ticks to have wrought.
Some laughed, and said: all thing is gay that is green.
Some thereto said: the green *n e w b r o o m s w e e p e t h c l e a n*.
But since all thing is the worse for the wearing,
Decay of clean sweeping folk had in fearing“

(ჰეივუდი 1546).

ინგლისური ფრაზის “A new broom sweeps well” ქართული შესატყვისი არის „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის“. ქართულ ლიტერატურაში ეს ფრაზა გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ, თავის ნაწარმოებში „ოთარანთ ქვრივი“. XIII თავს მან დაარქვა „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!“. სადაც აღწერილია გიორგის მოჯამაგირეობის დასაწყისი.

ინგლისურ ერთეულს - “young blood” - ორი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ორივე დადებითი კონოტაციითაა აღბეჭდილი:

- ახალბედობა - ამ მნიშვნელობით ერთეულები “young blood” („ახალი სისხლი“) და “A new broom sweeps well” – „ახალი ცოცხი კარგად ჰგვის“ სინონიმურ ობიექტივატორებად გვევლინება;
- ახალგაზრდობა - “young blood” – „ახალგაზრდა სისხლი“.

“Whereupon Mr. Slum gently raised the youth, carried him forth, and set him down just outside the car to cool off. Whether the *y o u n g b l o o d* has yet made his way out of Bascom's swamp, we have not learned. Conductor Slum is one of the most gentlemanly and efficient officers on the road; but he ain't trifled with, not much ...“(Twain Mark “The Gilded Age”, Chapter 29).

ფრაზა „ახალი სისხლი“ ხშირად გამოიყენება ქართულ პრესასა თუ ლიტერატურაში. მაგალითად:

“*ჯიმშერ რეხვიაშვილი*: – ამას “ტროას ცხენის” ეფექტი ექნება და მნიშვნელოვანი ეფექტიც, რადგან მედიის გარდაქმნა დამკვირვებლის პოზიციიდან, სუფთა ხელებითა და იმის მოლოდინით, რომ ისინი თავად შეიცვლებიან, წარმოუდგენელია. მწერალი უნდა შევიდეს მედიაში, შეიტანოს ახალი სისხლი, იდეები, რაღაც დონეზე ვარსკვლავი გახდეს და ვითარებაც შეიცვლება. ბევრი ჩივის, რომ ქართული ტელევიზია მდარე ხარისხისაა, არ გვაქვს რუსული “კულტურა”-სა და გერმანული “არტე”-ს მსგავსი არხები“ (რეხვიაშვილი 2011).

ორივე კულტურაში გაცნობიერებულია ყველაფრის წარმავლობა:

- “there is nothing permanent under the moon” - „ამ დედამიწაზე არაფერია მუდმივი“; „არაფერია მუდმივი ამ წუთისოფელში“;
- “the morning sun never lasts a day” - „ყველაფერი წარმავალია“; „ყველაფერი დროებითია“;

- “All passes, all breaks, all wearies“ - „ყველაფერი ჩაივლის, ყველაფერი იმსხვრევა, ყველაფერი ცვდება“;
- “Time cures all things“ - „დრო ყველაფრის მკურნალია“;
- “Time and thinking tame the strongest grief“ - „დრო და ფიქრი უდიდეს მწუხარებას აქარებებს“.

განვიხილოთ შემდეგი ფრაზა: “time flies“. ის ლათინური ფრაზიდან წარმოიშვა “tempus fugit“. პირველად ეს ფრაზა ჩაწერილ იქნა 1800-იან წლებში, თუმცა შეესპირიც გამოიყენებდა მას: “the swiftest hours, as they flew“; აგრეთვე, რომის პაპი ალექსანდრეც (1688-1744): “swift fly the years“ (ფ.ო.ლ.); მოგვიანებით ჩარლზ დიკენსმაც გამოიყენა (1812 – 1870):

“Now, Mr Jarndyce;” — Mr Bucket has read his face with the greatest attention all along; “..... Let me come up with her alone — a hard matter — and I’ll do my best; but I don’t answer for what the best may be. *T i m e f l i e s*; it’s getting on for one o’clock. When one strikes, there’s another hour gone, and it’s worth a thousand pound now, instead of a hundred” (Charles Dickens “Bleak House”, chapter 56).

ინგლისური ფრაზის “time flies“ ქართული შესატყვისი არის „დრო მიჰქრის/მიფრინავს“: „დრო მიჰქრის, მარადისობა კი ახლოვდება“ (ნეტარი ავგუსტინე 1995:15).

ინგლისურ და ქართულ კულტურაში ფიქსირდება **სისწრაფისადმი** როგორც უარყოფითი, ისე დადებითი დამოკიდებულება:

- “Anger and haste hinder good counsel“ - „სიჩქარით, ძალღმა, ბრმა ლეკვები მოჰყარაო“;
- “Haste makes waste“ - „სიბრაზე და აჩქარება ხელს უშლის კარგ რჩევას“;

- “Make haste slowly“ - „მოჩქარეს მოუგვიანდეს“;
- “Slow and steady wins the race“- „მოჩქარეს მოუგვიანდეს“;
- “Make hay while the sun shines“- „თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს = სანამ თონე ცხელია, პური მანამ ჩააკარო“;
- “Strike while the iron is hot“- „რკინა მანამ გამოაწრთე, სანამ ცხელია; ვკვეროთ რკინა, მანამ ცხელია“;
- “Soon learnt, soon forgotten“ - „მალე ნასწავლი მალე გვავიწყდება“;
- “Soon ripe, soon rotten“ - „რაც ადრე მწიფდება, ჩქარა ფუჭდება“;
- “Nothing must be done hastily but killing of fleas“- „აჩქარება საჭიროა მხოლოდ რწყილების ხოცვისას“.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი. მაგალითად, ინგლისური ფრაზა “slow and steady wins the race“, რომლის ქართული შესატყვისი არის „მოჩქარეს მოუგვიანდეს“:

“Joy only had a little bit of time to spend sewing every day, but she worked steadily and soon had finished a beautiful quilt. *Slow and steady wins the race*“ (გ.ო.ლ.).

განვიხილოთ შემდეგი ორი ფრაზა: “Make hay while the sun shines“ და “strike while the iron is hot“:

“Jane: While my husband's out of town, I'm going to watch all the movies he wouldn't take me to see. Jane: Why not? *Make hay while the sun shines*“ (გ.ო.ლ.).

“This is the best time in the last ten years to buy a house. Strike while the iron is hot. Ask Lisa for a favor now, while she's in a good mood. *Strike while the iron is hot*“ (გ.ო.ლ.).

პირველის ქართული შესატყვისი არის „თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს = სანამ თონე ცხელია, პური მანამ ჩააკარიო“; ხოლო მეორე ფრაზის: „რკინა მანამ გამოაწრთე, სანამ ცხელია“; „ვკვეროთ რკინა, მანამ ცხელია“. ორივეს არსი ერთი და იგივეა. ყველაფერი თავის დროზე უნდა გაკეთდეს, რომ კარგად გამოვიდეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკვლევ ენებში იძებნება ფრაზეოლოგიური ერთეულები როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციით: “by leaps and bounds“ - „საათობით იზრდება“; “grow like mushrooms“ - „სოკოსავით მრავლდება“.

საკვლევ ენებში იძებნება ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც გამოხატავენ თავშეუკავებლობასა და ზედმეტ ემოციურობას:

- “in a twinkling of an eye“ - „თვალის დახამხამებაზე“;
- “flew like a bolt of lightning“ - „ელვის სისწრაფით“;
- „as quick as a wink“ – „ძალიან სწრაფი“; „თვალის დახამხამებაში“;
- „as quick as silver“ – „ვერცხლისწყალივით სწრაფი“;
- “on the spur of the moment“ - „სულმოუქთმელად“;
- “off the top of one’s head“- „კისრისტეხვით“;
- “with a swoop“ - „სწრაფად“;
- “in a flash“ - „წამზე უსწრაფესად“;
- “off hand“ - „მაშინვე, მყისვე, იმ საათშივე, დაუყოვნებლივ“;
- “at breakneck pace“ – „კისრის ტეხვით“;
- “hand over fist“ - სწრაფად;
- “Before you could say Jack Robinson“ - „ელვის სისწრაფით“.

განვიხილოთ ფრაზა - “Before you could say Jack Robinson“. არავინ იცის, რეალურად ვინ იყო ჯეკ რობინსონი. მის სახელთან ასოცირდება სისწრაფე. აღნიშნული ფრაზა მე-18 საუკუნიდან გამოჩნდა და პირველად ფანი ბერნიმ (1778) გამოიყენა თავის ნოველაში „ეველინა“:

"For the matter of that there," said the Captain, "you must make him a soldier, before you can tell which is lightest, head or heels. Howsomever, I'd lay ten pounds to a shilling, I could whisk him so dexterously over into the pool, that he should light plump upon his foretop and turn round like a tetotum."

"Done!" cried Lord Merton; "I take your odds."

"Will you?" returned he; "why, then, 'fore George, *I'd do it as soon as say J a c k R o b i n s o n*."

(ფ.მ.წ.)

ლექსიკოგრაფმა ფრანსის გროსმა, რომელიც დროის ფრაზებს იკვლევდა და სწავლობდა, ირწმუნებოდა, რომ ეს ფრაზა რეალურ პიროვნებას უკვაშირდებოდა. 1811 წელს ის ამ ფრაზას შემდეგნაირად განმარტავს:

"Before one could say J a c k R o b i n s o n; a saying to express a very short time, originating from a very volatile gentleman of that appellation, who would call on his neighbours, and be gone before his name could be announced" (ფ.მ.წ.).

კიდევ ერთი სისწრაფის გამომხატველი ფრაზაა - "all at once":

"A murmur of compassion was heard to pervade the spectators, the more general, perhaps, on account of the alleviating circumstances of the case; when *a l l a t o n c e*, Wilsom, who, as we have already noticed, was a very strong man, seized two of the soldiers, one with each hand, and calling at the same time to his companion, "Run, Geordie, run!" hrew himself on a third, and fastned his teeth on the collar of his coat" (Walter Scot "The Heart of Mid-Lothian - Chapter 1").

სისწრაფის სემითაა აღბეჭდილი ისეთი ერთეულები, როგორცაა „in one breath“ და „ერთი ამოსუნთქვით“: „საოცარია, ამ ერთი ამოსუნთქვით ნათქვამ ლექსში მიღწეული მხატვრული სრულყოფილება“ (ქ.ე.გ.ლ. 1953:14)

ინგლისური ენისაგან განსხვავებით, ქართულ ენაში ფიქსირდება ერთეული „ერთი ამოსუნთქვა“. აღნიშნული ერთეულის მნიშვნელობაა „დროის მცირე მონაკვეთი“.

ქართულ ენებში ცნება „ნელა“, ისევე როგორც ცნება „სწრაფად“, ორგვარად ინტერპრეტირდება. საკვლევ ენებში „ნელა“ ხშირად გულისხმობს ისეთ ცნებებს, როგორცაა: „გულდასმით“, „გონივრულად“, „ჭკუით“ „დაკვირვებით“:

- “Rome was not built in a day” - აჩქარებითა სოფელი, არავის მოუჭამია“;
- “slow and sure” - „თქმულა, სიწყნარე, გმობილი, სჯობს სიჩქარესა ქებულსა“;

ინგლისური ფრაზა “Rome wasn't built in a day“ პირდაპირი თარგმანია შუასუკუნეების ფრანგული ფრაზისა “Rome ne fu[t] pas faite toute en un jour“. ჯონ ჰეივუდმა (1538) გამოიყენა ეს ფრაზა თავის ნაწარმოებში “A Dialogue Conteynyng the Nomber in Effect of all the Prouerbes in the Englishe Tongue“, ხოლო მოგვიანებით დედოფალმა ელიზაბედმა კემბრიჯში, 1563 წელს.

“Professor: When will you finish your research project? Student: It'll take me a while. *Rome wasn't built in a day, you know*“ (გ.ო.ლ.).

კიდევ ერთი ინგლისური ფრაზა “step by step“, რომლის ქართული შესატყვისი არის „ნაბიჯ-ნაბიჯ“:

“Captain Byler and I were carving at the same table at which our foreman and the widow were seated, and being in the secret, I noted s t e p b y s t e p the progress of the widow, ans the signd of gradual surrender of the corporal segundo“ (Andy Adams “A Texas Matchmaker“, Chapter XVIII).

საკვლევ ენებში „დროის“ ნომინაციურ ველთა რეპრეზენტატულობის ერთ-ერთ კრიტერიუმს ველში სინონიმური რიგების არსებობა წარმოადგენს. სინონიმური რიგის ელემენტები სხვაობენ შეფასებათა ექსპრესიულობაში: ქართულ ენაში არსებულ ერთეულს „კუს ნაბიჯებით“ შეესაბამება შემდეგი ორი ერთეული ინგლისურ ენაში: „slow off the mark“ („დაყოვნება“, „დაგვიანება“, „ზოზინი“) და „as slow as a tortoise“ („კუსავით ნელი“), თუმცა, ექსპრესიულობის თვალსაზრისით „slow off the mark“ და „კუს ნაბიჯებით“ არ არიან ეკვივალენტური - „კუს ნაბიჯებით“ გაცილებით უფრო ექსპრესიულია და მის ეკვივალენტს წარმოადგენს „as slow as a tortoise“. ექსპრესიულობის მაღალი ხარისხით ხასიათდება ასევე ელემენტი „as slow as a snail“ („ლოკოკინასავით ნელი“).

ტემპი დროის არსის კიდევ ერთი ასპექტია. მრავალი და სხვადასხვა ფიზიკური, ბიოლოგიური და კულტურული დროის ჩარჩოების ფარგლებში პროცესების დრო და ტემპორალურობა სხვადასხვა სიჩქარეს გულისხმობს. ჩვენ ვლაპარაკობთ დროზე, რომელიც ნელა ან ძალიან სწრაფად გადის. დრო მიფრინავს, როცა თავს კარგად ვგრძნობთ. დრო მძიმედ მიდის, როცა ველოდებით. დრო არასოდესაა საკმარისი, როცა დაკავებული ვართ და ის თავზესაყრელად გვაქვს, როცა არაფერს ვაკეთებთ. ამრიგად, ტემპი და ინტენსიურობა დროის კომპლექსური მნიშვნელობის ინტეგრალური კომპონენტებია. დროის დინების სიჩქარე ჩვენეულ განცდაშია მოცემული.


დროის რაოდენობის, კერძოდ, მისი „საკმარისობა“/„არასაკმარისობის“ გამოხატვის შესაძლებლობათა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე საკვლევ ენაში „დრო“ მოძრაობს ქვევიდან ზევით. გამოთქმაში აქცენტირებულია დროის სივრცობრივი წარმოდგენა - დროს მიეწერება სივრცის თვისებები: *“Time is up”* - „დრო ამოიწურა“.

საკვლევ ენებში სიტყვის „დრო“ შემცველი იდიომების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ქართულ „დროს“ ყოველთვის აღნიშნავს ინგლისური *“time”* ან *“season”* („ყველაფერს თავისი დრო აქვს“; „ყველაფერი კარგია თავის დროზე“ - *“A time for everything”*; *“All in*

good time“; “Everything is good in its season“; “To everything there is a season“). რაც შეეხება ინგლისურ სიტყვას “time”, მას ყოველთვის არ შეესაბამება ქართული „დრო“: ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სემანტიკურ სტრუქტურაში „პერიოდის“ გამოხატვის შესაძლებლობათა ანალიზმა გამოავლინა „დროის“ ელემენტის სხვა ელემენტით ჩანაცვლების შემთხვევები, მაგალითად: “He has done time“ - „მან დრო შეასრულა“. გამოთქმა გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით „თავისი სასჯელი მოიხადა“. ქართულ ენაში დაკარგულია ელემენტი „დრო“, თუმცა დროის მნიშვნელობას ითავსებს „სასჯელი“, რომელიც გულისხმობს „ციხეში გატარებულ დროის მონაკვეთს/პერიოდს“.

საკვლევ ენებში ასაკთან ასოცირებულ ელემენტებს აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „ჩვილობა“, „ახალგაზრდობა“, „შუა ხნის ასაკი“, „სიბერე“.

სქემა 5. „ასაკთან“ ასოცირებული ელემენტების საერთო სემანტიკური მნიშვნელების სტრუქტურა



წარმოგიდგინთ ამ ჯგუფში შემავალ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს:

- “baby in arms“ – „ჯერ აკვნიდან არ გადმოსულა“;
- „wet behind the ears“ – „დედის რძე/ხსენი არ შემრობია ტუჩებზე“;

- “baby in the woods“ - „გუმინდელი ღლაპი“;
- “knee-high to a grasshopper“ - „საკმაოდ ახალგაზრდა“; „დედამიწას არ ასცილებია“;
- “no spring chicken“ - „ზრდასრული“;
- “old battle-axe“ - „მზრძანებლობის მოყვარული მოხუცი ქალი“;
- “old geezer“ - „მოხუცი კაცი“;
- “live on borrowed time“ - „არსებობის უკანასკნელ წუთებს ითვლის“;
- “be on its last legs“ - „ცხოვრების მიწურული; ცალი ფეხი სამარეში უდგას“.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი. მაგალითად, ფრაზა “knee-high to a grasshopper“. სიტყვა “grasshopper“ ნიშნავს „კალიას“, ხოლო “knee“ აღნიშნავს „მუხლს“. ეს ფრაზა არის ჰიპერბოლური გამოხატვის ფორმა, რომელიც დათარიღებულია 1850 წლით და აღნიშნავს ვინმეს ახალგაზრდობის პერიოდს:

“I knew you when you were *knee-high to a grasshopper*“ (ფ.ო.ლ.)

ინგლისური ფრაზა - “no spring chicken“ 1700 წლებიდან გამოიყენება. ეს ფრაზა ხშირად მიემართება ქალებს. მისი ქართული შესატყვისი არის „ზრდასრული“:

“That actress is no spring chicken, but she does a pretty good job of playing a twenty-year old girl. Jane: How old do you think Robert is? Jill: Well, he's certainly *no spring chicken*“ (ფ.ო.ლ.)

შუა ხნის ასაკს აღნიშნავს ასევე ერთეული “the old gray mare“. აღნიშნული ერთეული პირველად დაფიქსირდა სტეფან ფოსტერის სიმღერაში, რომელიც ეძღვნება მე-19 საუკუნეში გამართული ცხენების რბოლის მონაწილე ცხენს, სახელად ლედი

საფოკი. სიმღერა ასე იწყება „იგი აღარ არის ის, რაც იყო ბევრი წლის წინ“. ინგლისურ კულტურაში ლედი საფოკი ასოცირდება ხანში შესულ ქალთან.

ასაკთან მიმართებაში საკვლევ ენებში შეინიშნება როგორც უარყოფითი, ისე დადებითი კონოტაცია: „ახალგაზრდა სისხლი“, „ბებერი ლომი“, „ბებერი ხარი“ (დადებითი კონოტაცია), „wet behind the ears“, „young blood“, „old chap“, „one’s old Dutch“ (დადებითი კონოტაცია), „დედის რძე/ხსენი არ შემრობია ტუჩებზე“, „ცას გამოეკიდა/გამოეკერა“, „ბებერი ძაღლი“ (უარყოფითი კონოტაცია), „There's many a good tune played on an old fiddle“, „There's life in the old dog yet“ (დადებითი კონოტაცია).

ორივე საკვლევ ენაში იკვეთება ხანდაზმულობისა და გამოცდილების ასოციაციური კავშირი, თუმცა ინგლისურ ენასთან შედარებით, ქართულში გაცილებით უფრო მკვეთრია აღნიშნული კავშირის ენობრივი ობიექტივაცია. ენობრივი ობიექტივაციის სიმკვეთრის ერთ-ერთ კრიტერიუმს წამოადგენს ერთეულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი - ქართულში ფიქსირებული ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ინგლისურ ენაში ფიქსირებულ ერთეულთა რაოდენობას: „An old dog barks not in vain“ – „ბებერი ძაღლი ტყუილად არ იყეფებს“; „ბებერი ხარის რქა უკეთ ხნავსო“; „ხანდაზმულ კაცს სიზმარიც დაეჯერება“; „ბერიკაცის ნათქვამიო, ბევრჯერ არის მართალიო“ და ა.შ.:

“If he was observed too much, he would retire behind something and stay there until he judged the party's interest had found another object. I never have seen another dumb creature that was so morbidly sensitive. Bayard Taylor, who could interpret the dim reasoning of animals, and understood their moral natures better than most men, would have found some way to make this poor *old chap* forget his troubles for a while, but we have not his kindly art, and so had to leave the raven to his griefs“ (Twain Mark “A Tramp Abroad“ - Chapter 18).

ქართულ ენაში ფიქსირდება ისეთი ერთეული, როგორცაა „სიკვდილისაგან დავიწყებული“:

„დედაბრები კვირტებგამოჩითული კაკლის ხის ძირას ჩამომსხდარან.

- აბა დღეს როგორ ხასიათზე ხართ, დიდედებო! - მათ წინ გაიჯგომა ჯღუნაი.


- აბა როგორ ვიქნებით, შვილო, *სიკვდილისაგან დავიწყებულნი*“ (გოდერძი ჩოხელი, „სიცოცხლის საგალობელი“).

ნომინაციური ველის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის არსებობს კავშირის სიმძლავრის იდენტური ხარისხის მქონე მიმართება, რომელსაც პირობითად „კონცეპტუალურ ანალოგიას“ ვუწოდებთ. ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის კავშირის სიმძლავრის იდენტური ხარისხი გულისხმობს იდენტური, ასე ვთქვათ, სემანტიკური „მანძილის“ არსებობას, რაც ველის აგებულების არაგრადაუალურობაში - ველში ერთმანეთის მიმართ არადომინანტურ სემენტთა არსებობის ფაქტში ვლინდება.

II ფრეიმი „მომენტი“

ფრეიმის ლექსიკალიზაცია ხდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, რომელთაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „დროული/არადროული“, „მოულოდნელი“, „ადრე“/„გვიან“, „ახლა“/„შემდეგ“.

სქემა 6. ფრეიმი „მომენტის“ სტრუქტურა



საქართველო განეკუთვნება პოლიქრონული კულტურის მქონე ქვეყანათა რიცხვს. ეს კულტურა კი ორიენტირებულია ურთიერთობათა დამყარებაზე. ამდენად, ქართულ კულტურაში, ინგლისური კულტურისაგან განსხვავებით, „რაიმეს თავის დროზე კეთება“ ჯერ კიდევ არ არის აღიარებული რაიმეს კარგად კეთების აუცილებელ პირობად. მიუხედავად ამისა, ორივე საკვლევ ენაში „დროულობას“ გააჩნია დადებითი კონოტაცია. აღნიშნული ცნების დონეზე, საკვლევ ენებს შორის არსებული განსხვავება მხოლოდ რაოდენობრივია - ქართულთან შედარებით, ინგლისურ ენაში მოიპოვება მეტი ფრაზეოლოგიური ერთეული:

- “in due time” - „თავის დროზე“;
- “strike while the iron is hot” - „დაჰკარ, სანამ რკინა ცხელია“;

- “make hay while the sun shines“ - {ანდ} „თივა მანამ თიბე, ვიდრე მზე კაშკაშებს = სანამ თონე ცხელია, პური მანამ ჩააკარო“; „დროზე მთესველი დროზე მოიმკისო“;
- “on the dot“ - „ზუსტ დროზე“;
- “on the tick“ - „ზუსტად, ზედმიწევნით“;
- “in the very nick of time“ - „ზუსტ დროზე“;
- “to a split second“ - „დაუყოვნებლივ“;
- “time and tide wait for no man“ - „თავის დროზე“;
- “high time“ - „დიდი ხანია დროა“.

ფრაზეოლოგიურ ველს „დროულად“ მიეკუთვნება ფრაზეოლოგიური ერთეული “on the dot“, რომლის ქართული შესატყვისია „ზუსტად დროზე“. ეს ფრაზა 1700 წლებამდე ხშირად გვხვდება ლიტერატურაში, თუმცა ამის შემდეგ უკვე იშვიათად თუ წავაწყდებით:

“Fortunately this happened in two cases, both brands overrunning all expectations in general numbers and the quantity of steer cattle. These contingents were met, counted, and received ten miles from the ranch, nothing but the steers two years old and upward being brought in to the corrals. The third brand, from west on the Clear Fork, came in *o n t h e d o t*, and this also surprised me in its numbers of heavy steer cattle. From the three contingents I received over thirteen thousand head, nearly four thousand of which were steers of trail age“ (Adams “Reed Anthony: Cowman - Chapter XI. A Prosperous Year“).

ინგლისური ფრაზა “high time“ საკმაოდ ხშირად გვხვდება, როგორც ძველ, ისე თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებსა თუ სტატიებში. ამ ფრაზის ქართული შესატყვისი არის “დიდი ხანია, დროა“:

“All the old foremen expected to use the greater portion of the men who were in their employ the year before, and could summon them on a few days' notice. But Forrest and myself were compelled to hire entirely new outfits, and it was *high time* we were looking up our help“ (Adams “The Outlet - Chapter II. Organizing the Forces“).

საჭიროდ ჩავთვალეთ ისეთ ერთეულზე შეჩერება, როგორცაა: “*Time is money*“. ეს ფრაზა პირველად ბენჯამენ ფრანკლინმა (1748) დაწერა თავის ნაწარმოებში „რჩევები ახალგაზრდა საქმოსანს“:

“As you have desired it of me, I write the following hints, which have been of service to me, and may, if observed, be so to you. Remember that *T I M E i s m o n e y*. He that can earn ten shillings a day by his labour, and goes abroad, or sits idle one half of that day, tho' he spends but sixpence during his diversion or idleness, ought not to reckon that the only expense; he has really spent or rather thrown away five shillings besides“ (ფრანკლინი 1748).

ინგლისურ ენაში ბევრი ფრაზაა სწორედ ამ ფრაზიდან ნაწარმოები და ყველა მათგანი ხაზს უსვამს დროის მნიშვნელობის ფასს. მაგალითად:

“I must humour him though,' cried old Arthur; 'he must have his way--a wilful man, as the Scotch say--well, well, they're a wise people, the Scotch. He will talk about business, and won't give away his time for nothing. He's very right. *T i m e i s m o n e y, t i m e i s m o n e y*“ (Charles Dickens “Nicholas Nickleby”, chapter 47).

“*Time is money. Wasted time means wasted money means trouble*“.

(Shirley Temple)

“*Time is money says the proverb, but turn it around and you get a precious truth. Money is time*“. (George Gissing)

(ფ.ო.ლ.)

დღეს ხშირად ვიმეორებთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ იმ დროში, სადაც დრო ფულია. ეს გამოთქმა, რომელიც საქმიანმა ეპოქამ მოიტანა და რომელშიც აქცენტირებულია დროის ფასი, ქართულ სინამდვილეში შედარებით ახალი შემოსული ჩანს. ქართულ ენაში არსებობს მსგავსი გამოთქმა „დრო ძვირფასია“, თუმცა, ჩვენი აზრით, ქართულ რეალობაში „ძვირფასი“ არ ასოცირდება რაიმე მატერიალურ სიკეთესთან ან ფულთან - ქართულ რეალობაში დროის სიძვირფასეში ნაკლებად იგულისხმება დროის, როგორც მატერიალური რესურსის ღირებულება.

საქმიან ეპოქაში დრო უფლის საჩუქრიდან გადაიქცა რესურსად, რომელსაც გონივრული გამოყენება სჭირდება. „დრო - ფულია“ სწორედ ამ პრაგმატული მიმართების გამომხატველი უნივერსალური კონცეპტუალური მეტაფორაა.

ნაშრომში „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“ ჯონსონი და ლაკოფი შემდეგ ფრაზეოლოგიზმებს გამოყოფენ (ლაკოფი და ჯონსონი 1990:387):

- “Time is money“ - „დრო ფულია“;
- “You are wasting my time“ - „დროს მართმევთ“;
- “This gadget will save you hours“ - „ეს საშუალება ბევრ დროს დაგიზოგავთ“;
- “I don't have the time to give you“- „დრო არ მაქვს, რომ დაგიომოთ“;
- “How do you spend your time these days?“ - „როგორ ატარებთ დროს ამ დღეებში?“;
- “That flat tire cost me an hour“- „ამ ჩაფუშულმა საბურავმა ერთი საათი გამაფლანგვინა“;

- “I've invested a lot of time in her“- „უამრავი დრო დავახარჯე მას“;
- “I don't have enough time to spare for that“ - „არ მაქვს ამის სამყოფი დრო“;
- “You're running out of time“ - „თქვენ ამოწურეთ დროის რეზერვი“;
- “You need to budget your time“ - „თქვენ უნდა გათვალთ თქვენი დრო“;
- “Put aside some time for ping pong“ - „გამოყავით დრო პინგ-პონგისთვის“;
- “Is that worth your while?“ - „ღირს დროის დაკარგვად?“;
- “Do you have much time left?“ - „ბევრი დრო დაგრჩათ?“;
- “He is living on borrowed time“ - „ის ცხოვრობს სხვისი დროის ხარჯზე“;
- “You don't use your time profitably“ - „თქვენ დროს სასარგებლოდ არ იყენებთ“;
- “I lost a lot of time when I got sick“ - „ბევრი დრო დავკარგე ავადმყოფობისას“;
- “Thank you for your time“ - „გმადლობთ დახარჯული დროისთვის“.

„დროის“ კონცეპტის ობიექტივატორი ფრაზეოლოგიზმები თითქმის უნივერსალური ხასიათისაა. რაკი დრო ფულია, საკვლევ ენებში დროს იგივე ემართება, რაც - ფულს: იკარგება, ნაწილდება, იწურება, იხარჯება, ინახება, იზოგება, იდება (საქმეში), იგეგმება და სხვა.

დროის მრავალგანზომილებიან სტრუქტურაში გამოიყოფა დროითი სიზუსტისადმი დამოკიდებულება ანუ პუნქტუალობა, რომლის ენობრივი რეპრეზენტაციის შესწავლაც მნიშვნელოვანია კონკრეტული ერის მიერ კონსტრუირებული სამყაროს ხატის დასახასიათებლად.

ქართულ ენაში ფრანგული წარმომავლობის სიტყვას „პუნქტუალობა“ ერთკომპონენტიანი ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება. „პუნქტუალობით“ აღნიშნული ცნების გამოსახატავად ყველაზე ხშირად კვლავ უცხო ძირის (ლათინური) სინონიმური სიტყვა „აკურატულობა“ ან ორკომპონენტიანი ლექსემები: „მეტისმეტი სიზუსტე“, „უკიდურესი სიზუსტე“ „ზედმიწევნით მოქმედება“ გამოიყენება. თითქოს შემთხვევითი არც არის, რომ ამ ცნების ქართული სახელი არა გვაქვს. „პუნქტუალობა, როგორც ქცევის ნორმა, ქართულ კულტურაში დომინანტური არასოდეს ყოფილა.

დროის მოფრთხილება მაშინ დავიწყეთ, როცა „დროს ფასი დაედო“, როცა „დრო გაძვირდა“, ეს კი სავსებით ახალი მოვლენაა ჩვენს რეალობაში.

აღნიშნულის მიუხედავად, ქართულ დისკურსში კონცეპტი „პუნქტუალურობა“ საკმაოდ მდიდარი სტრუქტურით ხასიათდება, რომლის ერთეულებსაც დროით სიზუსტესთან ასოციაციურად დაკავშირებული ლექსემები და პარემიები წარმოადგენს.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შესიტყვება „ზუსტი დრო“ და მისი სტილისტიკური ალტერნანტები - დათქმული ან შეთანხმებული დრო /ვადა/, თარიღი; ზედსართავი სახელები: პუნქტუალური, აკურატული, ზუსტი, მოწესრიგებული, წესიერი, კეთილსინდისიერი, საიმედო, სანდო...; ზმნიზედები: პასუხისმგებლობით, ზედმიწევნით, განუხრელად...; ზმნური საწყისები: შეთანხმება, მოლაპარაკება, მოსწრება, მისწრება, ჩამორჩენა, დაგვიანება... და მათი პირიანი ფორმები.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ „დაგვიანდა“/„შეგვიანდა“ წყვილზე, რომლის პირველი ერთეული, სალექსიკონო დეფინიციის მიხედვით, მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ვიღაც დანიშნულ დროზე გვიან მივიდა სადღაც, ხოლო მე-ზმნისწინიანი „შეგვიანდა“ ცოტა ხნით დაგვიანებულზე ითქმის. „შე“-ზმნისწინი უკანასკნელ შემთხვევაში ოდნობითობასთან ერთად უნებლიობის სემანტიკასაც გამოხატავს, ამას მოწმობს კონტექსტები პირველი პირის მონაწილეობით, როდესაც მთქმელი არ გაურბის იმის წინასწარ აღნიშვნას, რომ პუნქტუალური ვერ იქნება, მაგრამ ამ აზრის ვერბალიზებისათვის „შემაგვიანდებას“ ირჩევს ნაცვლად „დამაგვიანდებასი“ და ამით საკუთარი პასუხისმგებლობისა თუ დანაშაულის შემსუბუქება, ადრესატისაგან გაგებისა და თანაგრძნობის მოპოვება სურს, რომ მკაცრად არ განსაჯონ“.

ბუნებრივია, ქართულ ენაში პუნქტუალურობის კონცეპტის აღწერა არ არის სრული, ვინაიდან კონცეპტში არსებული ლინგვოკულტურული ინფორმაცია მუდამ განახლებადია. ორივე კულტურაში არადროულობასა და მოულოდნელობას უარყოფითი კონოტაცია აქვს:

- “out of the blue“ - „მეხივით გავარდა“;
- “out of a clear blue sky“ - „მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა“;
- “out of nowhere“ - „დაუპიტიუებელი სტუმარი“;
- “X hit Y like a thunderbolt“ - „მეხივით გავარდა“;
- “X was (like) a body blow (to Y)“ - „მეხივით გავარდა“;
- “Y was stunned by X“ - „მეხივით გავარდა“;
- “like a bolt from the blue“ - „მოულოდნელად“;
- “it is not a good time“ - „უდროო დროს“.

ქართულ ენაში ფიქსირდება „მოულოდნელობის“ სემით აღბეჭდილი კიდევ ორი ერთეული - „არც აცივა, არც აცხელა“ და „თვალსა და ხელს შუა“.

აქ შევჩერდებით შემდეგ ფრაზებზე: “out of a clear blue sky“ და “like a bolt from the blue“, “out of a clear blue sky“, რომელთა ქართული შესატყვისი არის „მოულოდნელად“, „მეხივით გავარდნა“. ლურჯი ფერი აღნიშნავს „ცას“. ჩვეულებრივ, ჭექა-ქუხილი მოწმენდილ ცაზე არ ჩნდება, მაგრამ როცა ეს ასე ხდება, მაშინ ყველა გაოცებულია ამ მოულოდნელობით.

პირველად ეს ფრაზა კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსმა (ძვ.წ.65-8), რომელმა პოეტმა თავის ოდაში “Horace“ გამოიყენა:

“My prayers were scant, my offerings few,
 While witless wisdom fool'd my mind;
 But now I trim my sails anew,
 And trace the course I left behind.
 For lo! the Sire of heaven on high,
 By whose fierce bolts the clouds are riven,
 To-day through *an unclouded sky*“.

მოგვიანებით კი თომას სარლელმა გამოიყენა იგი თავის წიგნში *“The French Revolution” (1837)*:

“Arrestment, sudden really *as a bolt out of the Blue*, has hit strange victims“ (ფ.მ.წ.)

ინგლისური ფრაზის “out of nowhere“ ქართული შესატყვისი არის „დაუპიტიჟებელი სტუმარი“. ის ხშირად შემდეგნაირი ფორმით გვხვდება წინადადებებში “come out of nowhere“. ეს ტერმინი წარმოიშვა სიტყვებიდან: “out of“ - „დან“, ხოლო “nowhere“ - „არსად“:

“Their team *came out of nowhere* and won the state championship“ (ფ.ო.ლ.).

საკვლევ ენებში დროსთან ასოცირებულ ელემენტთა ანალიზმა გამოავლინა იმ ერთეულთა არსებობა, რომელთა სემანტიკური სტრუქტურის დომინანტურ სემას წარმოადგენს „ადრე“/„გვიან“: “at cock-crow“ - „მამლის ყვილზე“; “at first light“ - „მზის პირველ სხივზე“; “with the sun“ - „მზესთან ერთად“; „მზეს აყოლა“; “be up with the lark“ - „დილაადრიან“:

“You were up *with the lark* this morning!“ (ფ.ო.ლ.)

მსგავსი მნიშვნელობის მატარებელია ინგლისური ფრაზა “at cock-crow“, რომლის ქართული შესატყვისი არის „მამლის ყვილზე“.

შემდეგი ფრაზეოლოგიური ერთეულებიც “at first light“ (ქართული შესატყვისი - „მზის პირველ სხივზე“) და “with the sun“ (ქართული შესატყვისი - „მზესთან ერთად“) აღნიშნავს „დილაადრიანს“.

„მზის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დროის აღნიშვნაა. მეტაფორულად მზე საათია, ამქვეყნად ყველაფერი დროში და დროით ცხოვრობს. ყველაფერს თავისი დრო აქვს. თითოეულ ადამიანს ცხოვრების გარკვეული, თავისი წილი, თავისი საათი, პოეტები კი იტყვიან: რომ თავისი მზე აქვს. ის დრო, რომელიც მზით აღირიცხება, არის სიცოცხლე, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მზე – დროა და ეს უდრის სიცოცხლეს. სწორედ ეს

სემანტიკა ჩანს ფიცის ფორმულებში: შენს მზეს ვფიცავ... რაც ნიშნავს: შენს სიცოცხლეს ვფიცავ“ (ბარბაქაძე 2010).

თამაზ ჩხენკელი წელიწადის დროების აღმნიშვნელი სიტყვების ლინგვისტური ანალიზითაც ადასტურებს, რომ დროის აღქმა თუ სახელების დარქმევა მოვლენებისადმი მთლიანად მზის შესახებ ცონდითაა განპირობებული. ის ივანე ჯავახიშვილის აზრს იმველიებს, რომ ქართული ზამთარი და ზაფხული მზე-ცივისა და მზე-თბილის ცნების გამომხატველია. ძველად კი წელიწადი ორ დროდ-ზაფხულად (მზის სიცოცხლის პერიოდი) და ზამთრად (მზის სიკვდილის – მისი ქვესკნელში ყოფნის პერიოდი) იყოფოდა. ავტორის აზრით, ამას ასაბუთებს ამ ორ დროს შორის გარდამავალი პერიოდების, „გაზაფხულისა“ და „შემოდგომის“ სემანტიკური მნიშვნელობაც - გაზაფხულება, ზამთრის ზაფხულად ქცევა და „შემოდგომა“, ანუ მზის შედგომა ზამთრისა და სიკვდილის ფაზაში. სვანურად კი შემოდგომას „მუჟღვერ“ - მზის წასვლა ჰქვია.

გაზაფხულზე გაძლიერებული მზის სინათლე და სითბო საფუძველს უდებს ახალ სასიცოცხლო ციკლს. მათ შორის, ძველი ხალხებისთვის ყველაზე შესამჩნევი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენას - ხორბლის გაღვივებას. ხორბალი და პური ძველ ცივილიზაციებში მისტიფიცირებულია, რამდენადაც მასზე იყო დამოკიდებული ხალხების არსებობა.

ერთი სიტყვით, უძველესი ხალხები ბუნებაზე დაკვირვებით შექმნილი წარმოდგენებიდან გამომდინარე, გაზაფხულობით ზეიმობდნენ სიკვდილისგან გამოღვიძებისა და სიცოცხლის დღესასწაულს და ამიტომაც იყო „ახალი წლის“ დასაწყისი გაზაფხული.

ძველი ხალხებისთვის „არარსებობა“, როგორც თავისთავადი მოვლენა, არ არსებობს, სიკვდილი კი სასიცოცხლო ციკლის შემადგენელი ნაწილია. ეს ოპტიმისტურ-რომანტიკული რწმენა სიცოცხლის თავისთავად გამარჯვებას უსვამს ხაზს და სიცოცხლეს სიკეთესთან, საზრისთან, თავისთავად მოცემულობასთან აიგივებს.

„მზის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია დროის აღნიშვნაა... მეტაფორულად მზე საათია, ამქვეყნად ყველაფერი დროში და დროით ცხოვრობს... ყველაფერს თავისი დრო აქვს... თითოეულ ადამიანს ცხოვრების გარკვეული, თავისი წილი, თავისი საათი, თავისი მზე აქვს... ის დრო, რომელიც მზით აღირიცხება, არის სიცოცხლე, ამიტომ ამ შემთხვევაში მზე დროა და ეს უდრის სიცოცხლეს. სწორედ ეს სემანტიკა ჩანს ფიცის ფორმულაში: „შენს მზეს ვფიცავ...“ რაც ნიშნავს: შენს სიცოცხლეს ვფიცავ...“ (ბარბაქაძე 2003:149).

არა მარტო ადამიანს აქვს თავისი დრო, ანუ მზე... არამედ ყველა დღეს, თვეს, ფაქტებსა და მოვლენებს, აწმყოს, წარსულსა და მომავალს... ყველაფერს აქვს თავისი მზე (დრო, ანუ სიცოცხლე).

დრო განფენილია ყველაფერში, როგორც მზე. ყველაფერი, რაც ამ სამყაროშია, ატარებს დროის ნიშანს, რომელიც ზოგჯერ კონკრეტულია, ზოგჯერ - აბსტრაქტული, ზოგჯერ ელიფტური, ზოგჯერ კი - იმპლიციტური, მაგრამ ყოველთვის არსებული. დროის ასეთი აღქმა-გაგება დროის წრფივი აღქმის პარადიგმაში ჯდება. ბუნებრივია, ენასა და კულტურაში პარალელურად არსებობს დროის სხვაგვარი აღქმებიც: დროის მარადიულობის პარადიგმა, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია მითოლოგიური შინაარსებისათვის, პოეზიის ენაშიც არსებობს. „მითი არის დროის განადგურების მანქანა“ (ლევინ-სტროსი).

„მზე“, როგორც დროის ხატი, საკვლევ ენებში უნივერსალის სტატუსითაა წარმოდგენილი. მზე – უნივერსალური კონცეპტი და სახე – სიმბოლოა, რომელიც უამრავ კონოტაციურ მნიშვნელობას აჩენს. მათ შორის არის: ბიბლიური, არქეტიპული, მითოსური, ასტრონომიული, ასოციაციური, პოეტური და სხვა მნიშვნელობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მზე, როგორც არქეტიპული ფუძე, გაცილებით უფრო საინტერესო სიტყვაწარმოებას ქმნის ქართულში, ვიდრე - ინგლისურში. ქართულ ენაში იწარმოება ისეთი ატრიბუტები, როგორცაა: მზიური, მზეგრძელი, მზებნელი, მზედალეული, მზედასანბელბელი, მზეთუნახავი, მზეჩამქრალი, მზისდარი, ენამზე და სხვა.

ინგლისურ ენაში ფიქსირებული ერთეულები, რომლებიც მოიცავს კომპონენტს „მზე“ წარმოადგენს ისეთ კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა ობიექტივატორებს, როგორცაა:

- სისწრაფე - “go to bed with the sun“ („ადრე დაწოლა“);
- სივრცე - “There is nothing new under the sun“ („არაფერია ახალი ამ ცისქვეშეთში“).

ორივე საკვლევ ენაში იკვეთება მზისა და დროის ასოციაციური კავშირი, თუმცა ინგლისურ ენასთან შედარებით, ქართულში გაცილებით უფრო მკვეთრია აღნიშნული კავშირის ენობრივი ობიექტივაცია. ენობრივი ობიექტივაციის სიმკვეთრის კრიტერიუმს წამოადგენს არა მხოლოდ ერთეულთა ექსპრესიულობის ხარისხი (რომელიც გაცილებით მაღალია ქართულ ენაში ფიქსირებულ ერთეულებში), არამედ ერთეულთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც - ქართულში ფიქსირებული ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ინგლისურ ენაში ფიქსირებულ ერთეულთა რაოდენობას.

საკვლევ ენებში კომპონენტის „მზე“ მომცველი ერთეულები ხასიათდება დადებითი სემანტიკით. ეს ბუნებრივია, ვინაიდან როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენობრივ ცნობიერებაში სიკვდილს სიცოცხლე - მზე - უპირისპირდება, დღეს - ღამე. ადამიანი კვდება, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება: ისევ თენდება და ამოდის მზე.

ერთეულებში - “There is nothing new under the sun“/„არაფერია ახალი ამ ცისქვეშეთში“ - ვლინდება დროისა და სივრცის ერთიანობა, რომლის ენობრივ გამოხატულებასაც წარმოადგენს ბიბლიური ფრაზის პარაფრაზი: „ის, რაც ახლა ხდება, მომხადარა უწინაც“.

ერთეულები, რომლებიც აღნიშნავს ცნებას „ადრე“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ინგლისურ, ისე ქართულ კულტურაში. ორივე კულტურაში ცნება „ადრე“ უკავშირდება შრომისმოყვარეობისა და წარმატების ცნებებს:

- “The early bird catches the worm” - „ადრე ადგომა მეტი სიცოცხლეაო“; „ადრე ამდგარსა კურდღელსა, ვერ დაეწევა მწევარი“; – „ადრე ამდგარსა ყმაწვილსა, დედა უმზადებს სადილსა“;
- “Get a name to rise early, and you may lie all day” - „ადრე ამდგომი - შორს წავა“; „ადრე ამდგომს უხაროდეს, გვიან - მოსადილესაო“;
- “Early to bed, and early to rise, makes a man healthy, wealthy and wise” - „ვინაც დილით ადრე დგება, გამარჯვებაც მასვე რჩება“; „ადრე ამდგომი ჩიტი ნისკარტს იწმენდს, მძინარა კი - თვალებს იფშენეტს“;

ძირითადად ცნების „ადრე“ აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიური ერთეულები დადებითი კონოტაციით ხასიათდება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაში. თუმცა, შეინიშნება უარყოფითი კონოტაციის შემთხვევაც: „იძინებს ქათმებთან ერთად“ – “go to sleep at the same time as the hens“.

ქართულ და ინგლისურ ენებში ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც აღნიშნავს ცნებას „გვიან“, ხასიათდება უარყოფითი კონოტაციით: “A little too late, much too late” - „ცოტა დაგვიანება და დიდი დაგვიანება - ორივე დაგვიანებაა“. ორივე ენაში უპირატესობა ენიჭება ქმედებას: “better late than never” - „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“;

რამდენადაც ორივე კულტურისათვის დამახასიათებელია თავაზიანობა, საკვლევ ენებში ფიქსირდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, როგორცაა: “in a jiffy” - „ერთ წამში, მყის“; “in a tick” - „ამ წამს“; “in a trice” - „ერთ წამს, თვალის დახამხამებაში, მყის“.

ქართულ კულტურაში საქმის დროულად კეთებისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: მოიძებნება როგორც დადებითი დამოკიდებულების გამოხატველი

ერთეულები („გადადებული საქმე ეშმაკისაა!“; „დღე-მეხვალე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო“; „მედღე-მეხვალე კაცსაო, სახლი დაენგრა თავსაო“; „მედღე-მეხვალეს ხან უთოვს, ხან უწვიმსო“; „დროზე მთესველი დროზე მოიმკისო“; „ჯერ საქმე, მერე დასვენება“), ისეთი ერთეულიც, რომელსაც ახასიათებს უარყოფითი კონოტაცია („საქმე მოიცდის!“).

რაც შეეხება ინგლისურ კულტურას, აქ ყველა ერთეული წარმოადგენს საქმის დროულად კეთებისადმი დადებითი დამოკიდებულების გამოხატულებას (“Business before pleasure” - „ჯერ საქმე, მერე დასვენება“; “Never put off till tomorrow what can be done today” - „ნურასოდეს გააკეთებ იმას ხვალ, რისი გაკეთებაც შეგიძლია დღეს“/„გადადებული საქმე ეშმაკისაა“).

დროის სტანდარტიზირებული სისტემა, რომელიც დედამიწას მოიცავს, ჩვენი სოციალური ქმედებების საერთაშორისო დონეზე ორგანიზების და კოორდინირების საშუალებას იძლევა. მაგრამ ეს დრო არ გამორიცხავს დროის ლოკალურ და კონტექსტზე დამოკიდებულ გაგებათა მდიდარი რესურსების არსებობას. ამ დროის სხვადასხვაგვარ გაგებას ფესვი გადგმული აქვს ყოველდღიური ცხოვრების სოციალურ და ბუნებრივ რიტმებში. საათისა და კალენდრის აბსტრაქტული, გამოთვლადი, სივრცობრივად გააზრებული დრო დასავლური დროის მრავალ მნიშვნელობათა მხოლოდ ერთ ასპექტს ქმნის.

„კარგი“ და „ცუდი“ დროების საკითხი უმთავრესად დროის განსაზღვრის პრობლემას განეკუთვნება. დრო კი შეიძლება განისაზღვროდეს მრავალი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. კვირის დღეები ან დღის საათები „შესაფერისი დროის“ შერჩევის ერთ საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ სხვა მომენტებმაც, შეიძლება, თუ მეტი არა, თანაბარი როლი ითამაშონ ასეთი დროის განსაზღვრაში. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობებისა და მოვლენების წარსულსა და მომავალთან დაკავშირებული პრობლემები. სოციალურ-ისტორიულმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კონტექსტმა შეიძლება მთავარი როლი ითამაშოს იმის განსაზღვრაში, თუ რა შეადგენს „ხელსაყრელ


დროს“, ისევე, როგორც ნორმებს, ჩვევებს და ღირებულებებს, რომელთაც ეს დრო მოიცავს.

ნომინაციური ველის რეპერტუარის ანალიზის შედეგად ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ელემენტთა შორის გამოვლინდა კავშირის სიმპლავრის იდენტური ხარისხის მქონე მიმართება - „კონცეპტუალურ ანალოგია“.

III ფრეიმი „დროის ციკლური სტრუქტურული ორგანიზაცია“

ფრეიმის ლექსიკალიზაცია ხდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, რომელთაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „მუდმივად“, „ხშირად“, „იშვიათად“, „ზოგჯერ“, „ყოველთვის“, „არასდროს“.

სქემა7. ფრეიმი „დროის ციკლური სტრუქტურული ორგანიზაციის“ სტრუქტურა



ამ ფრეიმის ფრაზეოლოგიური ერთეულებია:

- “every blessed day“ - „ყოველ დღე“;
- “day in and day out“ - „დღითი დღე“;
- “every now and then“ - „წამდაუწუმ“;
- “from time to time“ - „დროდადრო“;
- “time and again“ - „კვლავ და კვლავ, წამდაუწუმ“;

საკვლევი ენებისათვის უნივერსალურია მთვარის ხატი: “Once in a blue moon“ („ახალ მთვარესავით გამოჩენა“). როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაშიც ფრაზეოლოგიზმი გამოიყენება იმ მოვლენის აღსანიშნად, რომელიც ძალიან იშვიათად ხდება.

ორი ცნება - “a blue moon“ („ლურჯი მთვარე“) და “the moon is made of green cheese“ (პირდაპირი თარგმანი: „მთვარე მწვანე ყველისგან არის დამზადებული“) გამოსახავს აბსურდს, არარეალურ ფაქტს. ეს ფრაზები მსგავსი არის ფრაზისა - “pigs might fly“.

ეს ფრაზები არ არის ახალი და ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში გამოიყენა უილიამ ბარლოუმ (1528) თავის ნაწარმოებში - “*Treatyse of the Buryall of the Masse*“:

“Yf they saye the mone is belewe,
We must beleve that it is true“

(ი.ს.).

1819 წელს წიგნში: “*The Maine Farmers' Almanac*“ ჩამოთვლილი იყო ლურჯი მთვარის თარიღები. აღმანახის შემდგენლებს თავისი განმარტება გააჩნიათ, თუ რა არის ლურჯი მთვარე. გამომდინარე იქიდან, რომ მთვარის და კალენდარული თვეები არ არის ერთი და იგივე და რომ ზოგიერთ წლებს აქვთ 13 სრული მთვარე, ტიპიური თორმეტ მთვარიან წელში თითოეულ მთვარეს თავისი სახელი გააჩნია. მაგალითად, “Harvest Moon“ („მოსავლის აღების მთვარე“), “Hunter's Moon“ („ნადირობის მთვარე“) და ა.შ.

ცამეტ მთვარიანი წლის ზედმეტი მთვარის პერიოდს ეწოდება “Blue Moon“. ჯეიმს პრუეტმა წაიკითხა ეს გამოცემა, მაგრამ არასწორად განმარტა სისტემა და დაბეჭდა „თვეში მეორე სრული მთვარის“ ვერსია 1946 გამოცემაში. ორი სავსე მთვარე ერთ თვეში იშვიათი შემთხვევაა, ეს დაახლოებით სამ წელიწადში ერთხელ ხდება.

კიდევ ერთი ფრაზეოლოგიური ერთეული არის “from time to time“, რომლის ქართული შესატყვისი არის „დროდადრო“:

“In the pools of sky, between broken clouds, a few stars shone, and half of a thin moon was seen *from time to time*, like the fragment of a silver horn held up there in an invisible hand, waiting to be blown“ (John Galsworthy “Another Sheaf - The Road“).

„ცეცხლის ირგვლივ როკავდა გამვალტყავებული, დიდმუცლიანი დედაბერი და მეჩხერი, გაზინტლული თმა ეწებებოდა, ორბიც მოუხეშავი ხტუნვით დასდევდა, სანახევროდ ფრთაგამლილი. დროდადრო შეჩერდებოდა, ზემოთ აიღებდა თავს, განზე იყურებოდა, თვალეზაბრიალებული, და ხეებშუა გასხლეტილი ალი ზღვაზედაც მძიმედ იწელებოდა“ (გურამ დოჩანაშვილი, „თავფარავნელი ჭაბუკი“, თავი 4).

ცნებასთან „ყოველთვის“ დაკავშირებული ერთეულები დადებითი კონოტაციით ხასიათდება როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაში: “to the grave“ - „აწ და მარადის“; „სამარის კარამდე“; “to the tomb“ - „კუბოს ფიცრამდე“; „ბოლო ამოსუნთქვამდე“; „სანამ პირში სული უდგას“.

საკვლევ ენებში ცნებასთან „არასდროს“ დაკავშირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები უარყოფითი კონოტაციით ხასიათდება:

- “never for a moment“ - „არც ერთი წამით“;

- “not for a minute“ - „არც ერთი წამით“;
- “on no account“ - „არავითარ შემთხვევაში“;
- “the day pigs fly“ - „არასდროს“;
- “when the moon turns green cheese“ - „არაფრის დიდებით“;
- “when two Sundays come together“ - „არასდროს“;
- “on the second Sunday of next week“ - „არასდროს“;
- “tomorrow come never“ - „არასდროს“;
- “when hell freezes over“ - „არასდროს“; „უშაბათო კვირას“; „როდინობის კვირაში“.

განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი. მაგალითად, ინგლისური ფრაზა “pigs might fly“ არის იუმორისტული ან სარკასტული ფრაზა:

“I might make a start on papering the back bedroom tomorrow“. “Yes, and *pigs might fly*“
(ფ.მ.წ.).

ქართულში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ფრაზა „როცა ვირი ხეზე ავა“. როგორც რეალურად ვერასდროს ვერ შესძლებს ფრენას ღორი, ხოლო ვირი - ხეზე ასვლას, ისე აბსურდულად ჩაითვლება ნებისმერი რამ, რის მიმართაც ამ ფრაზას გამოვიყენებთ. ეს ფრაზა იდენტურია ფრაზისა: “It is easier for a camel to pass through the eye of a needle...“ („ეს უფრო რთულია, ვიდრე აქლემისთვის ნემსის ყუნწში გაძრომა“).

ადრეული ჩანაწერი ამ ფრაზისა არის ჩარლზ ვაითჰედის მიერ (1835), თავის ნაწარმოებში „ჯეკ კეთჩის ავტობიოგრაფია“: “Yes, pigs may fly, but they’re very unlikely birds“. 1855 წელს გაზეთ - “Illustrated Times“ გამოჩნდა ეს ფრაზა: “... pigs might fly. An elephant, too, might dance on the tight-rope ...“. 1865 წელს ლუის კეროლის წიგნში, „ალისა - საოცრებათა ქვეყანაში“ გხვდება ეს ფრაზა: “I’ve a right to think,“ said Alice sharply... “Just about as much right,“ said the Duchess, “as pigs have to fly“.

საინტერესო ფაქტი მოხდა 1909 წელს, როდესაც ბარონ ბრაზონმა, ხუმარამ, აიყვანა გოჭი თავის ბიბლანზე, რომელიც თასმებით დამაგრებული ჰყავდა ქალაქის ურნაში. ურნაზე კი იყო წარწერა: „მე პირველი ღორი ვიქნები, ვინც გაფრინდება“.

ინგლისური ფრაზა “When hell freezes over“ მე-19 საუკუნეში, ამერიკული ინგლისურიდან წარმოიშვა. ის მიეკუთვნება “hell“ („ჯოჯობეთი“) იდიომების ჯგუფს, ადგილი, სადაც ყოველთვის ცხელა. ეს ისეთივე ირონიული თქმაა, როგორცაა “a snow ball’s chance in Hell“ და “it’ll be a cold day in Hell“. ყველა ეს ფრაზა ნიშნავს „არასოდეს“.

როგორც ვიცით, ჯოჯობეთი არის ყველაზე ცხელი ადგილი სამყაროში, ამიტომაც გაყინვის შანსი ნულია. თუმცა, მას აქვს ლიტერატურული მნიშვნელობა, ანუ როდესაც ტემპერატურა ნული გრადუსია, გაყინვის ტემპერატურაზე დაბლა დაეცა.

მაგალითი: “My audition for the Broadway show did not go too well. They told me I’d get the part *“when hell freezes over“*“ (ფ.მ.წ.).

ინგლისური ფრაზის “tomorrow comes never“ ქართული შესატყვისი არის „არასდროს“. ეს ფრაზა წარმოიშვა იმ აზრიდან, რომ როდესაც ის დღე მოდის, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „ხვალ“, ის უკვე ხდება „დღეს“, და უკვე სხვა დღეს ეწოდება „ხვალ“. მაშასადამე, არაფერი არ უნდა გადავდოთ ხვალ გასაკეთებლად, რადგან ეს დღე არასოდეს მოვა.

მაგალითად: “Jill: When are you going to go to lunch with me? Jane: Tomorrow. Jill: *Tomorrow never comes*“ (ფ.ო.ლ.).

საკვლევი ენებისათვის უნივერსალურია როგორც გზის ხატი, ისე დროისა და სივრცის ერთიანობის იდეა. დროისა და სივრცის სემანტიკათა გაგებისას, უპირველესად, ასოციაციურად ცნობიერებაში წარმოჩინდება უნივერსუმის შექმნის ფაქტი. ადამიანური გონი ლექსემათა განმარტებისას კონკრეტული მნიშვნელობის

მინიჭების ფუნქციას აღსანიშნავ უკავშირებს, რადგან აღსანიშნავ ყოველთვის ითხოვს აღმნიშვნელს. მისი ფუნქცია კი გაცილებით უფრო მეტი ხდება, ვიდრე უბრალოდ საგნის, ან მოვლენის ფიქსაცია. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ჩარლზ პირსის ცნობილი გამოთქმა: ცნობიერებაში ნიშანი ახდენს საგნის რეპრეზენტაციას და ენაცვლება მას (პირსი 2000).

პირსისეულ ინტერპრეტანციაში იკითხება ის კულტურულ-მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება, რომელსაც იჩენს ამა თუ იმ კულტურისა თუ ენის მატარებელი გარემომცველი სამყაროსადმი. ეთნოსის მიერ დროისა და სივრცის ურთიერთზემოქმედების თაობაზე ჩამოყალიბებული პოზიცია უშუალო კავშირშია კონკრეტულ ეთნოკულტურულ პოზიციასთან. ეთნოკულტურა ენის წიაღში ფორმდება. ენაში დიაქრონულად და სინქრონულად ვლინდება ეთნოაზროვნების თავისებურება. სწორედ ენის ეს უნიკალური ფენომენი იძლევა მასში არსებული იდიომების, როგორც მსოფლმხედველობრივი კონცეპტების, კვლევის შესაძლებლობას. ენაში აღდგება წარსული, რომელიც ხშირად პარადიგმულად მეორდება და თანამედროვეობისთვის იძენს მყარად არსებული არქეტიპის ფუნქციას (კიკვიძე 2011). ქართველ მწერალს ჯემალ ქარჩხაძეს თუ დავესესხებით, ადამიანი იბადება დროში, სივრცესა და ენაში. ეს სამი ფაქტორი ქმნის ერთ მთლიანობას, რომელშიც თითოეულ კომპონენტს გარკვეული ფუნქცია ენიჭება.

ადამიანის დაბადების დროის დადგენისას გასათვალისწინებელია ორი ასპექტი: ერთი, თავად კონკრეტული თარიღი, როცა ესა თუ ის ინდივიდი ევლინება ქვეყანას, და დრო, ჟამი, რომელიც არსებობს ამ მომენტისათვის, როგორც გარკვეული ეპოქის მახასიათებელი. იგივე შეიძლება ითქვას სივრცეზეც. იგი მოიაზრება, არა მხოლოდ როგორც კონკრეტული ადგილი, სადაც ადამიანი იბადება, არამედ ის სოციალურ-კულტურული განზომილება, რომელშიც შედის ამ ადამიანის დაბადების კონკრეტული სივრცე. თუ სივრცესა და დროის კატეგორიებს ამ ორმაგ ფუნქციას მივანიჭებთ, მაშინ ისინი ენაში უნდა ერწყმოდნენ ერთმანეთს. შესაბამისად, ადამიანი არსებობს ენაში, მოცემულ დროსა და მოცემულ სივრცეში.

ენაში ინახება იდენტობისა და მენტალობის მარკერები. ხოლო მათი ჩატვირთვა ენის მეხსიერებაში, რა თქმა უნდა, არ იფარგლება მხოლოდ ერთი ემპირიული ქრონოტოპით. იგი ყალიბდება მუდმივად, თავისთავად განიცდის მარადიულ ცვლილებას და ქმნის მყარ სემანტემებს, რომელთა მნიშვნელში კოდირებულია დამოკიდებულებით მიმართებათა ვარიაციები. ყოფიერება, როგორც აღსანიშნი, ითავსებს დროს, როგორც აღმნიშვნელს. ხოლო მათი მუდმივი ცვლილება ფორმდება კონოტაციურად. ერთნაირი გენეტიკური კოდების, მენტალობის მექანე ადამიანების გაერთიანება ქმნის ერს. მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ერი მყოფობს დროში, სივრცესა და ცნობიერებაში (კიკვიძე 2011). მარტინ ჰაიდეგერი მიიჩნევდა, რომ ყოფიერება ყოველთვის დროის თვალსაზრისითაა წვდომადი (ჰაიდეგერი 1989:41).

მეტად საინტერესოა ხორხე ლუის ბორხესის მოსაზრება დროსა და სივრცეზე. იგი მუსიკას დროის იდუმალ ფორმად მიიჩნევდა. შოპენჰაუერი ამბობს: მუსიკას ძალუმს იარსებოს სივრცის გარეშე, მუსიკა დროა. მე გავაგრძელე ეს აზრი და ვიფიქრე, რომ ღმერთს არ შეუქმნია სივრცე, მან შექმნა დრო, ან შექმნა თანმიმდევრობა. ასეც შეიძლება ითქვას. ასე რომ, შესაძლებელია, იარსებოს სიტყვების, მუსიკის, ბგერების მეშვეობით ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფმა ცნობიერებათა სამყარომ, რომელიც არ საჭიროებს სივრცეს. იგი სივრცის გარეშე დგას, თუ არ ჩათვლით, რომ ეს განსაზღვრება თვითონ წარმოადგენს სივრცობრივ სახეს. ადვილად წარმოსადგენია პირწმინდად დროისმიერი სამყარო, პირწმინდად სივრცობრივის წარმოდგენა შეუძლებელია (ბორხესი 1996:117).

დროს აქვს ორიენტაცია, მიმართულება: წარსული (უკან დარჩენილი დრო), მომავალი (წინ), აწმყო (აქ). „როცა დროის შესახებ ვლაპარაკობთ, ხშირად სივრცით მეტაფორებს ვიყენებთ, მაგალითად, “I'm looking forward to seeing you“ - „მოუთმენლად ველი შენთან შეხვედრას“. სიტყვასიტყვით: „შენი ნახვისაკენ წინ ვიყურები“ ან “I'm reflecting back on the past“ - „წარსულზე ვფიქრობ“. სიტყვასიტყვით: „ფიქრები მაქვს უკან, წარსულზე“, - ამბობს ლინდენ მაილსი.

აბერდინის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ როცა ადამიანს სთხოვ, წარსულის მოვლენები გაიხსენოს ან მომავალი წარმოიდგინოს, მისი სხეული ქვეცნობიერად ასახიერებს მეტაფორებს, რომლებსაც, ჩვეულებრივ, დროის მდინარების წარმოსახვისას ვიყენებთ. როცა ექსპერიმენტის მონაწილეები წარსულ წლებზე ფიქრობდნენ, ისინი ოდნავ უკან იხრებოდნენ, მომავლის წარმოსახვის დროს კი - წინ.

ერის მყოფობის ისტორიული საფუძვლისა და მისი სივრცობრივ-დროითი პარამეტრების შესახებ ენობრივი კონტექსტი ამოუწურავ მასალას იძლევა. ეს ბუნებრივია, ვინაიდან ენა საზოგადოების მეხსიერებაა, სწორედ ენაში ვლინდება ერის ცნობიერების მარკერები. შესაბამისად, სივრცე-დროის სემანტიკათა გაგებისას, უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ემპირიული, ხილული დრო და სივრცე, არამედ გონში ჩადებული, ცნობიერების მიერ აღქმული უნივერსუმი, როგორც კონოტაციათა ერთობლიობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართულ ენაში არსებული ისეთი ერთეულები, როგორიცაა: „ბეწვის ხიდი“ და „ოთხი წელიწადი“. „ბეწვის ხიდში“ ნაგულისხმევი აზრის მიხედვით, სუბიექტისათვის მიზნის ასრულების შესაძლებლობანი დიდი რისკისა და ძალისხმევის შედეგად მიიღწევა. სახოკიას განმარტებით, ეს გამოთქმა მომდინარეობს ხალხის ძველი რწმენიდან: „საიქიოში, სანამ სამოთხეში ან ჯოჯოხეთში შევიდოდეს კაცი, გზაზე დახვდება ადუღებული კუპრის ზღვა, ზედ გადებულია ბეწვის ხიდი და ამაზე უნდა გაიაროს, თუ ადამიანი ცოდვილია, ბეწვი ჩაუწყდება, კარგ კაცს კი მისი ნამოქმედარი სიკეთე და მაღლი მშვიდობით გადაატარებს ბეწვის ხიდზე“ (სახოკია 1979:55).

„ბეწვის ხიდის“ სივრცული გამოხატულება ცნობიერებაში მყოფობს და ის აშკარად კონოტაციური მნიშვნელობისაა. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“ მას ეხმიანება „ოთხი წელიწადის“ ფუნქცია. მასში არსებული დენოტაციური მნიშვნელობა (მწერლის მიერ რუსეთში გატარებული წლები) გარდაიქმნება კონოტაციურად და ეს ხერხდება სწორედ „ოთხი წელიწადის“ „ბეწვის ხიდთან“ დაკავშირებით.

„ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი! იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული... ო, ძვირფასო ოთხო წელიწადო, ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთაქვემ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა“ (ჭავჭავაძე 1984:198).

მწერალს ერის ცნობიერებაში არსებული დროის კატეგორიის განსაზღვრის ახლებური გაგება შემოაქვს, რომელიც დაკავშირებულია განათლებასა და მისი მოხმარების სასიცოცხლო მნიშვნელობასთან. ამ შემთხვევაში დროის აღმნიშვნელი „ოთხი წელიწადი“ უპირისპირდება ადრე გაჩენილ იდიომას „შავი დრო,“ რომელიც გვიან შუა საუკუნეებს უკავშირდება. მწერალი უმოქმედობას, უსწავლელობას (ანუ სიბნელეს) უპირისპირებს ქმედებას, განათლებას (ანუ სინათლეს). „ამავე კონტექსტში ლოგიკურად თავსდება კონცეპტი „ბეწვის ხიდი,“ როგორც ერთგვარი სადემარკაციო ხაზი. დროის კონცეპტის აღმნიშვნელი „ოთხი წელიწადი,“ მასში კოდირებული მიზნობრიობით, ემსახურება ევროპულ სივრცესთან ერის მსოფლმხედველობრივ მიახლოებას. ამიტომ ის უნდა მივიჩნიოთ როგორც „ქართული დროის“ აღმნიშვნელი, რომლის განზომილებაც შესაძლოა მთელ საუკუნეს იტევდეს (კიკვიძე 2011).

„რა არის დრო?“ კითხულობს თომას მანი „ჯადოსნურ მთაში“ და იქვე პასუხობს: „საიდუმლოება - უსახელო და ყოვლისმძლე, მოვლენათა სამყაროს განმსაზღვრელი პირობა, მოძრაობა, გადაჭვული და შერწყმული სივრცეში სხეულების განლაგებასა და მოძრაობასთან. იარსებებდა კი დრო, მოძრაობა რომ არ ყოფილიყო? ან მოძრაობა კი იარსებებდა დროის გარეშე? კითხვა კითხვად რჩება. არის თუ არა დრო სივრცის ფუნქცია, ან პირიქით? ან იქნებ ისინი ერთმანეთის იდენტურნი არიან? აქაც მხოლოდ კითხვას ვსვამთ!

დრო მოქმედია. მას ზმნით გამოსახატავი თვისება გაჩნია: იგი „იწვევს“, მაგრამ რას? ცვლილებას! „ახლა“ და „მაშინ“ ერთი და იგივე არ არის. „აქ“ არ არის „იქ“, რადგან

მათ შორის მოძრაობა ძევს, მაგრამ ვინაიდან მოძრაობა, რისი მეშვეობითაც დროს ვზომავთ, წრიულია და თავისთავში ჩაკეტილი, ამიტომ ასეთი მოძრაობისა და ცვლილებისთვის ასევე თავისუფლად შეიძლება სიმშვიდე და უძრაობა გვეწოდებინა - „მაშინ“ ხომ გამუდმებით მეორდება „ახლამი“, „აქ“ კი ცნებაში „იქ“ (მანი 1984:5).

ყოველ ცივილიზაციას განსაკუთრებული შეხედულება ჰქონდა დროზე: ბევრი მას მარადიულ გამეორებად მიიჩნევდა. მას ხან სწორ ხაზად წარმოიდგენდნენ, ხან კი - სპირალისებურად.

პლატონიკოსთათვის წელი წრიულია, თითქოს ზეციური სხეულების მოძრაობას იმეორებს. ქრისტიანებისთვის დრო სწორხაზოვანია, ინდოელთათვის ილუზორული - მხოლოდ გარდასახვათა რეალობა. XIX საუკუნე დროს მარადიულ, განუწყვეტლივ პროგრესად აღიქვამს (პასი 1999:8-21).

უილიამ ფოლკნერი წერდა: დრო მედინია, რომელსაც არ გააჩნია სხვა არსებობა, გარდა პიროვნებათა წამიერი გარდასახვისა. არ არსებობს „იყო“, არსებობს მხოლოდ „არის“. „იყო“ რომ არსებულიყო, წუხილი და დარდი არ იქნებოდა (ფოლკნერი 1984:69).

დროის ძალიან საინტერესო მხატვრული კონცეფცია შემოგვთავაზა ხორხე ლუის ბორხესმა მოთხრობაში: „ბალი, რომელშიც ბილიკები იტოტებიან“. მოთხრობის ერთი გმირის აზრით, სამყარო ჰგავს განტოტვილ ბილიკთა ბაღს, სადაც ეს თითოეული ბილიკი დროს განასახიერებს. არა სწამდა ერთიანი, აბსოლუტური დროისა. იგი ხედავდა დროებათა უთვალავ რიგებს. ხედავდა განტოტვილ, თანმხვედრ და პარალელურ დროთა თვითმზარდ ბაღებს (ბორხესი 1994:34).

ამ შემთხვევაშიც ხდება „მე“-ს განვრცობა, შინაგანი სულიერი სამყაროს გარკვეულ ფიზიკურ სივრცედ გადაქცევა, განცდათა გასაგნობრივება. ჩვენ დავხეტილობთ ჩვენსავე თავში და სხვადასხვა ბილიკზე ვხვდებით განსხვავებულ ადამიანებს - ჩვენი ვნებებისა და სურვილების ხორცმესხმულ სახეებს. ერთი რამ კი არ იცვლება - ჩვენ ყოველთვის ვხვდებით ჩვენსავე თავს (ჯალიაშვილი 2011).

რაც შეეხება „გზის“ ხატს, მას თავისი საკრალური დანიშნულება აქვს კავკასიურ ფოლკლორში - იგი სამყაროს მრავალგანზომილებიანი სისტემის მაკავშირებელია. ერთი

მხრივ, მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან სააქაო და საიქიო. თუმცა კავკასიურ მითოლოგიაში სამყარო ზოგჯერ სამგანზომილებიან სისტემაშიცაა მოაზრებული: ჩვენი სამყარო შუალედური რგოლია, ამასთან ერთად, არსებობს ასევე ზედა სამყარო (ზესკნელი) და ქვედა სამყარო (ქვესკნელი). რაჭველების, კახელებისა და სხვათა აზრით, შუალედური არის სამყარო, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ; ზედა სამყარო - სულეთის სამყაროა - ბარაქიანი, ქვედა - უნაყოფოა (ასევეა გააზრებული სამყარო აფხაზურ ფოლკლორში). ეს მითო-რელიგიური სისტემა ყველგან ერთნაირი არ არის. ინგუშების რწმენით, არსებობს მხოლოდ სააქაო და არსებობს ასევე საიქიო, რომელიც მიწისქვეშეთშია, ქვესკნელშია და მას თავისი ღმერთი ჰყავს (ემტრი) (ბეპიევი, პოპიაშვილი 2012).

ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლა - გარდაცვალება სწორედ გზის მეშვეობით ხორციელდება. როგორც ცნობილია, კავკასიელები საიქიოში მიმავალთ ტანსაცმელთან ერთად საგზალსაც ატანდნენ („საგზალი“ ხომ ლექსიკურადაც იმის მანიშნებელია, რაც მგზავრმა გზაში უნდა მიირთვას). „ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა სამ ან ხუთ კოტორს ... შემდეგ კოტორებს დაჭრიდნენ და ერთ ყანწ სასმელს და თითო ნაჭერ კოტორს იქ მყოფებს ჩამოურიგებდნენ. ამით მიცვალებულის სულს „სულეთის საგზალი“ გაუმზადეს“ (ცოცანიძე 1990:114). ესეც მიანიშნებს იმ რწმენაზე, რომ საიქიოში მოსახვედრად მიცვალებულს გარკვეული გზის მონაკვეთი აუცილებლად უნდა გაევიღო.

ქართულ ენაში არსებობს იდიომა „თავისი გზით წავიდა“ (გარდაიცვალა). ეს იდიომა მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმქვეყნად სავალი გზა საზოგადოც, საერთოც არის (ყველამ უნდა გაიაროს) და პიროვნულიც, კერძოც (თავისი გზა; ყველას თავისი გზა აქვს); ამ გზას მიჰყავს ბოლოს ადამიანი თავის კუთვნილ ადგილამდე, რომელსაც ისევ საიქიოს გამგებელი განუსაზღვრავს იმ ცოდვა-მადლის მიხედვით, რომელიც მას ამქვეყნად ჩაუდენია (ბეპიევი, პოპიაშვილი 2012).

სულეთის გზა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმითაც, რომ კანონზომიერებას, რომელსაც ეს გზა ემორჩილება, ვერავინ შეცვლის, მისი არანაირი

ცვლილება არ შეუძლია არც ერთ მოკვდავს - ის არის, უპირველესად, „ყველასთვის, ყოველდღიური“.

კავკასიურ მითოლოგიაში გზის ფენომენი წრიულია და მთლიანი. ის იწყება აქ, ამ სამყაროში, და მთავრდება იქ, საიქიოში. ის არის შემაკავშირებელი წრე მთლიანი სამყაროსი (შუა, ზედა და ქვედა). გზის მეშვეობით ფორმირდება სამყარო ერთ მთლიანობად. თითოეული ადამიანი ამ გზას აქ, სააქაოში იწყებს (ხორციელთა სამყოფელი) და, როცა გარდაიცვლება და საიქიოში სულთა სამეუფოში (სულეთში, მარადიულ სამყოფელში) შეაბიჯებს, წრე იქ იკვრება. სააქაოდან მიმავალი გზა აუცილებლად უნდა გაიაროს ყველამ, რათა ეს წრე შეიკრას. იქიდან აქეთ, „სამზეოზე“ გამოსასვლელი გზა აღარ არსებობს (მაღზე იშვიათი გამონაკლისების გარდა).

კავკასიური მითოლოგიის მიხედვით, როგორი მოკლევ უნდა იყოს სიცოცხლე („რა მოკლე გზა ჰქონიაო“ - იტყვიან ხოლმე უდროოდ გარდაცვლილზე), ეს გზა მაინც საყოველთაოა. მას აუცილებლად გაივლის ყველა მოკვდავი და მისი შეცნობა ყველასთვის აუცილებელია“ (ბეპიევი, პოპიაშვილი 2012).

დრო და სივრცე მატერიის არსებობის საყოველთაო ფორმებია, სადაც სივცე – მატერიალური ობიექტებისა და პროცესების არსებობის ფორმაა, ხოლო დრო – მოვლენების და მატერიის მდგომარეობის თანმიმდევრული ცვლა.

სივრცესა და დროს გააჩნია ობიექტური ხასიათი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული მოქმედ სუბსტანციასთან, მის მოძრაობასთან და აგრეთვე ერთმანეთთან. დროსა და სივრცეს ახასიათებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი უსასრულობა. კლასიკური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, დროის ძირითადი თვისებებია ხანგრძლივობა, არაგანმეორებადობა და შექცევადობა, ხოლო სივრცისა – განფენილობა, წყვეტისა და უწყვეტობის ერთიანობა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია, რომელიც აწესრიგებს წარსულს, არის დრო. დრო, უფრო მეტად, ადამიანის გონების პროდუქტია, ვიდრე რაღაც, რაც თავისთავად არსებობს. ქაოსიდან აღებული სივრცე მხოლოდ ადამიანის წარმოსახვაშია

და მისი გონების ნაყოფია; ეს ყველაფერი, თავისთავად, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი ინტელექტუალური მოვლენებია.

„დრო“ და „სივრცე“ – ადამიანის შინაგანი, ეგზისტენციალური გამოცდილების განმსაზღვრელი პარამეტრებია. ამ და სხვა კატეგორიების მეშვეობით ადამიანი აყალიბებს სამყაროს საკუთარ მოდელს, რომელშიც გამოვლენილია მის მიერ სამყაროს აღქმა და სინამდვილის გააზრება, შეხედულებათა სისტემა სამყაროზე, მასში არსებულ ძალებზე, მიმდინარე პროცესებზე, ადამიანის ადგილზე სამყაროში (ქვრივიშვილი 2003).

დროისა და სივრცის შესახებ პირველი წარმოდგენები, უკვე პალეოლითში ყალიბდება. ეს კატეგორიები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად აღიქმება ადამიანის მიერ, რაც გამოხატულებას ჰპოვებდა კულტურის ყველა სფეროში, სხვადასხვა ნიშან-სიმბოლოს საშუალებით. ცხადია, რომ სიმბოლური ნიშნების ფორმა და მნიშვნელობა მუდმივი და ერთნაირი ვერ იქნებოდა, რამდენადაც საზოგადოების შეხედულება გარემომცველ სამყაროზე სისტემატიურად იცვლებოდა. არქაულ საზოგადოებაში არსებობს მსოფლგაგების ერთადერთი ფორმა – მითოლოგია, სადაც დროისა და სივრცის კატეგორიები თვისობრივად ერთგვაროვანია, განუყოფელ მთლიანობაა. მითოლოგიურ წარსულში მოხდა სამყაროს, საკრალური დროისა და სივრცის გაჩენა. არსებობს საკრალური დრო, რომელიც დაკავშირებულია „საწყის“ დროსთან, ზუსტად ასევე არსებობს საკრალური სივრცე, განსაზღვრული წმინდა ადგილები, დამორჩილებული განსაკუთრებულ ზებუნებრივ ძალებს: ადამიანი, კოსმიური ხე, წმინდა მთა და ა.შ. (ჯამუშაძე 2012).

ცნობიერებაში აისახება კულტურის ფუნქციონერების თავისებურება. სწორედ ცნობიერებაში აისახება სამყაროს აღქმის, ახსნის, მიღების, ერთი სიტყვით, გაგების მოდელი.

ყოველი კონკრეტული ენის საფუძველს განსაზღვრავს ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა. ძირითადი ლექსიკური ფონდი მოიცავს იმ სიტყვებს, რომლებიც ქმნიან ლექსიკის ყველაზე ძველსა და მკვიდრ ნაწილს. ეს არის ყველაზე აუცილებელი და სტაბილური ნაწილი ლექსიკისა (ჩიქობავა 2008:24-25). გზა,

როგორც სემანტიკური ერთეული, ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში შემავალი სიტყვა, ე.წ. „გასაღები სიტყვა“ - სემანტიკური უნივერსალია. ეს სიტყვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული ენის მატარებელთა კულტურისათვის. ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის განსაზღვრა შესაძლებელია სიხშირეთა ლექსიკონებით, ენის ფრაზეოლოგიასა და იდიომატიკაში ლექსიკის აქტუალიზაციით, მისი უნარით, შექმნას მყარი შეხამება მეორე სიტყვასთან (მანიჟაშვილი 2012).

„გასაღები სიტყვა“ წარმოადგენს კონცეპტს, რომლის მეშვეობითაც ხდება კულტურის ახსნა. ერთ-ერთი ასეთი გასაღები სიტყვა ქართულ სალიტერატურო ენაში არის „გზა“. სიტყვა გზის სემანტიკური ველი ქართულში მრავლისმომცველი და მრავალმნიშვნელოვანია.

ქართული ენის ფრაზეოლოგიაში, იდიომებში „გზა“ გადატანითი მნიშვნელობით მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი: ვინმეს მოღვაწეობის მიმართულება, რაიმეს განვითარების გეზი, „გზა ხსნილია“ (დაბრკოლება არ შეხვდება), „გზას ააცდენს“ — ცუდ გზაზე დააყენებს, ცხოვრების გზა, „გზა-კვალი“ (სავალი გეზი, მიმართულება), „თავგზას აუბნევს“ — დააბნევს, „გზიანი სიტყვა“ — გონივრული სიტყვა და სხვ.

წმინდა წერილში არაერთგზის მეორდება, რომ ამქვეყნად ჩვენ მგზავრები და სტუმრები ვართ. გზად ყოფნა მარადიულ მოძრაობას გულისხმობს. ადამიანი ამოვარდნილია თავისი ბუნებრივი კონტექსტიდან მას შემდეგ, რაც იგი ცდუნდა ცნობადის ხის ნაყოფით; განდევნილია უზენაესი კონტექსტიდან - განვითარების უწყვეტი, უნივერსალური გზიდან და მისი ამქვეყნიური ცხოვრების გზა მარადიული მცდელობაა, ოცნებაა იმ პირველ და დასაბამისეულ კონტექსტში დაბრუნებისა.

გზის მეტაფორული ხატი სხვადასხვაგვარია - გზა ქვეყნიდან ქვეყანაში, გზა დროიდან დროში, გზა სივრციდან სივრცეში გზა ტაძრისაკენ, გზა შინისაკენ. ეს ერთ-ერთი ყველაზე თბილი ქართული სიტყვათშეხამებაა. „შინა“ — ჩემი სახლი (თუშურ დიალექტში „შინაი“-სახლი), მიკროსამყარო, სადაც ყველაზე მყუდროდ, დაცულად ვგრძნობ თავს. ფართო გაგებით, ეს ცხოვრებისეული გზაა და ქვეტექსტი მოიაზრება,

როგორც გზა შემოქმედისკენ, აბსოლუტისკენ სწრაფვა. ამ შემთხვევაში გზა სულიერ პლანშია გააზრებული. საინტერესოა „ცრემლიანი გზის“ მეტაფორა ქართულ ხალხურ ზღაპარში. გზაზე მიმოზნეული ხახვის ფურცლები... უფროსი ძმა ტოვებს კვალს გზადაგზა, რათა უცროს ძმას (შთამომავლობას) სიძნელე გაუადვილოს. გზის გავლა ყოველთვის სიძნელეების დაძლევისათვის არის დაკავშირებული (მანიჟაშვილი 2012).

პროფესორი ზ. კიკნაძე თავის სტატიაში „ადამიანი ბიბლიურ დროში“ ხაზს უსვამს გზისა და დროის მიმართებას ბიბლიაში: ბიბლიურ თხრობას იზიდავს ადამიანი, რომელიც მიმოდის ქვეყანაში. ბიბლია ეგვიპტეს ან უდაბნოს კი არ აღწერს, არამედ გზას უდაბნოში, დრტვინვას, მოსმენას, რითაც ივსება უდაბნოში გატარებული დრო, უდაბნოს დრო. ეგვიპტე და უდაბნო ის ჭურჭლებია, რომლებშიც მიედინება ხალხის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი დრო, რომელიც მიმართულია დასასრულისკენ. „ძველ აღთქმაში“ აბრაამი მუდმივად გზაშია, არსად სივრცეში მას მუდმივი სამკვიდრო არა აქვს. გზის არსებითი მახასიათებელი კი დროა. დრო-ჟამი თავის კვალს ტოვებს სივრცეზე. ამდენად, სიცოცხლე —ცხოვრება იდენტიფიცირდება გზის გავლასთან, დროსთან.

ბიბლიაში განსაკუთრებულად ძლიერია დროის განცდა. ეს თითქოს ნიშნავს დროული განზომილების უპირატესობას სივრცული განზომილების მიმართ. ბიბლია აღწერს ადამიანს მის მოძრაობაში, მოქმედებაში, მიმოსვლაში. მას არ იზიდავს ბუნება, სივრცეში განფენილი რეალობა. ბიბლიურ თხრობას იზიდავს ადამიანი, რომელიც მიმოდის ქვეყანაში, გაივლის მას, მაგრამ არა თავისთავად ქვეყანას. იგი არ აღწერს ეგვიპტეს, არამედ იმას, თუ რა „ადგილი“ უჭირავს ეგვიპტეში ყოფნას, ანუ ეგვიპტურ დროს ხალხის ისტორიაში; აღწერს არა უდაბნოს, არამედ გზას უდაბნოში, ყველაფერს იმას, რითაც ივსება უდაბნოში გატარებული დრო, უდაბნოს დრო.

ეგვიპტე და უდაბნო ის ჭურჭლებია, რომლებშიც მიედინება ხალხის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი დრო, რომელიც მიმართულია დასასრულისკენ. ეგვიპტის ან უდაბნოს გახსენებისას, ითქმის არა სადაც, არამედ როდესაც („როცა ყრმა იყო ისრაელი და მიყვარდა იგი“) (კიკნაძე 2009).

ბერძნული კოსმოსისგან განსხვავებით, ბიბლიური სამყარო უფრო დროში არსებობს, ვიდრე სივრცეში. კოსმოსი, სადაც ბერძენი ცხოვრობს, დასრულებულია; მაგრამ სოფელი, სადაც ძველი აღთქმის ადამიანი მოძრაობს, ჯერ კიდევ არ დასრულებულია; ის განაგრძობს ქმნადობას, ანუ ის პროცესშია, ის გარდაქმნას ელის. ბიბლია უპირატესობას ანიჭებს დროში თავისუფლად მოძრავ აბელს, სივრცის ტყვეობაში მოქცეული, ქალაქთა მშენებელი კაენის წინაშე. აბელი, დრო-ჟამის შვილი, ბუნებრივად, როგორც თევზი დაცურავს დროში, კაენი კი, შიშით და ძრწოლით დაძრწის (დაბ. 4:14) დროში და საბოლოოდ სივრცეში მკვიდრდება. სახელი იმ ადგილისა, რომელსაც ის სამკვიდრდოდ აირჩევს, მის სულიერ მდგომარეობას გამოხატავს - ნოდ „ძრწოლა“, „წრიალი“ (ibid.).

თუ დავაკვირდებით აბრაამის ცხოვრებას, დავინახავთ, რომ ის მუდმივად გზაშია, არსად სივრცეში მას მუდმივი სამკვიდრო არა აქვს. გზის არსებითი მახასიათებელი კი დროა. დრო-ჟამის განმავლობა თავის კვალს ტოვებს სივრცეზე და სივრცის ყოველი მონაკვეთი ამ დატოვებული კვალის მეოხებით არის ღირებული.

სივრცის მიმართ დროის უპირატესობას იუდაისტი ფილოსოფოსი აბრაჰამ ჰენშელი ამგვარად წარმოიდგენს: დასაწყისში დრო ერთი იყო, მარადიული, განუყოფელი. მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა სივრცესთან. მაგრამ, როცა ერთიანი დრო შვიდ დღედ დანაწილდა, მაშინ იგი მჭიდროდ დაუკავშირდა სივრცის სამყაროს. თითოეულ დღესთან ერთად, გარდა შაბათისა, საგანთა გარკვეული სფერო წარმოიშვა. შაბათი კი, როგორც დღე, განცალკევებულად დგას. ჰენშელი განაგრძობს იგავით: იგი, შაბათი, შეგვიძლია მეფეს შევადაროთ, რომელსაც შვიდი ვაჟი ჰყავდა. ექვსთაგან თითოეულს თავისი დოვლათი უანდერბა, უმრწემეს კი მეფობის ღირსება მისცა. ეს დოვლათი არის ყველაფერი ის, რაც ექვსი დღის განმავლობაში შეიქმნა, ხოლო მეფობის ღირსება არის შაბათი ანუ წმიდა დრო, როცა არაფერი შექმნილა. მაგრამ ამის გამო შაბათი არ არის ცარიელი დრო, ანუ ასეც შეიძლება ვთქვათ: შაბათის სიცარიელე უქმობაა, რომელიც თავისუფლების გამოხატულებაა, შაბათი არ არის დაბმული

ნივთიერ სამყაროზე, როგორც სხვა დღეები. მისი თავისუფლება სულშია, რადგან ის სამეუფოა, უფლის დღეა.

ექვსდღიანი წარმავლობა შაბათის სახით მარადისობაში გადადის. შაბათი ექვსეულის განსრულებაა, მასშია მისი მიზანი და საზრისი. დღეს ამ წუთისოფელში, ამ დროჟამულ განზომილებაში, შაბათი ერთადერთი დღეა, რომელიც მარადისობის ხატს ატარებს. შაბათი წინასწარ, ამ წუთისოფელშივე, ამზადებს ადამიანს მარადისობისთვის, როცა უკანასკნელი შაბათი დააგვირგვინებს დღეებს.

ამრიგად, საბოლოოდ, ძველი აღთქმა პატივს დებს არა დროს თავისთავად, როგორც ასეთს, არამედ პატივს დებს მას იმის გამო, რომ მას შაბათი მოჰყავს. ბიბლია პატივს დებს შაბათს, რადგან იგი, როგორც შეწყვეტა (ეს არის შაბათ-სიტყვის მნიშვნელობა), როგორც დროის შეყენება, მარადისობის ხატია. ექვსი დღე შაბათის მოლოდინით არის სავსე. მოლოდინი ელის დღეთა აღვსებას, უკანასკნელ ჟამს, საბოლოო შაბათს, რომელსაც მეორე დღე - ორშაბათი აღარ მოყვება.

დროსთან მჭიდრო კავშირშია მოლოდინი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიბლიური მსოფლგანცდის კონცეპტუალური კატეგორიაა. ბიბლიის თანახმად დროს აქვს დასაბამი. დროის დასაბამობა ჩანს წიგნის პირველივე მუხლიდან - დასაწყისში ღმერთმა შექმნა... ეს „დასაწყისი“ უეჭველად აბსოლუტურ დასაწყისზე მიანიშნებს ანუ იგი გვამცნობს დროის დასაწყისს, რასაც არაფერი უძლოდა წინ. მის უკან, მის შემდეგ იწყება დრო, მაგრამ თავად დასაწყისი არ არის დრო.

ბასილი დიდი წერს, რომ როგორც გზის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის გზა, როგორც სახლის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის სახლი, ასევე დროის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის დრო და არც დროის უმცირესი ნაწილი. „დასაწყისი ნულოვანი საფეხურია“, რომელიც მარადისობის ხატს ატარებს, მისი სიმბოლური ნიშანია. ბიბლიის ავტორის ხილვა-განცდაში არსებობდა ისეთი საწყისი, რომლის ფესვი უდროობაშია.

ამ აზრით, არის სამყარო ღვთის მიერ არაფრისგან შექმნილი. არაფერში კი არც დრო მოიაზრება და არც სივრცე. მამასადამე, სამყარო შეიქმნა არა დროსა და სივრცეში, არამედ დროსთან და სივრცესთან ერთად, მათ ერთიანობაში. ანუ ღმერთმა შექმნა ისეთი

სამყარო, რომლის არსებობის მოდუსია დრო. მისი არსებობა მხოლოდ დროშია შესაძლებელი და ის შეწყვეტს ამგვარ ყოფას დროსთან ერთად (ibid.).

ბიბლიის თანახმად, აქტუალურ დროს აქვს როგორც დასაწყისი, ასევე აქვს თავისი დასასრული. ბიბლიამ გაარღვია წარმართული თუ პანთეისტური დროის ონტოლოგია; უფრო მეტიც, მან ერთიან დროში წარმოიდგინა კოსმიური და ისტორიული მოვლენები, არა მხოლოდ ისტორიული, არამედ ადამიანურ-ეგზისტენციალურიც.

თუ შევეცდებით მეტაფორულად წარმოვიდგინოთ ბიბლიური დრო, მისი ერთ-ერთი ხატი იქნება მწიფე ხილით სავსე კალათა, რომელიც წინასწარმეტყველმა ამოსმა იხილა ღვთიურ ხილვაში: „ასე მახილვინა უფალმა ღმერთმა: აჰა, მოწეული ხილით სავსე კალათა. მითხრა: რას ხედავ, ამოს? ვთქვი, მოწეული ხილით სავსე კალათას-მეთქი. მითხრა უფალმა: მოაწია ჩემი ერის, ისრაელის, ბოლომ“ (ibid.).

როგორც მწიფდება ხილი და აქვს ზღვარი მის მწიფობას, ასევე დროსაც აქვს თავისი სიმწიფე, რომელსაც ის აზიარებს დროში არსებულ ყველა საგანს თუ მოვლენას. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო სიმბოლოდ აღებულია ხილის სიმწიფე.

გზის შემეცნებითი, კომუნიკაბელური და ესთეტიკური ფუნქცია მრავალგვარადაა გააზრებული ქართულ მწერლობაში. ამ შემთხვევაში გამორჩეულია ოთარ ჭილაძის შემოქმედება. პოეზიასა თუ პროზაში ავტორს უხვად აქვს გამოყენებული გზის სემანტიკა, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. ლექსში „ჭრილობაში ჩარჩენილი ტყვია“ გზის მეტაფორის გლობალური გააზრებაა მოცემული:

„რაც არ ყოფილა, ის არც იქნება, მაგრამ რაც იყო, იქნება კვლავაც. გზა გაიხსნება, ან შეიკვრება, მომსვლელი მოვა, წამსვლელი წავა“ (ჭილაძე 2009:126).

ინგლისურ ენაში დროისა და სივრცის ერთიანობა ვლინდება იმ ერთეულებში, რომლებიც მოიცავს კომპონენტს „გზა“: „all along the line“ („მთელი გზა“); „all the way down the line“ („პროცესის ყოველ ეტაპზე“); „along the way“ („იმ დროის განმავლობაში, როდესაც რაიმე ხდება“).

ორივე საკვლევ ენაში იკვეთება გზისა და დროის ასოციაციური კავშირი, თუმცა ინგლისურ ენასთან შედარებით, ქართულში გაცილებით უფრო მკვეთრია აღნიშნული კავშირის ენობრივი ობიექტივაცია. ენობრივი ობიექტივაციის სიმკვეთრის კრიტერიუმს წამოადგენს არა მხოლოდ ერთეულთა ექსპრესიულობის ხარისხი (რომელიც გაცილებით მაღალია ქართულ ენაში ფიქსირებულ ერთეულებში), არამედ ერთეულთა რაოდენობრივი მაჩვენებელიც - ქართულში ფიქსირებული ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ინგლისურ ენაში ფიქსირებულ ერთეულთა რაოდენობას.

საკვლევ ენებში კომპონენტის „გზა“ მომცველი ერთეულები ხასიათდება დადებითი სემანტიკით. ეს ბუნებრივია, ვინაიდან გზა თავისთავად გულისხმობს მოძრაობას, სვლას, მოქმედებას.

ნომინაციური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ყველა ელემენტს შორის იდენტური სიმძლავრის კავშირი - „თემატური ანალოგია“ - უზრუნველავს იდენტური სემანტიკური „მანძილის“ არსებობას სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ყველა ელემენტს შორის.

IV ფრეიმი „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაცია“

დრო, ისევე როგორც სივრცე, ბგერა, სუნი, პიროვნების აღქმაში შემოდის. თუმცა ყოველივე ამას ადამიანი ფიზიკურად აღიქვამს, დრო კი მის განცდაში შემოდის. დროის შეგრძნება ეს უშუალოდ ჩვენი შინაგანი სუბიექტური შეგრძნებაა. მისი მეშვეობით აღვიქვამთ სამყაროს, როგორც მოძრავს, ვხედავთ მიზეზ-შედეგობრივ პროცესებს მასში, სადაც მიზეზი უსწრებს შედეგს, ხოლო შედეგი თავის მხრივ მომდევნო შედეგის მიზეზია და ასე შემდეგ. ეს მოძრაობაა, რომელიც ჩვენ წინაშე ასეთი თანმომდევრობით ვლინდება და ჩვენში დროის შეგრძნებას წარმოქმნის.

ადამიანში დროის აღქმა, მდგომარეობების ცვლილებებისა და ახალი მდგომარეობების წარმოქმნის გამო ხდება. დროის გაგება თითქოს რაღაც შინაგანი ათვლის მსგავსია.

პირველყოფილმა ადამიანმა იცოდა მხოლოდ უახლესი წარსული და უშუალო მომავალი. სივრცე და დრო მისთვის წარმოადგენდა მძლავრ, იდუმალ ძალას, რომელიც შეიძლება იყოს კეთილი და ბოროტი. მრავალი საუკუნე გავიდა, სანამ ადამიანები დროის შეუქცევადობის იდეამდე მივიდოდნენ. ნელა მიედინებოდა დრო შუა საუკუნეების ადამიანისთვის. დღე-ღამის ძირითადი ორიენტირი იყო ეკლესიის ზარების რეკვა. ვინაიდან ცხოვრებისა და ადამიანის ძირითადი საქმიანობის ტემპი დამოკიდებული იყო ბუნებრივ რიტმზე, საათის ზუსტი ცოდნის მუდმივი მოთხოვნილება არ არსებობდა. დროს არ უფრთხილდებოდნენ. საკმარისი იყო დღის ჩვეული დაყოფა ნაწილებად. წუთის როგორც დროის მონაკვეთის ცნება არ არსებობდა.

ევროპაში მექანიკური საათის გამოგონებისა და გავრცელების შემდეგ საათს დიდხანს არ ჰქონდა წუთის ისარი, ეს დეტალი მას მხოლოდ XVI საუკუნეში დაემატა. დროის შეფასება პიროვნულია. ის ხშირად ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზეც არის დამოკიდებული. ხომ გახსოვთ შეყვარებული რომეო და ჯულიეტა. რომეო, რომელსაც მოთმინება არ ჰყოფნის, კარგავს დროის ჩვეული აღქმის უნარს. ჯულიეტა ამბობს: ჩემთვის კი წუთში ბევრი დღეა, ამ ანგარიშით მე დავბერდები, კვლავ რომეოს ვიდრე ვნახავდე. შექსპირი ამბობს: ზოგთათვის ჟამი ნაბიჯებით მოარულია, სხვათათვის რბის, მესამეთათვის მიჰქრის უწყალოდ, მეოთხეთათვის გაყინულა და დგას უძრავად.

ერთ-ერთი ქართული ხალხური ზღაპრის გმირი, სიკვდილის არსებობით გულნატკენი, მიდის უკვდავების სამეზნელად. იგი მზეთუნახავთან აღმოაჩენს უკვდავებას, თუმცა არსებობს ერთი პირობა: ყმაწვილმა უარი უნდა თქვას თავის ახლობლებთან დაბრუნებაზე. მიუხედავად უკვდავად ყოფნის უდიდესი სურვილისა, ყმაწვილი ვერ ასრულებს პირობას - მიხედავად იმისა, რომ იცის, პირობის დარღვევის შემთხვევაში გზას მოიჭრის უკვდავებისაკენ, მაინც ახლობლებთან დაბრუნებას მოისურვებს. ბრუნდება და აღმოაჩენს, რომ ყველა მისი ნათესავი და ახლობელი

გარდაცვლილა - უამრავი დრო გასულა. ასე ვლინდება ამ ზღაპარში დროის ფარდობითობა, მისი ათვლის განსხვავებულობა სხვადასხვა სამყაროში, დროზე გამარჯვების სურვილი, ადამიანის ოცნება უკვდავებაზე და ამ ოცნების არარეალურობა.

ა. ლოსევის აზრით, დრო არ არის წმინდა ხანგრძლივობა, რადგან იგი ან ოდესმე მთავრდება ან არასდროს. დრო არის „მარადისობის ალოგიკური ჩამოყალიბება“. ამიტომაც, დრო, ერთდროულად, არის და არ არის კიდეც მარადისობა, რადგან მარადისობა არ არის განსაზღვრული და შემოსაზღვრული. ა. ლოსევი საუბრობს დროის განსხვავებული ხარისხით მუდმივობაზე. დიდი მოძრაობისას სხეული კარგავს მოცულობას, იგი ერთდროულად მოიცავს მთელ უსაზღვროებას - ეს არის იდეის მარადიულობა - ეს კი ეთანაბრება პლატონის იდეას, რომელიც ერთდროულად ყველგან არის და არსად (ლოსევი 1990:475).

ახალი ეპოქის დრო ქრისტიანული დროის პირმშოა, პირმშო და უარყოფა: იგი სწორხაზოვანია და შეუქცევადი, მაგრამ მას არა აქვს დასაწყისი და არც დასასრული ექნება, იგი არასდროს შეუქმნიათ და არც არასდროს დაემხო. მისი მთავარი მოქმედი პირი ცოდვილი სული კი არა, ადამიანთა მოდგმის ევოლუციაა - სახელად ისტორია. თანამედროვეობის ფუნდამენტში ორმაგი პარადოქსია ჩადებული.

ერთ მხრივ, ყოფიერების საზრისი უნდა ვეძიოთ არა წარსულში ან მარადისობაში, არამედ მომავალში. სწორედ ამიტომაც, რომ ისტორიას პროგრესსაც უწოდებენ. ჩვენ დროს არ გააჩნია არსი, უფრო მეტიც, მისი პოზიცია ნებისმიერი არსის კრიტიკაში მდგომარეობს. ახალი დრო ახალი მითოლოგიაა: თანამედროვეობის უდიდესი ქმნილებები - სერვანტესიდან ჯოისამდე და ველასკესიდან მარსელ დიუმანამდე - სხვა არაფერია, თუ არა დროის კრიტიკის შესახებ მითის განსხვავებული ვარიანტები (პასი 1999:8-21).

ჟან-პოლ სარტრი ფოლკნერის რომან „ხმაური და მძვინვარების“ დროზე დაკვირვებისას შენიშნავს: აწმყო გატენილია ხვრელებით, საიდანაც წარსული ამბები - გაყინულნი, უძრავნი და მდუმარენი - იჭრებიან მასში. გმირის ცნობიერება წარსულში

ვარდება და ისევ წამოიწევს, რათა კვლავ ჩავარდეს. აწმყო არ არსებობს, ის მოდის (სარტრი ჟან-პოლ 1984:8).

პრუსტმა სურნელით დააბრუნა წარსული. იგი წერდა: ის, რასაც გონება გვაწვდის წარსულის სახელით, მართლა წარსული როდია. სინამდვილეში ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი - ისევე როგორც მიცვალებულთა სულები ზოგიერთ ხალხურ ლეგენდაში - სიკვდილისთანავე სახიერდება და თავს აფარებს რომელიმე მატერიალურ საგანს. დატყვევებულია, სამუდამოდ დატყვევებული, სანამ ამ საგანს არ გადავეყრებით. მისი მეშვეობით განვლილ წუთს შევიცნობთ, ვუხმობთ და ვათავისუფლებთ. ჩაიში ჩამბალი ორცხობილის გემომ და სურნელმა მწერალში სასწაულებრივი განცდა გამოიწვია: უეცრად მეხსიერების მიჯნები მოირღვა, ჩემს გონებაში აგარაკზე გატარებული წლები შემოიჭრა და თან მოიყოლა ზაფხულის მრავალი დილა, ბედნიერი წუთების უწყვეტი ნაკადი (პრუსტი 1993:3).

ნეტარი ავგუსტინე თავის „აღსარებანში“ წერს: „არის სამი დრო-აწმყო წარსულისა, აწმყო აწმყოსი და აწმყო მომავლისა. ეს რაღაც სამი დრო მხოლოდ ჩვენს სულში არსებობს და სხვაგან ვერსად ვერ ვხედავთ მათ. აწმყო წარსულისა-მეხსიერებაა, აწმყო აწმყოსი - უშუალო ჭვრეტა, აწმყო მომავლისა კი მოლოდინი“ (ნეტარი ავგუსტინე 1996:23-30).


ნებისმიერი საზოგადოება საკუთარ „მსოფლხატს“, „სამყაროს მოდელს“ აყალიბებს. ეს მოდელი არაცნობიერის სფეროში იშვება და იგი დროის შესახებ თავისებური წარმოდგენებით საზრდოობს, - წერს ოქტავიო პასი. მისი აზრით, დრო უდიდეს როლს თამაშობს სამყაროს მოდელირებაში. ადამიანები არასოდეს აღიქვამენ დროს, როგორც წმინდა ხანგრძლივობას. იგი მოწესრიგებული, მართვადი, გარკვეულ შედეგზე მიმართული პროცესია. ადამიანური ქცევები და სიტყვები დროისგანაა ნაკეთები, ისინი - დროა: მოძრაობა აქეთ ან იქით, მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება რეალობა - აღვნიშნავთ მას „აქ“ თუ „იქ“, ან თუნდაც „არსად“. დრო-საზრისის საცავია (პასი 1999:8-21).

ყოველი მოვლენა დროში მიმდინარეობს და თითოეული მოვლენის აღქმისას, როგორც, საზოგადოდ, ყოველი განცდისას, ადამიანი დროის მიმდინარეობასაც განიცდის, ანუ მას დროის აღქმა გააჩნია. იგი ყველაფერს დროის პერსპექტივაში ჩართულად განიცდის: უშუალოდ განიცდის აწმყოს, წარსულს და მომავალს და დროის მიმდინარეობას, როგორც ამ დროის პერსპექტივის მომენტებს.

აწმყო, წარსული და მომავალი ერთმანეთში უწყვეტ გადასვლაში განიცდება, ე.ი. ადამიანს დროის უწყვეტი მიმდინარეობის, უწყვეტი თანამიმდევრობის - ხანიერების უშუალო განცდა აქვს. მომავლის განცდა ანუ რაღაცის მოლოდინი უწყვეტად გადადის აწმყოს განცდაში, ეს უკანასკნელი კი - წარსულის განცდაში. დროის მიმდინარეობის განცდა მუდამ თან ახლავს ადამიანის ცნობიერებაში არსებულ პროცესთა მიმდინარეობას. საინტერესოა, როგორ მოდელირდება დრო, როგორ აღიქმება და ფასდება იგი უშუალოდ. დროის რეცეპტორი არ არსებობს. დროს პიროვნება განიცდის თავის „მე“-სთან მთლიანობაში.

ფრეიმის „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაცია“ ლექსიკალიზაცია ხდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, რომელთაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „აწმყო“, „წარსული“ და „მომავალი“.

სქემა 8. ფრეიმი „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაცია“



განვიხილოთ აწმყოს, წარსულისა და მომავალის ფრაზეოლოგიური ველების რამდენიმე ელემენტი ინგლისურ და ქართულ ენებში. მაგალითად, ინგლისური ფრაზა “The old wounds“, რომლის პირდაპირი ქართული შესატყვისი არის „ძველი ჭრილობები“ მიეკუთვნება **წარსულის** ფრაზეოლოგიურ ველს:

“He seemed to take everything as a matter of course. It was clear that he had forgotten the catastrophe that had parted him from Hamlyn's Purlieu, and yet, strangely, he asked no questions. Lucy was tortured by the thought of revisiting the place she loved so well... *The old wounds* would be opened. But it was impossible to refuse, and she set about making the necessary arrangements“ (Somerset Maugham (1909:87) “The Explorer”, chapter 9).

ინგლისური ფრაზა “here and now“, რომლის ქართული შესატყვისი არის „აქ და ახლა“ მიეკუთვნება **აწმყოს** ფრაზეოლოგიურ ველს:

"I could decide if I were but certain," I answered: "were I but convinced that it is God's will I should marry you, I could vow to marry you *here and now*-come afterwards what would!" (Charlotte Bronte (1847:76) “Jane Eyre“, chapter 35).

ინგლისური ფრაზა “Another day“, რომლის ქართული შესატყვისი არის „სხვა დღეს“, „მომავალ დღეს“ მიეკუთვნება **მომავლის** ფრაზეოლოგიურ ველს:

“Jane, you don't like my narrative; you look almost sick--shall I defer the rest *to another day*?”“No, sir, finish it now; I pity you--I do earnestly pity you“ (Charlotte Bronte (1847:54) “Jane Eyre“, chapter 27).

„აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება... ამ ყოფითა მთელი პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ *ერთს მშვენიერ დღეს* სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჭირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ“

(ილია ჭავჭავაძე, „მეზავრის წერილები“, თავი 3).

ქართულ ენაში, ინგლისური ენისაგან განსხვავებით, მომავლის ნომინაციურ ველში ფიქსირდება ისეთი ერთეულები, რომელნიც მიუთითებენ ქართული ენობრივი ცნობიერების ცენტრირებულობას რელიგიურ-კულტურულ კოდზე: „აღდგომა და ხვალეო“, „ალილო და ხვალეო“ (ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება).

დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაციის კომპონენტთა („აწმყო“, „წარსულისა“ და „მომავლის“) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- საკვლევ ენებში წარსული ხასიათდება მაღალი ხარისხის დეტერმინირებულობით, რაზეც მეტყველებს „წარსულის“ კომპონენტის-ატრიბუტის არსებობა ერთეულებში: „უძველესი ისტორია“ - “ancient history“, „ძველი კარგი დრო“- “the good old days“ და ა.შ.;
- გარკვეული მორჩილება და ფატალიზმი შეიმჩნევა საკვლევ ენებში „წარსულის“ ცნებასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: “What is done, can not be undone“ („რაც იყო - იყო“); “Let bygones be bygones“ („რაც მოხდა - მოხდა“); “Let it be“ („რაც გინახავს - ვედარ ნახავ“; „წარსულს ვერ მოაბრუნებ“); “What can be broken, must be broken“ („მოსახდენი მოხდება“);
- საკვლევ ენებში აწმყო და მომავალი ასოცირდება:
 - ა. ხანმოკლეობასა და აწმყო ცვალებადობის მომენტთან “the hero of the day“ - „დღის გმირი“; ბ. გაურკვევლობასთან “someday day or other“ - „ოდესმე“;
- წარსულის მოვლენები მკვეთრად მიმართულია ადამიანის ცნობიერებისაკენ - ისინი გაცილებით უფრო სარწმუნო და გააზრებულია, ვიდრე აწმყოსა და

მომავლის მოვლენები. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ენობრივი ცნობიერება ექსპრესიულობის გაცილებით უფრო მაღალ ხარისხით აღბეჭდავს ნაცნობ მოვლენას, აძლევს მას შეფასებას, გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას;

- როგორც ინგლისური, ისე ქართული კულტურისათვის დამახასიათებელია მომავლისაკენ სწრაფვა: “sooner or later“ („ადრე თუ გვიან“); “the sooner the better“ („რაც ადრე, მით უკეთესი“);
- ორივე კულტურისათვის დამახასიათებელია ცნობისმოყვარეობა, რომელიც უკავშირდება მომავალს: “look into the future“ („მომავლისკენ ყურება“); “look ahead to future“ („მომავალში გახედვა“);
- ასევე ორივე კულტურას ახასიათებს გარკვეული შემგუებლური დამოკიდებულება მომავლის მიმართ, რაც გამოიხატება მომავალში განვითარებულ მოვლენათა გარდაუვალობის აღიარებაში, თუმცა, აშკარაა, რომ ბედისწერისადმი მორჩილების გამომხატველი ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ქართულ ენაში: „რაც იქნება, იქნება“; „დრო გვიჩვენებს“; „როგორც ღმერთი ინებებს“; „რაც გიწერია - არ აგცდება“ (“Come what may“); “*Time (alone) will tell*“ - დრო იტყვის - გამოთქმა გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: „მომავალში გახდება ცნობილი“. ამ გამოთქმას ქართულ ენაში შეესაბამება „დრო გვიჩვენებს“. ინგლისურ ენაში დროს გააჩნია მეტყველების უნარი, ხოლო ქართულ ენაში იგი გვიჩვენებს რაღაცას, დაკვირვების ობიექტად აქცევს რაღაცას.

„დროის“ კონცეპტი პოლიცენტრულია როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებში. დრო იძენს სხვადასხვა აზრობრივ დატვირთვას.

ისტორიკოსი ა. ი. გურევიჩი წერს: ცოტა თუ მოიძებნება კულტურის ისეთი მაჩვენებელი, რომელიც იმ ხარისხით განსაზღვრავს მის არსს, როგორითაც ამას დროის გაგება ახერხებს. მასში განსახიერებულია და მასთან დაკავშირებულია ეპოქის

მსოფლალქმა, ხალხის ქცევა, მისი შემეცნება, ცხოვრების რიტმი, დამოკიდებულება საგნებთან (გურევიჩი 1984:15).

დრო აბსტრაქტული ფენომენია, ამიტომაც ჭირს მისი მოხელთება, ამიტომაც არის მისი აღქმა ასე მრავალგვარი. ხალხის წარმოდგენაში ეს ფენომენი ასოცირდება წელიწადის დროებთან, დღესთან, ღამესთან, სიბერესთან, სიკვდილთან და ა.შ.

დროის სუბიექტური აღქმა ყველაზე ახლოსაა მის ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებთან და ხშირად იშველიებს მეტაფორიზაციას. დროის მეტაფორათა ნაწილი ბევრ ენაში მეორდება და გარკვეული ეპოქის სულის გამოხატულებადაც შეიძლება იქცეს. ქართულ სინამდვილეშიც ვხვდებით დროის მრავალგვარ მეტაფორულ გააზრებას: დრო, როგორც მარად მოძრავი, მიმდინარე, უწყვეტი და ცვალებადი მოვლენა; როგორც განუმეორებელი და მოუხელთებელი რამ;

ამის გარდა, დრო განმეორებადი და ციკლური; მისი ბატონობა ყველასა და ყველაფერზე („დრონი მეფობენ და არა - მეფენი“); დრო, როგორც დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალა; მისი განუსაზღვრელობა, ფარდობითობა, არაკონკრეტულობა და სუბიექტურ აღქმაზე დამოკიდებულება; დრო, როგორც ფასის მქონე და ამასთანავე ღირებულებათა საზომი (ანუ ცალკეული ადამიანისა თუ კაცობრიობის ღვაწლის, ისტორიული ღირებულებების შემფასებელი მოვლენა); დრო, როგორც ყველაფრის მკურნალი და სხვ. (ბარუზდინა 2008:7-9), (შჩერბინა 2006:10-11).

ქართველისა და ინგლისელის აზროვნებაში განსაკუთრებით ხშირად ვლინდება დამოკიდებულება, რომ დრო დაუნდობელი, ყველაფრის დამანგრეველი, გამანადგურებელი, გულგრილი და განურჩეველი ძალაა. დიდი სიბრძნის შემცველია: „ყველაფერი დროს ელის, დრო კი - არაფერსო“ (“Time and tide wait for nobody“). დრო ხშირად გაიგივებულია ბედისწერასა და ამაოებასთან.

არ არსებობს ზუსტი თარიღი ამ ფრაზის წარმოშობის, თუმცა ცხადია, რომ ეს ფრაზა უძველესია. ყველაზე ადრეული ჩანაწერი თარიღდება 1225 წლით:

“And te tide and te time þat tu iboren were, schal beon iblescet“ (ფ.მ.წ.).

ეს ფრაზა უკავშირდება მეფე კანუტის ისტორიას. მან უჩვენა თავის ქვეშევრდომებს მეფის ძალაუფლება იმით, რომ მეფეს დაემორჩილა ზღვის ტალღები და ღელვა შეწყდა. იმ დროს სიტყვას “tide“ არ ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც დღეს აქვს. ეს იყო ზღვის დონის აწევა და დაწევა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ამ დროს ეს ფრაზა აღნიშნავდა „სეზონს“, „დროს“ ან „მოკლე პერიოდს“ (ფ.მ.წ.).

ეს ფრაზა გამოჩნდა აგრეთვე ჯეფრი ჩოსერის პროლოგში, “The Clerk's Tale“ (1368):

“For thogh we slepe, or wake, or rome, or ryde,
Ay fleeth the tyme; it nyl no man abyde“.

მოგვიანებით უოლტერ სკოტმაც და ჩარლ დიკენსმაც გამოიყენეს ეს ფრაზა:

“Come, come, Master, let us get afloat“, said one of then in a rough impressive whisper, “time and tide wait for no man“ (Sir Walter Scot (1822:84) “*The Fortunes of Nigel*”).

“Time and tide will wait for no man, saith the adage. But all men have to wait for time and tide. That tide which , taken at the flood , would lead Seth Pecksniff on to fortune , was marked down in the table, and about to flow“ (Charles Dickens (1844:104) “*The life and adventures of Martin Chuzzlewit*“)

ქართულ და ინგლისურ ფრაზეოლოგიასა და იდიომატიკაში გავრცელებული დროის მეტაფორული გამონათქვამებისა და სინტაგმების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გადატანა (მეტაფორიზება) ხდება სხვადასხვა ნიშნით - დრო არის: სულიერი; მოძრავი; როცა მიდის, კვალს ტოვებს; არის რესურსი და სხვ.

ნომინაციური ველის სიტყვა-იდენტიფიკატორსა და ველში შემავალ ყველა ელემენტს შორის იდენტური სემანტიკური „მანძილის“ არსებობა უზრუნველყოფს ველის სტრუქტურის ერთგვაროვნებას - ლინეალურობას.

ამრიგად, დაკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ენაში ობიექტივიზაციის თავისებურებათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ „დროის“ ფრეიმთა ქსელის სქემის სახით შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

სქემა 9. „დროის“ ფრეიმთა ქსელის სტრუქტურა



3.3. „დრო“ აქსიოლოგიური პერსპექტივიდან

ცნობილია, რომ კაცობრიობის მიერ აღიარებული ღირებულებები და ანტიღირებულებები (სიკეთე, ბოროტება, სამართლიანობა, უსამართლობა, თავისუფლება და ა.შ.) ეფუძნება ადამიანის გამოცდილებას. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებში შესაძლოა ღირებულებათა შემდეგი ორი ტიპის გამოყოფა:

- კარდინალური ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენს სხვა ღირებულებათა რეალიზაციის წინაპირობას (ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ღირსება, თავისუფლება);

- სუბკარდინალური ღირებულებები, რომლებიც განიხილება კარდინალურ ღირებულებებთან რეალიზაციის აუცილებელ პირობას.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა აქსიოლოგიური პერსპექტივიდან კვლევა იძლევა ენის მატარებელი ერის დახასიათების შესაძლებლობას მისი ღირებულებითი ორიენტირების სისტემის მიხედვით. ჩვენს ცნობიერებაში არსებული ორიენტირები წარმოადგენს ჩვენივე კულტურული კოდების ერთგვარი ბადის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში იდენტიფიცირებული „დროის“ კონცეპტის ფრაზეოლოგიური ერთეულების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის კულტურული კოდების არსებობა.

სქემა 10. კულტურული კოდების ტიპების სტრუქტურა



განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ანტროპომორფული კულტურული კოდის მეშვეობით ხდება ადამიანისა და მისი სხეულის ნაწილების რეპრეზენტაცია. მაგალითად:

- “smb. is a fresh hand at smth.” - „ახალბედა“;
- “Wet behind the ears“ - „გუშინდელი ღლაპი“;
- “hand over fist“ - „სწრაფად“; „თვალსა და ხელს შუა“;
- “in a twinkling of an eye“ - „თვალის დახამხამებაზე“;
- “at breakneck pace“ – „კისრისტეხვით“;

ბიომორფული კულტურული კოდის მეშვეობით ხდება ცხოველების, ფრინველების, მწერებისა და მცენარეთა რეპრეზენტაცია. მაგალითად:

- “There's life in the old dog yet“; “An old dog barks not in vain“ - „ბებერი ძაღლი ტყუილად არ იყეფებს“; „ბებერი ლომი“; „ბებერი ხარი“; „ბებერი ხარის რქა უკეთ ხნავს“;
- “pigs might fly“ - „არასდროს“;
- “It is easier for a camel to pass through the eye of a needle“ - „შეუძლებელია, რომ ოდესმე მოხდეს“;
- “cow may fly“ - „არასდროს“; „როცა ვირი ხეზე ავა“;
- “as slow as a tortoise“ – „კუსავით ნელი“;
- “as slow as a snail“ – „ლოკოკინასავით ნელი“;
- “grow like mushrooms“ - „სოკოსავით მრავლდება“.

კულტურული კოდი გულისხმობს რაიმე მოვლენის ბუნებრივი მოვლენით სიმბოლოზირებას. მაგალითად:

- “flew like a bolt of lightning“ - „ელვის სისწრაფით“;
- “X hit Y like a thunderbolt“ - „მეხივით გავარდა“;

რელიგიური კულტურული კოდის მაგალითებია:

- „განკითხვის დღის დადგომა/განკითხვის დღის მოსვლა/განკითხვის ჟამის მოსვლა/დადგომა“ - დანაშაულზე პასუხისმგებლობის დროის დადგომა;
- „აღდგომა და ხვალეო“, „ალილო და ხვალეო“ - ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება;
- „აღდგომის გათენება“ - ბედნიერი დღის დადგომა;

„იმ ხანებში მამაჩემი კახეთს წავიდა ერთის კვირით. ეფრემს აღდგომა გაუთენდა: დრო დარჩა მამაჩემის თოფი ეტარებინა თან, საქონელში. ეფრემი თოფს კარგად ესროდა, საფანტს და წამალს მამაჩემსა ჰპარავდა ცოტცოტობით, რომ ვერ გაეგო, მონადირეებისაგანაც კი თხოულობდა“ (ვაჟა-ფშაველა, „გუგული“).

რელიგიური კოდიტაა აღბეჭდილი ისეთი ერთეულებიც, როგორცაა: „აღდგომა და ხვალეო“, „ალილო და ხვალეო“ (ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება).

„დრო ბიბლიის მდუმარე პერსონაჟია, რომელიც განსაზღვრავს მის ხასიათს. დროის აღქმის თავისებურება განაპირობებს ბიბლიური ნარატივის თავისებურებას. ნ. ბერდიაევი ერთგან წერს, ბერძნები და ებრაელები ცხოვრობდნენ არა სხვადასხვა დროს, არამედ განსხვავებულ დროშიო. ჩვენ დავუმატებდით: არა მხოლოდ ბერძნები და ებრაელები, არამედ ებრაელები და მისი მონათესავე და მეზობელი ხალხებიც

განსხვავებულ დროში ანუ დროის განსხვავებული განცდით ცხოვრობდნენ. ნამდვილად დროის აღქმა ფუნდამენტურად განასხვავებს ერთმანეთისგან რელიგიებს და კულტურებს“ (კიკნაძე 2009).

ტემპორალური კულტურული კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება დროის შესახებ არსებულ წარმოდგენათა რეპრეზენტაცია: შეკითხვა „როდის?“ ყველა საზოგადოებისათვის აქტუალურია. ერთი რამ ნათელია: დროის არსებობის განმაპირობებელი ზოგიერთი ფაქტორი უნივერსალურია და ყველა საზოგადოებისათვის ერთნაირად არის დამახასიათებელი, მაშინ როცა სხვა დანარჩენი ფაქტორები კულტურული თვალსაზრისით უნიკალურია. დროის განსაზღვრისა და დროში ლოკალიზებასთან ერთად, ინგლისურ და ქართულენოვან კომუნიკაციაში დროის ძირითად კომპონენტებს ტემპორალურობა აყალიბებს. დრო, რომელსაც თავისი მიაქვს, გაზაფხულის დრო და ბუნების გამოცოცხლება, ასაკის მომატება და სიბერის შეგრძნება - ყოველივე ამის განცდა შეიძლება, ასევე, „როდის დროს“ უკავშირდებოდეს. მაგალითად, როდის დავბერდები, როდის დავიბადე, როდის მოვკვდები. დროის განსაზღვრა და დროის ჩარჩოები „როდის დროის“ მთავარი ასპექტებია, მაშინ როცა პროცესებთან მიმართებაში წინა პლანზე ტემპორალურობა გამოდის.

და მაინც, როდესაც ვამბობთ, რომ დროს თავისი მიაქვს და ადამიანები ბერდებიან, ჩვენ განმეორებადობასთან და სწორხაზოვანობასთან ერთად, დროს დამატებით ასპექტებს ვანიჭებთ. თითოეული ციკლი აყალიბებს ჩარჩოებს, რომლის შიგნითაც ორგანიზებას ვუკეთებთ, ვგეგმავთ და ვარეგულირებთ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

ამრიგად, „დროის განსაზღვრის“ და „დროის ჩარჩოების“ ასპექტები შერწყმულია ტემპორალურობასთან, ისევე როგორც, ტემპორალურობაა გადაჯაჭვული დროის განსაზღვრასთან და დროის ჩარჩოებთან.

- **სივრცითი კულტურული კოდი:** „მზისქვეშეთი“, „საწუთრო“, „წუთისოფელი“:

„ვამი, შენ წუთისოფელო, ქვეყნისა დამლონებელო, თუ რომა სიკვდილი იყო, რაღათა მშობე, მშობელო?“ (ქ.ა.).

სივრცითი კოდითაა აღბეჭდილი ისეთი ერთეულებიც, როგორცაა: “under the sun“ (“There is nothing under the sun”); “be just around the corner“ („ძალიან სწრაფად მოსახდენი რამ“).

- კვანტიტატური კულტურული კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება საზომ ერთეულთა რეპრეზენტაცია: “Sands of time“; „ერთი ამოსუნთქვა“ (ორივე ერთეული გულიხმობს დროის უმცირეს მონაკვეთს).

დრო ჩვეული, ადამიანის თანმდევი მოცემულობაა. იგი ადამიანის რეალობის ნაწილია. „ყველაზე პრიმიტიული ერებიც კი, რომელთაც არ გააჩნიათ დროის პირობითი ათვლა ... განასხვავებენ დღესა და ღამეს, წელიწადის დროს, „ცოცხალ ქრონოლოგიას“ საკუთარი ცხოვრების თარიღების მიხედვით, და ბოლოს – ციკლით: კვირა, თვე, 12 წელი, სადაც ყოველი წელი რომელიმე ცხოველის ხასიათს ატარებს.

შედარებითი ეთნოგრაფიის მონაცემებით, დროის წრფივი ათვლა მაშინ იწყება, როდესაც ეთნოსი იწყებს თავისი ისტორიის შეგრძნებას არა როგორც განსაკუთრებული მოვლენისა, არამედ – მიმდებარე ქვეყნების ისტორიასთან კავშირში. ხოლო ცოდნის დაგროვებასთან ერთად ადამიანთა გონებაში წარმოიშვება კვანტური დრო, ანუ დროის დაყოფა ეპოქებად, ძალზე უთანასწორო თავისი ხანგრძლივობით, მაგრამ ექვივალენტური მოვლენებისა და ფაქტებისა. აქ „დროის“ კატეგორია შეეხება „ძალის“ კატეგორიას – აჩქარების (კერძო შემთხვევაში – ისტორიული პროცესის) გამომწვევ მიზეზს. სისტემათა ათვლის ამგვარი მრავალსახეობა გვიჩვენებს, რომ იგი განპირობებულია ეთნოფსიქოლოგიის საკმაოდ სერიოზული ცვლილებებით ...“ (გუმბელი 2009).

ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ აღმნიშვნელი სიტყვა ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი არსებითი სახელი გახდა. გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ყოველდღიური ურთიერთობა აღსავსეა დროის აღმნიშვნელი სიტყვებით. იგივე

სიტყვა გამოიყენება მრავალი, ძალიან განსხვავებული შინაარსის გადმოცემისათვის. ჩვენ ვსაუბრობთ საათის დროზე და ზამთრის დროზე, საწყის დროსა და ცუდ დროზე, მოქმედებისა და ურთიერთობისათვის ხელსაყრელ დროზე. ჩვენ ვეხებით საგნებისა და პროცესების დროს, რომელიც მიფრინავს და დროს, რომელსაც თავისი მიაქვს. ჩვენ თავისუფლად ვმოძრაობთ დროის ამ შეგრძნებებში და შინაგანად მათ ისე აღვიქვამთ, რომ ამ განსხვავებებზე ბევრს არ ვფიქრობთ.

ცხადია, რომ ამას მოჰყვება განსხვავებული მნიშვნელობების მიწერა ზოგადი ტერმინისათვის. დრო მხოლოდ საათით არ იზომება. დრო მრავალსპექტიანია: ის მოცემულია ფიზიკურ პროცესებსა და სოციალურ ტრადიციებში, მათემატიკის აბსტრაქტულ გათვლებსა და ადამიანებს შორის კონკრეტულ ურთიერთობებში. მას ვზომავთ საათის ერთეულების, ციური სხეულების მოძრაობის, განმეორებადი მოვლენების და საკუთარი სხეულის ცვლილებების საფუძველზე. დროს ვიყენებთ როგორც საქონლის გაცვლის და მომსახურების საშუალებას, ან როგორც გადახდის ფორმას, ასევე როგორც ბუნების, საზოგადოების, ადამიანების და მათი ინსტიტუტების ორგანიზების რესურსს. ყველა ამ სფეროს საკუთარი საზღვრები აქვს, რომლის ფარგლებშიც უნდა გაკეთდეს სამოქმედო არჩევანი.

წუთი, საათი, კვირა, დღე, მთვარის ფაზა, წელი, შობისა და აღდგომის დღესასწაულები, საწარმოო ციკლი და ზრდა, თაობები და ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა - ყველაფერი ეს ქმნის დროით ჩარჩოებს და მათ ფარგლებში ჩვენ ვარეგულირებთ ყოველდღიურ ცხოვრებას. დაბადებისა და სიკვდილის პარამეტრები, ბუნების რიტმები და სოციალურად განპირობებული მოვლენების განმეორებადი ნიმუშები ერთად ქმნიან დროით მატრიცას, რომლის მეშვეობითაც ვახერხებთ დროში ცხოვრებას.

დროის რაციონალიზაცია და მისი საათთან მიბმა დიდ გავლენას ახდენს ინდუსტრიული საზოგადოებების სოციალურ ცხოვრებაზე და დროის იმ ასპექტებსაც მსჭვალავს, რომლებიც საერთოა ჩვენთვის და მსოფლიოს სხვა საზოგადოებებისთვის.

მოხმარების საგნად დროის გადაქცევაც და კონტროლიც ინდუსტრიული და ინდუსტრიალიზებული საზოგადოებების სპეციფიკურ ფენომენებად უნდა აღვიქვათ.

დროის ჩარჩოები, დროის განსაზღვრა, ტემპორალურობა და ტემპი ზოგადად დამახასიათებელია მთელი კაცობრიობისათვის. საათის დრო, რომელიც ცვლის როგორც დროის მნიშვნელობას პრაქტიკაში, ისე მის კომპლექსურ სტრუქტურას, სხვადასხვა დონეზე მთელ კაცობრიობას მსჭვალავს. თუმცა, შეიძლება, რომელიმე ან ყველა ამ ასპექტის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს გარკვეული კულტურული ნიშნები.

- ფერთა კულტურული კოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფერთა სიმბოლიკასთან დაკავშირებულ ხატთა რეპრეზენტაცია:
 - “the old gray mare” - „ხანში შესული ქალი“;
 - “dark ages” - „შავი დრო“; „შავი დღის დადგომა“;
 - “once in a blue moon” - „იშვიათად“;
 - “be green” - „გამოუცდელი“;
 - “paint the town red” - „კარგი დროის გატარება წვეულებაზე“;
 - “the old gray mare” – „შუა ხნის ასაკის ქალი“;
 - “when the moon turns green cheese” - „არასდროს“.
- ანთროპონიმების კულტურული კოდი, რომელიც გულისხმობს საკუთარი სახელით რომელიმე მოვლენის სიმბოლიზირებას:
 - “Before you could say Jack Robinson“; “when queen Anne was alive“ - „თავის დროზე“;
 - “Queen Ann is dead!“ - „ძველი ამბავია!“;
 - “When Adam was a boy“- „ადამის ყამიდან“; „ადამ და ევას დროიდან“.

ადამიანის ცნობიერებაში არსებული კულტურული კოდები იმპლიციტურად მოიცავს მენტალურ-კულტურულ ორიენტირებს. აღნიშნულ ორიენტირთა იდენტიფიცირების საუკეთესო ტოპოსს წარმოადგენს ენა, განსაკუთრებით კი, მისი ფრაზეოლოგიური ფონდი. ენა და კომუნიკაციური ქმედება გვევლინება ღირებულებათა რეპრეზენტაციის მნიშვნელოვან ფორმად.

კულტურული კოდების ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა კვლევა ასოცირდება სამყაროს ხატის იმ ასპექტთან, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული კულტურულ-ისტორიულ პლასტებთან. ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა ანალიზი იძლევა უნივერსალიებისა და უნიკალიების გამოვლენის შესაძლებლობას.

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ანალიზმა გამოავლინა საკვლევ ენებში იდენტურ კულტურულ კოდთა არსებობა. განსხვავება კი ფიქსირდება საკვლევ ენებში იდენტურ კულტურულ კოდთა ობიექტივატორების შიდა ფორმის (ხატებისა და ლინგოკულტურო რემების) დონეზე. სწორედ ობიექტივატორთა შიდა ფორმა ავლენს ერის სულიერი კულტურის თვითმყოფადობას, ენისა და ერის დიფერენციალურ ფსიქოლოგიას.

დასკვნები

თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ ფრეიმული ქსელის თავისებურებათა კვლევის შედეგების წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგ დასკვნათა ფორმულირების გზით:

- კოგნიტური დიფერენციალური ნიშნების იდენტიფიცირების პროცესი თავისთავად გულისხმობს ფრეიმების კონსტრუირების პროცესს, შესაბამისად, საკვლევ ენებში აიგო შემდეგი ოთხი ფრეიმი: „დროის ხანგრძლივობის ფრეიმი“, „მომენტის ფრეიმი“, „დროის ციკლური სტრუქტურული ორგანიზაციის ფრეიმი“, „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაციის ფრეიმი“. აღნიშნული ფრეიმები გაერთიანდა „დროის“ ფრეიმულ ქსელში;
- „დროის ხანგრძლივობის“ ფრეიმის ენობრივი ობიექტივაცია განხორციელდა იმ ფრაზეოლოგიური ველების მეშვეობით, რომელთა ელემენტებსაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „დიდი ხნის წინ“; „ცოტა ხნის წინ“; „დიდი ხნის განმავლობაში“; „ცოტა ხნის განმავლობაში“; „სწრაფად“; „ნელა“; „წარმავლობა“; „პერიოდი“; „საკმარისობა“; „არასაკმარისობა“; „ასაკი“;
- „მომენტის“ ფრეიმის ენობრივი ობიექტივაცია განხორციელდა იმ ფრაზეოლოგიური ველების მეშვეობით, რომელთა ელემენტებსაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „დროული“, „არადროული“, „მოულოდნელი“, „ადრე“, „გვიან“, „ახლა“, „შემდეგ“;
- „დროის ციკლური სტრუქტურული ორგანიზაციის“ ფრეიმის ენობრივი ობიექტივაცია განხორციელდა იმ ფრაზეოლოგიური ველების მეშვეობით, რომელთა ელემენტებსაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „მუდმივად“, „ხშირად“, „იშვიათად“, „ზოგჯერ“, „ყოველთვის“, „არასდროს“;
- „დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაციის“ ფრეიმის ენობრივი ობიექტივაცია განხორციელდა იმ ფრაზეოლოგიური ველების მეშვეობით,

რომელთა ელემენტებსაც აერთიანებს შემდეგი საერთო სემანტიკური მნიშვნელები: „აწმყო“, „წარსული“, „მომავალი“;

დროის ლინეალური სტრუქტურული ორგანიზაციის კომპონენტთა („აწმყო“, „წარსულისა“ და „მომავლის“) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- საკვლევ ენებში წარსული ხასიათდება მაღალი ხარისხის დეტერმინირებულობით, რაზეც მეტყველებს „წარსულის“ კომპონენტის-ატრიბუტის არსებობა ერთეულებში: „უძველესი ისტორია“ - “ancient history“, „ძველი კარგი დრო“ - “the good old days“ და ა.შ.;
- გარკვეული მორჩილება და ფატალიზმი შეიმჩნევა საკვლევ ენებში „წარსულის“ ცნებასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებშიც: “What is done, can not be undone“ („რაც იყო - იყო“); “Let bygones be bygones“ („რაც მოხდა - მოხდა“); “Let it be“ („რაც გინახავს - ვედარ ნახავ“; „წარსულს ვერ მოაბრუნებ“); “What can be broken, must be broken“ („მოსახდენი მოხდება“);
- საკვლევ ენებში აწმყო და მომავალი ასოცირდება:
 - ა. ხანმოკლეობასა და აწმყოს ცვალებადობის მომენტთან “the hero of the day“ - „დღის გმირი“; ბ. გაურკვევლობასთან “someday day or other“ - „ოდესმე“;
- წარსულის მოვლენები მკვეთრად მიმართულია ადამიანის ცნობიერებისაკენ - ისინი გაცილებით უფრო სარწმუნო და გააზრებულია, ვიდრე აწმყოსა და მომავლის მოვლენები. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ენობრივი ცნობიერება ექსპრესიულობის გაცილებით უფრო მაღალი ხარისხით აღბეჭდავს ნაცნობ მოვლენას, აძლევს მას შეფასებას, გამოხატავს დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას;
- როგორც ინგლისური, ისე ქართული კულტურისათვის დამახასიათებელია მომავლისაკენ სწრაფვა: “sooner or later“ („ადრე თუ გვიან“); “the sooner the better“ („რაც ადრე, მით უკეთესი“);

- ორივე კულტურისათვის დამახასიათებელია ცნობისმოყვარეობა, რომელიც უკავშირდება მომავალს: “look into the future“ („მომავლისკენ ყურება“); “look ahead to future“ („მომავალში გახედვა“);
- ასევე ორივე კულტურას ახასიათებს გარკვეული შემგუებლური დამოკიდებულება მომავლის მიმართ, რაც გამოიხატება მომავალში განვითარებულ მოვლენათა გარდაუვალობის აღიარებაში, თუმცა, აშკარაა, რომ ბედისწერისადმი მორჩილების გამომხატველი ერთეულების რაოდენობა ჭარბობს ქართულ ენაში: „რაც იქნება, იქნება“; „დრო გვიჩვენებს“; „როგორც ღმერთი ინებებს“; „რაც გიწერია - არ აგცდება“ (“Come what may“); “*Time (alone) will tell*“ - „დრო იტყვის“ - გამოთქმა გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით: „მომავალში გახდება ცნობილი“. ამ გამოთქმას ქართულ ენაში შეესაბამება „დრო გვიჩვენებს“. ინგლისურ ენაში დროს გააჩნია მეტყველების უნარი, ხოლო ქართულ ენაში იგი გვიჩვენებს რაღაცას, დაკვირვების ობიექტად აქცევს რაღაცას.

კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- საკვლევ ენებსა და კულტურებს შორის არსებული მსგავსება ფიქსირდება კონცეპტუალური ანალიზის - ფრეიმული მოდელირების შედეგად მიღებულ მონაცემთა დონეზე, რაც ადასტურებს უნივერსალურ კატეგორიებთან მიმართებაში კონცეპტუალური ანალიზის ცენტრირებულობას ანთროპოცენტრიზმზე და არა ეთნოცენტრიზმზე.
- საკვლევ ენებსა და კულტურებს შორის არსებული განსხვავება ფიქსირდება სემანტიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემთა დონეზე, რაც ადასტურებს სემანტიკური ანალიზისა და ექსპლონატორული პრინციპის ინფორმატიულობას ერის მსოფლგანცდის სპეციფიკის კვლევისათვის უნივერსალური კატეგორიების შემთხვევაშიც კი;
- თანამედროვე ინგლისურ და ქართულ ენებში „დროის“ კონცეპტის ფრაზეოლოგიურ ობიექტივატორთა ანალიზმა გამოავლინა, რომ „დროის“

ფრეიმული ქსელი წარმოადგენს უნივერსალური და ეროვნული ცნობიერების სპეციფიკით აღბეჭდილ ელემენტთა მთლიანობრივ სივრცეს;

- ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერების თანხვედრა, რომელიც ფიქსირდება „დროის“ ფენომენის ანალიზის დონეზე, გულისხმობს „დროის“ ფენომენის თაობაზე ინგლისური და ქართული ენების მატარებელთა ცოდნის ვექტორთა, მენტალური პროექციის მსგავსებას;
- ინგლისური და ქართული ენობრივი ცნობიერების სხვაობა, რომელიც ფიქსირდება „დროის“ ფენომენის ანალიზის დონეზე, გულისხმობს ცოდნის უნივერსალურ (იდენტურ) ვექტორთა ენობრივ ობიექტივიზაციას ეროვნული კულტურული კოდით აღბეჭდილი ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით.

